

პნჯორ ბებუხაძე



# პნჯორ ბებუხაძე



ანთონ  
ბაბუნაძე



თბილისი  
2011



შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა  
**დემიკო ლოლაქიშვილი**

# შექვეყნოსაჯან

გასული საუკუნის 80-იან წლებში, ყოველ პირველ სექტემბერს, ჩემი უსაყვარლესი ვასიკო ბაბუხადიას ოჯახში ლამაზი სუფრა იმართებოდა, სადაც მისი მამის, ცნობილი დასტაქარის, ბატონ ვასილის დაბადების დღე აღინიშნებოდა. მთელი ამ წლების განმავლობაში საშუალება მქონდა შევხვედროდი ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებს. პირველივე სტუმრობისას ყურადღება მიიპყრო სიმპათიურმა პიროვნებამ, რომელიც თავის მეუღლე თინიკოსთან ერთად ამშვენებდა სუფრას. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ, თითქმის თანატოლები აღმოვჩნდით და ამანაც შეუწყო ხელი ჩვენს შემდგომ დამეგობრებას.

დიახ, სტუმართმოყვარე ბაბუხადიებთან გავიცანი ამ კრებულის მთავარი გმირი, რომელთანაც ურთიერთობა უფრო ინტენსიური და მჭიდრო, ჩვენი ძმისა და მეგობრის, ასევე ცნობილი ექიმის ვასიკოს მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ გახდა.

ანზორ ბაბუხადიამ, პირველ რიგში ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, როგორც ეკონომიკის დარგების სერიოზულმა მცოდნემ. მისი ოთხნაწილიანი ნაშრომთა ციკლი „შეცდომა თუ დანაშაული?“, ამშვენებს მრავალი ოჯახის წიგნების თაროს. საერთოდ, თვე არ გავა, პრესაში არ გამოქვეყნდეს ანზორის საინტერესო, აქტუალურ საკითხზე დაწერილი შინაარსიანი პუბლიკაცია. მოგონებებსა და სხვათა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებულ წერილებზე აღარაფერს ვამბობ.

მიკვირდა, როგორ ასწრებდა ყოველივეს და სხვა უამრავი ჩუმი საქმის გაკეთებას ჩვენი ანზორი. ეს კითხვა ბოლო წლებში ამოვხსენი, როდესაც ჩემი თვალით ვუყურებ ხოლმე,

როგორი ახალგაზრდული ენერჯითა და შემართებით, მეტეორივით დაქრის საყვარელი თბილისის ქუჩებში ათას საქმეს შეჭიდებული ეს ჭეშმარიტი მამულიშვილი. ჩემთვის ხანდახან მიფიქრია კიდევ, ამ ქალაქში „მართონელივით სირბილს“, არ ჯობია, დაჯდეს, შეაგროვოს და ოჯახს, ქვეყანას დაუტოვოს ნამოღვაწარი. ერთხელ ამის თქმის საშუალება გამიჩნდა.

2010 წლის მაისის ერთ საღაღ ღღეს, მთაწმინდაზე ქართული თეატრის უღიდესი ვარსკკვლავის უშანგი ჩხეიძის საფლავზე საზეიმოდ გაიხსნა ძეგლი. ოფიციალური ნაწილის შემდეგ, ჩხეიძეთა გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელმა, უკეთილშობილესმა პიროვნებამ, ბატონმა ალიკომ სუფრასთან მიიპატიჟა ოთარ მელვინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაძე, მალხაზ ბებურიშვილი, ანზორ ბაბუხადია და თქვენი მონამორჩილი. ამ დაუვიწყარ საღამოს ყოველთვის სიამოვნებით ვიხსენებთ. ანზორთან გვერდით ვიჯექი და ერთ მომენტში წიგნზე დავეუწყე საუბარი. შევთავაზე, იმ სახით გაკეთებულიყო, რომელიც თქვენ თვალს გისწორებთ. იუარა, თუმცა ჩემი მაინც გავიტანე.

საქმეს შევუღექი, წლების განმავლობაში ა. ბაბუხადიას შესახებ და მის მიერ ცალკეული პიროვნებებისადმი მიძღვნილ მხოლოდ ადრე გამოქვეყნებულ, გამოსაცემად მომზადებულ წერილებსა და მოგონებებს დაემატა ოჯახში დაცული ფოტოსურათები.

როდესაც საუბარია საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკულ პიროვნებაზე, პირველ რიგში, მაღლიერებით აღვიქვამ იმ დიდ თანადგომას, რომელიც ზურაბ ანჯაფარიძესთანაა დაკავშირებული. ანზორმა უამრავი რამ გააკეთა დიდი მანესტროს სახელის უკვდავსაყოფად და ამაში ბევრი დამეთანხმება.

ანზორ ბაბუხადიას, ამ უკომპრომისო პიროვნებას აღელვებს ჩვენი დაქუცმაცებული სამშობლოს დღევანდელი მდგომარეობა, თუმცა ხშირად უთქვამს – საქართველოს გაბრწყინებას ერთად მოვესწრებით.

სამშობლოს სიყვარულზე ვსაუბრობდით ამ ზაფხულს, როდესაც გერგეტის სამების ეკლესიით – ქართული ხუროთმოძღვრული კომპლექსის ულამაზესი ქმნილებით ვიზიბლებოდით. ხოლო შემდეგ, კი სნოში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ მშობლიურ სოფელში წმინდა მეფის ვახტანგ გორგასლის ქანდაკების გახსნის მოსამზადებელ ცერემონიალს დავესწართ.

ჩვენი საზოგადოების ღირსეულ წევრს, რომელსაც უამრავი ნაცნობ-მეგობარი ახვევია და ისიც მათ სიყვარულით პასუხობს, სწამს, რომ ის ღროც დადგება, როდესაც ქვეყნის მომავალი თაობა სულიერად, ზნეობრივად და ინტელექტუალურად ისევ გაიბრწყინებს.

კრებულის დასრულება უაღრესად სასიამოვნო ფაქტს დაემთხვა. ანზორ ბაბუხადია ბაბუა გახდა, ვულოცავ მას და ჩვენს თინიკოს პირველი შვილიშვილის – ანდრიას ამქვეყნად მოვლინებას და ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდ სიხარულს, ხანგრძლივ სიცოცხლეს უკვე გამთლიანებულ საქართველოში.

**დემიკო ლოლაკა**





წიგნი  
მეორე  
საქართველოს  
ისტორიისათვის





\* \* \*

გქონდეს პრეტენზია, რომ ხარ ქართველი, ეს ძალზე მძიმე ტვირთი და უდიდესი პასუხისმგებლობაა. ჩემამდე მოღწეული ვერსიით, ჩვენი წინაპრები გელოვანები ყოფილან სვანეთიდან. ერთი მათგანისათვის ბერეკა გელოვანისათვის შვილიშვილი მოუკლავთ და მაშინდელი წესის შესაბამისად ბაბუას სისხლი აუღია და მისთვის მეტსახელად „ბაბუა-ხადია“ დაურქმევიათ (ე.ი. ბაბუამ სამაგიერო გადაიხადაო). ამის შემდეგ სვანეთში აღარ დაედგომებოდა და ოკრიბის ერთ-ერთი სოფლის, კითხი-ჯისთვის შეუფარებია თავი, რომელიც ტყიბულის რაიონში, ქუთაისი-ტყიბულის გზაზე, სოფ. ორპირიდან 7-8 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, ე.ი. ყველა ბაბუხადიას წინაპრად ბერეკა გელოვანი-ბაბუხადია ითვლება და ამდენად ყველა ბაბუხადია ერთმანეთის ნათესავებად ვითვლებით. ბერეკას მეორე ძმას, კახეთისთვის შეუფარებია თავი და იქ დასახლებულა. გამოდის, რომ დღეისათვის კახეთში მცხოვრები გელოვანები, ჩვენი დიდი წინაპრის ბერეკას განაყოფები და, შეიძლება ითქვას, ჩვენი შორეული ნათესავები არიან.

გვარის დაბლოების გამო ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ჩვენ მეგრელები ვართ. თუმცა, არც უამისობაა. ბებია, მამის დედა ჩილაჩავას ქალი გახლდათ, დედაჩემი კი შავდია იყო. თუ იმა-საც დავუმატებთ, რომ ჩემი მეუღლე, თინათინ კანკავა ასევე სამეგრელოს მკვიდრია, მაშინ ჩემი შვილების „მეგრელობის“ ხარისხი კიდევ უფრო მაღალია. ასე, რომ სვანეთიც, იმერეთიც, სამეგრელოც და საქართველოს ნებისმიერი კუთხე ჩემთვის განუყოფელია და დუბუ მეგრელისა არ იყოს „ყველა ჩემი სამშობლო“, მით უმეტეს, როგორც აღვნიშნე ჩვენი გვარის ერთი დიდი განაყოფი კახეთის მკვიდრია.

ამასთან დაკავშირებით მოგიყვებით ორ საინტერესო შემთხვევას:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაბარებდი მისაღებად გამოცდას რუსულ ენაში. გამომცდელმა ჩემი გვარი რომ გაიგო, ცოტა უცხო გვარად მოეჩვენა და რუსულად მკითხა, სადაური ხარო. რუსულადვე ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი. თანაც ცოტა არ იყოს მესიამოვნა ამ შეკითხვის დასმა, რადგან ვიცოდი, რომ არ ჩავიჭრებოდი და უეჭველად ვუპასუხებდი. ჩემი ასეთი პასუხი გაუკვირდა და მისაყვედურა, ამხელა კაცმა როგორ არ იცი სადაური ხარო. მე მოგანსენებთ, ბატონო, ჩემი წარმოშობის შესახებ და მერე თქვენ თვითონ თუ მეტყვით სადაური ვარ, ძალიან მაძლიოებელი დაგრჩებით. გამომცდელის ყურადღება დავიმსახურე თუ არა, დავიწყე: ჩემი წინაპარი გელოვანი იყო-მეთქი, მერე ბერიკას ისტორიაც მოვუყევი, ვუთხარი, რომ შორეულ აღმოსავლეთში დავიბადე, საშუალო სკოლა ქუთაისში დავამთავრე, ამჟამად თბილისში ვცხოვრობ. ახლა თქვენ თვითონ მითხარით, სადაური ვიქნები-მეთქი. დავამთავრე თუ არა, ფეხზე აღგა, ხელკავი გამიკეთა და, გამომყევიო, მითხრა, გამაცვივა ტანში, ალბათ აუდიტორიიდან უნდა გამაგდოს-მეთქი. მიმიყვანა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარესთან და უთხრა, გთხოვთ, რაიმე შეკითხვა დაუსვათ ამ ახალგაზრდას, მე ხუთიანის დაწერა გადავწყვიტეო. იმანაც – პუშკინის რომელიმე ლექსი თუ იციო. მომეცა, იცოცხლე, გული და ვუთხარი, პროგრამიდან თქვენ თვითონ რომელიც გნებავთ, იმას გეტყვით-მეთქი. დამისახელა ერთ-ერთი, სხაპასუხით ვუპასუხე, მაძლიოება გადამიხადა და თავისუფალი ხართო. რუსული ენის გამოცდაში მიღებულმა ხუთიანმა გადაწყვიტა ჩემი სტუდენტობის საკითხი.

ჩემი გვარის მთელ ისტორიას ყველას დეტალურად ვერ ვუყვებოდი და ამიტომ ხშირად ჩემს ნაცნობ-მეგობრებს კითხვაზე, ვარ თუ არა მეგრელი, მოკლედ ვპასუხობდი, რომ წარმოშობით

ოკრიბელი, ანუ ტყიბულელი ვარ. სხვა ფაქტორებთან ერთად, ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ორჯერ უმაღლეს ღონეზე კატეგორიულად შემომთავაზეს ტყიბულის მერობა. ორჯერვე დამჭირდა იმის მტკიცება, რომ ტყიბულელი არ ვარ, რომ ბაბუ-აჩემი ოკრიბიდან 12 წლის ასაკში წამოვიდა, მამაჩემს საერთოდ არ უცხოვრია იქ, მე კი – მით უმეტეს, თუმცა სკოლის ასაკში სოფელში ზაფხულობით მართლაც დავდიოდი, მაგრამ რაც შეეხება კონკრეტულად ტყიბულს, 52 წლის ასაკში პირველად ვიყავი იქ რამდენიმე საათით და ისიც ოფიციალურ ღონისძიებაზე. სხვა მომენტებიც ავუხსენი პრეზიდენტის აპარატს, რის გამოც ჩემი ტყიბულის მერობა არ იქნებოდა გამართლებული. ამის გარდა შემოთავაზებული წინადადების უარყოფის ერთ-ერთ არსებით არგუმენტად მიიჩნიეს ჩემი მტკიცება, რომ ქვანახშირის მრეწველობის ურთულეს დარგთან არანაირი შეხება არ მქონია და არ იქნებოდა გამართლებული, რომ ამ დარგში დილექტანტ კაცს ეხელმძღვანელა მთელი ტყიბულის ზონისთვის. ერთი სიტყვით, ნერვიულობა და ახსნა-განმარტებები დამჭირდა, რომ ჩემი პოზიცია დამეცვა. ჩემს მაშინდელ გადაწყვეტილებას ტყიბულის მერობასთან დაკავშირებით ახლაც გამართლებულად ვთვლი. 25-30 წლის ასაკში, ალბათ, სხვა გადაწყვეტილებას მივიღებდი, მაგრამ 50 წელს გადაცილებულ კაცს შეცდომის დაშვების უფლება, რა თქმა უნდა, არ მქონდა.

კიდევ ბევრი საინტერესო რამ მახსენდება ჩემს გვართან დაკავშირებით, მაგრამ მგონი საკმარისია.

\* \* \*

რაც შეეხება ჩემს მშობლებს...

განსაკუთრებული გულისტკივილით მინდა მოვიგონო დედა – ნინო მიხეილის ასული შავდია. თავისი დედა ყველას რომ

უყვარს და ყველაზე ლამაზ, გონიერ, სათნო და უსაყვარლეს არსებად მიიჩნევს, ამაში ახალი არაფერია და ეს კანონზომიერებაა, მაგრამ კაცურად ვიტყვი, რომ დედაჩემი ყველა ამ თვისებით მართლაც ყველასგან გამორჩეული იყო. ისე ღმერთმა ჩემს შვილებს გაუმარჯოს, როგორც მის შეფასებაში არაფერს არ ვაჭარბებ. ბედმა გვიმუხთლა, თუ რა იყო, არ ვიცი, ისეთ დროს გამოგვეცალა ხელიდან, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა სიცოცხლე.

ამბობენ, ვინც უეცარი სიკვდილით კვდება, ბედნიერიაო. მაგრამ ჭირისუფლისათვის ამაზე უფრო დიდი ტრაგედია არ არსებობს. როგორი გადასატანია, როცა შენი უსაყვარლესი ადამიანი, 43 წლის ასაკში, ძილში აღესრულება. ერთი დღე ან რამდენიმე საათი მაინც რომ ეავადმყოფა, ერთ ჭიქა წყალს მაინც ხომ მივაწვდიდით. რაღაც კაცურ ვალს მაინც ხომ მოვიხდიდით. იღბალი არ გინდა, როცა ესეც სანატრელი გაგიხდება.

ვინმეს ჭკუის დარიგებას ყოველთვის ვერიდები, მაგრამ ერთი რჩევის უფლებას მაინც ვიტოვებ: მოეფერეთ მშობლებს. სანამ ისინი ცოცხლები არიან, თქვენ მათი ჭეშმარიტი ფასი არ იცით და ღმერთმა დიდხანს ნუ გაგაგებინოთ.

მამა, ლევან ანთიმოზის ძე ბაბუხაღია, 1940 წელს დაოჯახდა დედაჩემზე. თბილისის საარტილერიო სასწავლებლის ახალი კურსდამთავრებული, სამხედრო სამსახურში გაუმწესებიათ შორეულ აღმოსავლეთში. ამაზეა სწორედ ნათქვამი: „სადაურსა სად წაიყვან“. იქ დავიბადეთ მე და ჩემი ძმა – რუსლანი. საინტერესო დამთხვევა მოხდა ომის წლებთან დაკავშირებით. რუსლანი დაიბადა ომის დაწყების დღეს 1941 წლის 22 ივნისს, მე – ომის გარდატეხის – 1943 წელს, ჩემი და მანანა – ქუთაისში ომის დამთავრების წელს.

\* \* \*

მამას ძალიან უყვარდა თეატრი და ცნობილ მეცნიერთა საჯარო ლექციებზე დასწრება. როგორც წესი, ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოსული ყველა თეატრის ნებისმიერ სპექტაკლზე, კონცერტზე, საიუბილეო საღამოსა და საჯარო ლექციაზე, სიმაღლეზე დაწყობილი, მთელი ოჯახი მივლიოდით. ამ წლების დამსახურებაა, რომ ბავშვობაში ვეზიარე აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძის, ვერიკო ანჯაფარიძისა და სესილია თაყაიშვილის, სერგო ზაქარაძისა და ეროსი მანჯგალაძის, ვასო გომიაშვილისა და გიორგი შავგულიძის, შალვა ნუცუბიძისა და ბესარიონ ჟღენტის, გიორგი ჯიბლაძისა და ირაკლი აბაშიძის, იოსებ გრიშაშვილისა და გოგლა ლეონიძის, სხვათა უკვდავ ნიჭსა და ხელოვნებას.

ჩემი წარმომავლობის თემას ცოტა გადაეუხვიე და ალბათ უნდა დავამთავროთ. ზემოთ, მშობლებთან მიმართებაში ორივე ბაბუა ვახსენე, ანთიმოზ ბაბუხადია და მიხეილ შავდია. ბებიებიდან კი ერთი ჩილაჩავას, ხოლო მეორე ჩარკვიანის ქალი იყო.

\* \* \*

ბაბუაჩემს ანთიმოზს თერთმეტი შვილიშვილი ჰყავდა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა გამორჩეული იყო. რაც თავი მახსოვს, ერთ ოთახში, ხშირად ერთ ლოგინშიც კი ვიწექით, თუმცა საცხოვრებელი ფართისა და ოთახების ნაკლებობას არასოდეს განვიცდიდით. სიყვარული სიახლოვემ იცისო, ნათქვამია, და სწორედ ამან განაპირობა ჩვენი დამოკიდებულება. ჩემს მოვალეობად ითვლებოდა მისი დაბანა, წვერის გაპარსვა, გაკრეჭა და, წარმოიდგინეთ, ნემსის გაკეთებაც კი. ამბობდა: ამ ბავშვს რაღაც სხვანაირი ტკბილი ხელი აქვსო. ცხადია, ეჩვენებოდა, თორემ რომელი გამოცდილი ექთანს მე ვიყავი.

ბრძენი კაცი იყო-მეთქი, რომ ვამტკიცო, ეს არაფერს ნიშნავს, შეიძლება მე მეჩვენებოდა. ღურგალი კაცი იყო, მაგრამ მასთან საუბარს მის შვილიშვილებს და ჩემს მეგობრებს არაფერი გვერჩინვა.

მეექვსე კლასიდან დაწყებული, სკოლის დამთავრებამდე, ერთი თვით, ზაფხულობით, ძირითადად ივნისში, ბაბუას სამუშაოდ დავყვებოდი. ჩემს შესაფერის სამუშაოს გამოძებნიდა და ვეზმარებოდი, რაც შეეძლო. დღეში მაშინდელ 100 მანეთს მიხდიდა. თვის ბოლოს 2-3 ათასი მანეთის პატრონი ვიყავი. რაც დრო გადის, მით უფრო ვხვდები მისი ამგვარი გადაწყვეტილების მნიშვნელობას. ჯერ ერთი, მთელი დღის განმავლობაში გვერდში რომ ვყავდი, ის სიამოვნებდა, მერე შრომას რომ მაჩვენებდა და ამით მიღებული გასამრჯელოს გემოსაც მაზიარებდა.

იცოდნენ რა ჩემმა მეგობრებმა შვილიშვილი-ბაბუას დამოკიდებულება, ანთიმოზი შემარქვეს. ერთხელ მე და ნაღდი ანთიმოზი ეზოში ვზივართ და ერთმანეთს ვეჭუკჭუკებით. შემოვიდა ჩემი ერთი მეგობარი და პირდაპირ საქმეზე გადავიდა: ანთიმოზ, თუ ძმა ხარ, ერთი საათით წამყევი რაღაც საქმეზეო. ბაბუაჩემმა აღმაცერად შეხედა მოსულს და გულმოსულმა ჰკითხა: როდის გავხდი, შე მაიმუნო, მე შენი ძმაკაციო? იცოცხლე, ესიამოვნა, როცა გაიგო შევცდიო.

მშენებელ კაცს მშენებლობა აინტერესებდა ყველაზე მეტად. თბილისის მეტროპოლიტენი რომ გაიხსნა, რა თქმა უნდა, წავიყვანე და ყველა სადგური დავათვალიერებინე. ასეთი გაკვირვებული და ნასიამოვნები ალბათ არასოდეს მინახავს. მარმარილოთი და გრანიტით მოპირკეთებულ კედლებს ხელს მოფერებით უსვამდა და ხმამაღლა ლოცავდა მის მშენებლებს. თან გაკვირვებით ეკითხებოდა თავისთავს: „ამდენი მიწა სად და რითი გაიტანეს, ან რა ფულმა გაუძლოო“. ახლაც კარგად მახსოვს მისი ბედნიერი თვალები.

თბილისში იმ პერიოდში არ დამიტოვებია არცერთი მნიშვნელოვანი მშენებარე ობიექტი, რომ მის ხარაჩოებზე არ ამეყვანა. განსაკუთრებით მოსწონდა სასტუმრო „ივერია“, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი და სპორტის სასახლე. ამ უკანასკნელის გადახურვის კონსტრუქციის ცქერით ვერ ძღებოდა.

\* \* \*

ბავშვობის ყველაზე ლამაზი მოგონებები უკავშირდება სოფელ კითხიჯს ტყიბულის რაიონში, სადაც ზაფხულის არდადეგების დროს მიწველა მცირე ხნით ყოფნა. ბავშვს თუ სოფელში ცოტა ხნით მაინც არ უცხოვრია, ბევრი აქვს დაკარგული. ურმის გემოს კი არა, ლაღო ასათიანის პოეზიის მადლის გაგებაც კი გაუჭირდება. კაცად პირველად მაშინ ვიგრძენი თავი, როცა დამოუკიდებლად, წისქვილში ურმით საფქვავის წაღებისა და ტყიდან შეშის მოტანის უფლება მოვიპოვე. ორი ზაფხული სოფელ ნოსირშიც (სენაკის რ-ნი) მაქვს გატარებული და მდინარე ტეხურსაც სიამოვნებით ვიხსენებ.

თავს უფლებას ვერ მივცემ, სოფლის ფასისა და მადლის საკითხს უფრო ჩაუღრმავდე, რადგან ძველა, რომ ეს ბოლომდე და სრულად გენიოსებსაც უჭირთ. იმას კი ვიტყვი, რომ სამშობლოს აღქმა პირადად ჩემთვის სოფლიდან იწყება. როგორც გითხარით, პირველად კაცად სოფელში ვიგრძენი თავი. მარტო ის რად ღირს, რომ 10-12 წლის ასაკიდან სოფლის ფოტოგრაფობა ვიკისრე. რამდენი ჩემს მიერ გადაღებული სურათი მინახავს გადიღებული და შავ ჩარჩოში მოთავსებული, ჩვენი ნათესავების ოჯახებში. სოფლის შარავზაზე რომ დაგათენდება ან დაგალამდება, ყველაზე მეტად მაშინ გაიგებ მზისა და მთვარის ფასს. სოფელზე მეტად სად შეიგრძნობს ადამიანი მიწისა და დილის ნისლის სურნელს და, რა ვიცი, კიდევ რა სიმდიდრე

და სითბოა ჩვენს დალოცვილ სოფლებში. ბევრი რომ არ გა-  
ვარბელოთ, ხმამაღლა ვიტყვი, თუ რაიმე არსებობს ჩემში ქარ-  
თული და ამაღლებული, ეს უპირველესად სოფლიდან მომყვება.  
რა ბედნიერებაა, როცა საკუთარი სოფელი გაქვს და სოფლის  
ნაღდი ფასი იცი.

\* \* \*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიე-  
რო საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის დამთავრების-  
თანავე, 1966 წელს, როგორც გამონაკლისი, ორწლიანი სა-  
წარმოო სტაჟის გარეშე, ნება დამრთეს, მისაღები გამოცდები  
ჩამებარებინა ასპირანტურაში. სპეციალობაში კომისიის თავმ-  
ჯდომარე იყო ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ.  
ვალერიან მელქაძე. კომისიის წევრებს შორის იყო პროფ. კოკი  
გაბუნიაც, საკითხებზე პასუხი 15-20 წუთში დავამთავრე, მაგ-  
რამ დამატებით შეკითხვებზე, რომლებსაც კომისიის თავმჯდო-  
მარე მაძლევდა, პასუხის გაცემა ერთ საათს მაინც გავარბეღდა.  
როცა პროფ. კ. გაბუნიამ ინსტიტუტის დირექტორს ანიშნა,  
ეყოფაო. მან ხმამაღლა უპასუხა, ვიცი, რომ ეყოფა, მაგრამ მსი-  
ამოვნებს ამ ახალგაზრდის პასუხი და ცოტა კიდევ მაღროვეო.  
სხვათაშორის, ასეთ სიამოვნებაზე ხანდახან მეც ვერ ვამბობდი  
უარს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოც-  
დო კომისიის თავმჯდომარედ ვიყავი ხოლმე მიწვეული. გამოც-  
დიდან პირდაპირ სასაფლაოზე წავედი და ღელაჩემს ყველაფერი  
დაწვრილებით ვუამბე.

\* \* \*

პირადი სამსახურებრივი კარიერა უკავშირდება მხოლოდ  
წმინდა პროფესიულ საფეხურებს და არავითარ შემთხვევაში



რაიმე სხვა ცდუნებებს ან ვინმეს ჩარევას და, მოდაში რომ იყო და არის „ჩაწყობებს“. ჩემი ხასიათიდან და ცხოვრების წესის პრინციპებიდან გამომდინარე, მეტის მიღწევა გამორიცხული იყო, რადგან არ ვფლობდი ისეთ ხელოვნებას, რაც ძალიან ლაკონურად ჩამოაყალიბა დიდმა პიროვნებამ, ანატოლი სობჩაკმა თავის მოგონებებში „თბილისის ჟამტეხილი ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა“, რომელიც 1996 წლის 9 აგვისტოს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. აი რას ბრძანებს იგი:

„იმისათვის, რომ გაგეძლო ზედა ეშელონებში, გაწაფული უნდა ყოფილიყავი ინტრიგების, თვალბეჭეტი ციციანის, ზემდგომთა სურვილის მიხვედრის, ბოროტმოქმედებათა ვერშემჩნევის ანალიზის ხელოვნებაში, ანდა თავადაც ჩაჰყოლოდი ამ მორევს. სწორედ ეს იყო ყოველი მათგანის მთავარი მიზანი. შედეგად, ამ ნანატრ ხელისუფლებას, ძირითადად იღებდნენ ისინი, ვინც პირველმა თქვა, მოახსენა, დაასაჩუქრა და დააბეზლა“.

რამდენად კავშირშია აღნიშნული იმასთან, რაც ქვემოთ მინდა მოვყვე, არ ვიცი, მაგრამ მაინც გავიხსენებ ზოგიერთ შემთხვევას, რაც დაკავშირებულია ჩემს ყოფილ სამსახურებრივ მდგომარეობასთან.

ეკონომიკურ კანონზომიერებებს და კანონებს ქვეყანა ხშირად იგნორირებდა რომ უკეთებდა, ამაში პირველად საქართველოს კვების მრეწველობის ინსტიტუტში მუშაობის დროს დავრწმუნდი.

\* \* \*

ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი დამუშავების ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ რესპუბლიკაში განგვესაზღვრა ღვინის მრეწველობის ერთ-ერთი ქარხნის აშენების ოპტიმალური ად-

გილმდებარეობა, სიმძლავრე და ა.შ. ფაქტორები, რომლებიც უეჭველად უნდა გაგვეთვალისწინებინა, იყო ყველა სატრანსპორტო და კომუნალური, კომუნიკაციების, საწარმოს კადრებით დაკომპლექტების, ნედლეულით უზრუნველყოფის, პროდუქციის რეალიზაციის მდგომარეობა, პერსპექტივები და მრავალი სხვა. ოპტიმალური ვარიანტის განსაზღვრის საქმეში გამოვიყენეთ მაშინ მოდაში შემოსული, უახლესი მათემატიკური მოდელები და სხვა. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს ნაშრომს, სოლიდური პრემიაც ავიღეთ, მაგრამ რა ვიცოდით, რომ თურმე ყველაფერი ქალაქში ღირსეულად დარჩებოდა. ჩვენმა ნაშრომმა და მისმა ავტორებმა თვეობით ვიარეთ სხვადასხვა ინსტანციებში და ვამტკიცებდით ჩვენი გადაწყვეტილების ეფექტურობას, მაგრამ ჩინოვნიკებთან ვერაფერს გავხდით. მიზეზი მოგვიანებით გავიგეთ. ნუ იტყვით და თურმე მეღვინეობის რაიონების რაიკომის მდივნებს შორის გაჩაღდა ბრძოლა, რომ ეს ქარხანა თავის რაიონში აშენებულიყო. შედეგად ყველაზე გავლენიანმა რაიკომის მდივანმა გაიმარჯვა, საქმემ და ქვეყანამ კი წააგო.

\* \* \*

60-70-იან წლებში რესპუბლიკაში ხილის წვენების წარმოების ნამდვილი ბუმი იყო. რესპუბლიკას ტემპები სჭირდებოდა სოცშეფხიბრში გამარჯვებისთვის. ჩვენ ხომ არაფერში ზღვარი არ ვიცით. ვინ არ აწარმოებდა მაშინ ამ ფალსიფიცირებულ პროდუქციას, ეშმაკმა იცის. მივიღეთ დავალება, რომ გვეანგარიშა რესპუბლიკის მასშტაბით მისი წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული მოცულობა. დავიწყეთ შესაბამისი გაანგარიშებები. რაღაც ოდენობაზე გავედით, რაც რეალურ შესაძლებლობებსა და მის ფაქტიურ მოცულობას შორის კოლოსალურ

სხვაობას იძლეოდა. შემდეგ უკუღმა თვლაც დავიწყეთ. წარმოებულნი ხილის წვენებიდან საჭირო ნელლეულის რაოდენობაზე რომ გავედით, აღმოჩნდა, რომ მთელი რესპუბლიკა ხეხილის ბალებით რომ ყოფილიყო დაფარული, ათ წელიწადში ვერ მივიღებდით იმ ხილის რაოდენობას, რასაც ერთ წელიწადში ვაწარმოებდით წვენების სახით. ამერიკა აღმოვაჩინეთო გვეგონა და თავი მოგვწონდა, მაგრამ ჯილდოს ნაცვლად კარგი საყვედურიც დავიმსახურეთ. რა თქვენი საქმეა ამ მონაცემების დამუშავება და ზედმეტი ჩხიკინიო. იმდენი კი უნდა გესმოდეთ, რომ ამჟამად ასეა საჭირო და სხვა. ორივე შემთხვევაში მთავარი, ალბათ, მანც ის იყო, რომ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებმა თვალი გავახილეთ, თანაც ბევრი ვინმესა და რამის მიმართ რწმენა დავკარგეთ.

\* \* \*

საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი და კოლეგიის წევრი ვიყავი. გამომიძახეს თბილისის კომიტეტში და შემომთავაზეს დედაქალაქის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილეობა. სახელმწიფო მანქანა, მთავრობის ტელეფონი, ბინა და, რა ვიცი, კიდევ რას არ დამპირდნენ. მიუხედავად ამისა მტკიცე უარი განვაცხადე. ავადმყოფობა მოვიმიზეზე და რამდენიმე დღით საავადმყოფოშიც კი დავწექი. თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორმა იქაც მინახულა და ქალაქის პირველი კაცის მოკითხვაც გადმომცა. მათი მხრიდან აქტიურობა არ მომეწონა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ჩემი ხრიკები არ გაჭრიდა. „გამოჯანმრთელების“ შემდეგ თვით თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბატონმა გურამ გაბუნიათ გამომიძახა და ისევ გაგრძელდა შემომთავაზებულ წინა-

დადებაზე ჩემი დათანხმების მცდელობა. ვერაფრით რომ ვერ დავეუბნებოდი ჩემი პოზიციების რეალობა, შემდეგ ჯანმრთელობა მოვიმიზეზე. ტელეფონის ნომერი აკრიფა და ვილაცხას ეკითხება: ანზორ ბაბუნაძიას ჯანმრთელობა როგორ არის? სერიოზული ხომ არაფერი სჭირსო. პასუხი მეც შესმოდა, მაგრამ ვის ესაუბრებოდა ხმით ვერ ვიცანი. მან ისე წარმოადგინა ჩემი „ავადმყოფობა“, რომ ჩემზე ჯანმრთელი კაცი, ალბათ, ამ ქვეყანაზე არ იყო. თან დააყოლა, კარგი ბიჭიაო. ხომ გაიგე რა თქვა ამიკო კავკასიძემო. (ბატონო ამიკო ამ დროს IV სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმი იყო). ჩემმა ოინმა არ გაჭრა და იმავე დღეს თბილისის კომიტეტის ბიუროზე ახალ თანამდებობაზე დამამტკიცეს. სხდომის დამთავრებისთანავე ბატონ ამიკოს ვეახლე კაბინეტში და ეს რა გამიკეთე-მეთქი, რომ ვუთხარი გულმოსულმა, იცინა და იცინა. მე მეგონა გაწინაურებდა და რაც შემემლო ვაქე და ვადიდე შენი ჯანმრთელობაო. დაწინაურება რომ იყო, ამას კი მივხვდი, მაგრამ „ავადმყოფობა“ მაინც რომ ვერ მიშველიდა, ვერ გავითვალისწინე. ესეც ბედია, ეტყობა, თორემ ქალაქის საბჭოს სისტემაში, რომ არ მოვხვედრილიყავი, ალბათ, ბევრს დავკარგავდი. დედაქალაქის აქტივში ყოფნა ყველაზე კარგი სკოლა რომ არის ადამიანისათვის, ამას მტკიცება რად უნდა.

\* \* \*

ერთხელ, თბილისის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის რანგში მორიგ თათბირს ვატარებდი. პირადი მდივანი შემოვიდა და ყურში ჩამჩურჩულა, ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე გელოდებათ მისაღებშიო. კაბინეტში მყოფთ ბოდიში მოვუხადე, მისაღებში გავედი და ისე, როგორც მას ეკადრებოდა, შემოვიპატიჟე. მე თვითონ შევწუხდი, ყველასთ-

ვის სათაყვანებელი პიროვნება, ჩემთან მოსვლით რომ შეწუხდა. ცოტა ღავიბენი კიდეც. საიდან ღამეწყო ჩემთან მისი მობრძანების მიზეზის დაღგენა, არ ვიცოდი. მდგომარეობიდან თვითონ გამოძიყვანა. ერთი სათხოვარი მაქვს, თუ შეიძლებაო. რატომ ტელეფონით არ ღამიკავშირდით, რატომ შეწუხდით-მთქი, არ მოვეშვი. საბოლოოდ გაირკვა, რომ თურმე გერმანული საკერავი მანქანის შექენა გადაუწყვეტია. თან დააყოლა, გავიგე. რომ რიგში უნდა ჩავეწერო და დაახლოებით 10 წელიწადს ღამჭირდება ლოღინიო. მეტი არ არის თქვენი მტერი, აწი მე ათი წელიწადი არ ვიცოცხლოო, და რაიმე გამონაკლისი თუ არსებობს, ძალიან მადლობელი დაგრჩებითო. რა უნდა მექნა, არც დავფიქრებულვარ, ისე ვუთხარი, რომ ხვალ სახლში მოგართმევენ-მეთქი. გადამკოცნა, მომეფერა, ქუჩამღე ჩავაცილე და ღამიღებული სახლში ჩემი მანქანით გავამგზავრე. დავაღების შესრულება მეორე დღესვე მომახსენეს, თუმცა პატარა სიყაღბის ჩადენა კი ღამჭირდა. ქაღბატონი ვერიკოს სახელით განცხადება ჩემს სახელზე, მე თვითონ დავწერე (აბა მას ხომ არ ვაკადრებდი, განცხადება დამიწერეთ-მეთქი) რეზოლუციაც გავამანშაღე და მივეცი ოფიციაღური მსვლეღობა. რამდენიმე ხნის შემდგე ზემდგომმა ორგანოებმა ლამის გადამაყოღეს ამ „სიყაღბეს“. საქმე პარტიის ცენტრაღური კომიტეტის სპეციაღური კომისიის მსჯეღობის საგანი გახადეს. ისეთი შავი ფერებით მოახსენეს კომისიის თავმჯღდომარეს, მაშინდელი ცენტრაღური კომიტეტის მღივანს, ცხონებულ სოღიკო ხაბეიშვიღს, რომ დავჭერა არ ამცღდება-მეთქი, ვფიქრობდი. ძაღ-ღონე მოვიკრიბე და როცა ყვეღაფერი დეტაღურად და გუღახდიღად განვმარტე, უნდა გენახათ მისი ლოგიკური განრისხება. მე მადღობა გადამიხაღა, ხოლო ჩემი „ჩამშვების“ მსურვეღნი რა დღეშიც ჩააყენა, ამის გაღმოცემა ძალიან ძნელია. მოკღედ, „სამართაღმა პური ჭამა“.

\* \* \*

ერთი პერიოდი ქართული სამზარეულოს დეკადების ჩატარება უცხო ქვეყნებში ძალიან მოდაში იყო. ერთ-ერთ ასეთ დეკადას ჩემი ხელმძღვანელობით, როგორც თბილისის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი, ვატარებთ ყაზახეთის მაშინდელ დედაქალაქ ალმა-ათაში, სადაც ტაშკენტის გავლით გავემგზავრეთ, ჩვენს სპეციალურ ბარგთან ერთად. ტაშკენტში თვითმფრინავი გამოვიცვალეთ და გვიან ღამით ყაზახეთის დედაქალაქში ვიყავით. ბარგი, რომელშიც ყველაფერი გვქონდა, დაწყებული სულგუნით და „სუნელებით“ დამთავრებული, ჩვენი თვითმფრინავით ჩვენთან ერთად არ ჩამოვიდა. გვითხრეს, ალბათ ტაშკენტის აეროპორტში მოხდა რაღაც გაუგებრობაო. ავტეხეთ ერთი ალიაქოთი, რეკვა ხან სად და ხან სად, მაგრამ ჩვენი ბარგის კვალს ვერ მივაგენით. მეორე დილით ტაშკენტში გაფრინდი. ასეთი ღონისძიება გვეშლება და გვიშველეთ რამემთქი. არ დამიტოვებია აეროპორტის სატვირთო გადაზიდვების არც ერთი სათავსო, ცხვირი რომ არ შემეყოს. ბოლოს, ყველაზე დიდ სათავსოს რომ მივუახლოვდით, აქ თქვენი ტვირთი არ იქნებო, მიმტკიცებდა იქაური თანამშრომელი, მაგრამ მაინც გაჩვენებთო. შევედი, მაგრამ რა ნახა ჩემმა თვალებმა. უზარმაზარ ტერიტორიაზე, დაახლოებით 10-სართულიანი უზარმაზარი თაროები გაჭედილი იყო დანომრილი, უჟანგავი თუნუქის კუბოებით. როგორც ამიხსნეს აქ ყოფილა ავღანეთში დაღუპული ბიჭების კუბოების დამახარისხებელ-დამკომპლექტებელი საამქრო, საიდანაც „ტვირთს“ აგზავნიდნენ საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. საქართველოს „სტენდს“ რომ მოვკარი თვალი, რაც დამემართებოდა, არ არის საკითხავი. რა მასშტაბის იყო ეს სამარცხვინო ომი, ალბათ, მთელი ცხოვრება ვერ გავიგებდი, რომ არა ეს გაუთვალისწინებელი და შემზარავი შემთხვევა.

როგორც იქნა, ჩვენი ტვირთი ამ არეულობაში ტაშკენტის აეროპორტში აღმოვაჩინე. მეორე ღღეს ალმა-ათაში დავბრუნდი და დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანეთ.

\* \* \*

როგორც ეკონომისტს და სახელმწიფო მოხელეს, ჩემი პოზიციები მიტინგებზე და მსგავს თავყრილობებზე არასოდეს გამოითქვამს.

ასეთ ღონისძიებებზე პროფესიონალი სპეციალისტის გამოსვლებს არ ვამართლებდი, რადგან ის მასის თვალში იაფფასიანი ავტორიტეტის მოპოვების იოლ გზად მიმაჩნდა. ასეთ შემთხვევაში წარმატებას მხოლოდ მაშინ მოიპოვებ, თუ შენს გამოსვლაში ჭარბობს პოპულიზმი, ანუ მუშაობ მასის რეაქციის ეფექტზე. ამის საწინააღმდეგოდ, პრობლემატურ საკითხებზე ჩემს პოზიციებს არცთუ ისე იშვიათად ვაფიქსირებდი მხოლოდ პრესაში, ან ოფიციალურ დოკუმენტებში, მით უმეტეს, რომ საკუთარი აზრის გამოთქმის ან ფორმების გამოყენება ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო პრობლემას არ წარმოადგენდა.

ხშირად ასეთ გამოსვლებს საკმაოდ მძაფრი რეაქცია მოჰყვებოდა ხოლმე. ზოგი მხარს მიჭერდა, ზოგი კი რას არ მწამებდა, „ნეოკომუნისტობიდან“ დაწყებული, „საბაზრო ეკონომიკის მტრობით“ დამთავრებული. აქედან გამომდინარე, რამდენჯერმე გავიფიქრე კიდევ, რა ძალა მადგას, რას გადავიკიდე ამდენი ხალხი-მეთქი. მიუხედავად ამისა, ჩემი პრინციპების წინააღმდეგ სვლას ან გაყუჩების პოლიტიკის თამაშს ვერ ვახერხებდი. მჯერა, რომ მაინც ისა სჯობს, როცა სათქმელს დროულად იტყვი. როცა ვთვლიდი, რომ მართალს ვამბობდი, იმაზე ნაკლებად ვფიქრობდი, ვის ეწყინებოდა და ვის მოეწონებოდა. ერთხელ, მთავრობის სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტს, ისიც კი გავუბედე,

რომ „რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ამის მთავარი მიზეზი საკადრო პოლიტიკაში დაშვებული დანაშაულებრივი შეცდომები არის-მეთქი“. ვისაც ვგულისხმობდი, ადვილად მიხვდა და კამათის გაგრძელება არ ჩათვალა საჭიროდ.

ერთი დაქირავებული ჟურნალისტი იქამდეც კი მივიდა, რომ გაზეთ „დრონი“ მე და რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვ. ჩერნომირდინი ერთ ტაფაზე დაგვსვა. მასთან პროფესიული დავა და ისიც გაზეთის საშუალებით, არ ჩავთვალე საჭიროდ და ამავე გაზეთის შემდეგივე ნომერში (1993წ. 12 იანვარი) ცოტა უცნაური გამოხმაურება გავაკეთე და სათაურად „პასუხის მაგიერი“ დავარქვი. აი ისიც:

პასუხის მაგიერი

*„ბატონ სოსო სიმონიშვილს გაზეთში „დრონი“ 1993 წლის 1 იანვარს გამოქვეყნებულ სტატიაზე „ამაოების ბაზარი“.*

*ნათქვამია: „კარგ მთქმელს, კარგი გამგონი უნდაო“. ისე არ წარმოიდგინოთ, ბატონო სოსო, თითქოს კარგი მთქმელის პრეტენზია მქონდეს, მაგრამ ერთი კი ცხადია, ჩვენს მიერ 1992 წლის 24 დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატია გულდასმით რომ წაგეკითხათ, არ დამაბრალებდით სტატიის სათაურის („საბაზრო ეკონომიკა „ბაზარს“ როდი ნიშნავს!) პლაგიატობას და არ დამწამებდით „კონსერვატორ-ნეოკომუნისტობას“, „სოვეტიკურ მსოფლმხედველობას“ და სხვა ამგვარს. გულახდილად გეტყვით, რომ თქვენი დონის სპეციალისტისგან ამ კონტექსტში ჩემი და რუსეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ ვ. ჩერნომირდინის თანაბარი წაბურთავება მაინცდამაინც გამართლებულად არ მეჩვენება. ეს ერთი!*

*მეორე, თქვენი სტატიის გამოქვეყნების მიზანი ვერ ავხსენი, მით უმეტეს, რომ ჩვენი თითქმის ყოველდღიური პირადი თუ*



ოფიციალური შეხვედრების დროს ერთხელაც არ წამოგცდენიათ რაიმე განსხვავებული მოსაზრება ჩემს მიერ ადრე გამოქვეყნებულ და არაერთხელ თქვენი თანდასწრებით თითქმის ყველა დონის შეხვედრებზე გამოთქმული პოზიციების გამო. ერთადერთი გამართლება თქვენს ამ ქმედებას შეიძლება ის მოეძებნოს, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენ თანამედროვე ეკონომიკის საკითხებში ცოდნას იმაღლებდით და ემზადებოდით ჩემთან საპაექროდ. თუ ასეა, კეთილი და პატიოსანი.

და ბოლოს, ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ ბატონო სოსო, თქვენთან გაემართო კამათი იმ საკითხებზე, რომლებშიც თქვენ საბაზრო ეკონომიკის აპოლოგეტად წარმოვიდგენიათ თავი. რატომ? იმიტომ, რომ დათა თუთაშხიასი არ იყოს, საკმაო პროფესიული უპირატესობა მაქვს და გაუმართლებლად მიმაჩნია ამ საკითხებზე თქვენთან საგაზეთო პაექრობა.

თუ მართლა გადაწყვეტთ საბაზრო ეკონომიკის საკითხებზე კამათს, დავსხდეთ პირისპირ თქვენ და თქვენი თანამოაზრენი და ცივილიზებული წესით ვუმტკიცოთ ერთმანეთს ჩვენი მოსაზრებები. საქმისთვის ასე აჯობებს მე და ჩემმა ღმერთმა“.

**პატივისცემით ა. ბ.**

\* \* \*

ყველა მიტინგისათვის და ქუჩაში უაზროდ ხეტიალისთვის თითქმის არასოდეს მეცალა. გამონაკლისი იყო 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები, რადგან ეს პერიოდი ახალგაზრდობის წლებს დაემთხვა და მაშინ ჩემი სტუდენტების გვერდზე რომ არ ვმდგარიყავი, ელემენტარულად მორალური და მოქალაქეობრივი უფლებაც კი არ მქონდა.

ჩემი აზრით, ეროვნული მოძრაობა ის არის, როცა შენ საქმეს, შენ უბანზე, კეთილსინდისიერად და უხმაუროდ ემსახურები.

\* \* \*

კომპარტიის მანდატი რომ ჩავაბარე 9 აპრილის ცნობილი მოვლენებისთანავე, მას შემდეგ არც ერთ პარტიაში არ შევსულვარ. მომავალში მხარს მას დავეუჭერ, ვისი ღვევიზიც იქნება, „ენა, მამული, სარწმუნოება“, საქმით აღიარებს ილიას ეროვნულ იდეოლოგიას და ველური საბაზრო ეკონომიკის ნაცვლად დაადგება ცნობილი გერმანელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ლუდვიგ ერჰარდის პოლიტიკურ-ეკონომიკურ პლატფორმას.

\* \* \*

ერთხელ ერთმა უახლოესმა მეგობარმა მკითხა: განუკითხაობის წლებში „პრინციპალიზაცია“ რომ ჰპოვა აღზევება, შენ ამ პერიოდში ქ. თბილისის მერიაში, შემდეგ კი მინისტრთა კაბინეტში მუშაობდი ვაჭრობისა და მომსახურების განყოფილების გამგედ. ლოგიკურად, თუ რაიმე იყო ხელში ჩასაგდება, ალბათ, შენ უნდა იყო ღღეს უძრავი ქონების ერთ-ერთი მსხვილი მესაკუთრეო.

დავიწყებ იმით, რომ ჩემს ოჯახს ოთხი ვაუჩერი შეხვდა. აქედან სამ ცალს სამახსოვრო სუვენირად ვინახავ, ხოლო ერთი არც კი აგვიღია. ახლა გადავალ საქმეზე. თბილისი ის ქალაქია, სადაც ტყუილ-მართალს ვერავის გამოაპარებ, ხალხი არც კარგს დაგიკარგავს და არც ცუდს შეგარჩენს. ვხელმძღვანელობ რა ამ აქსიომით, ვაცხადებ: არც თბილისში და არც ქვეყნის რომელიმე რეგიონში, არც ერთი ობიექტი არ შემიძენია. არც ერთი ობიექტის, ერთი აქციის მფლობელიც კი არ არის ჩემი ოჯახის რომელიმე წევრი.

რაც შეეხება პრივატიზაციის პროცესში ჩემი მონაწილეობის „პროტესტს“, ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ქვეყანაში ეს პროცესი ჩანასახიდანვე არასწორად წარიმართა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მჯეროდა და იმავე აზრის გახლავართ დღესაც. ამიტომ, არასწორ თამაშში მონაწილეობა არ მიმიღია. უფრო მეტიც, როცა ვხედავდი, რომ დიდი და პატარა, ჩინიანნი და უჩინონი მოსწრებაზე გადავიდნენ, მე ამ დროს პროტესტის ნიშნად სტატიებსა და მოხსენებით ბარათებს ვაშანშალებდი. შეიძლება შევცდი კიდევ. მაგრამ საკუთარი რწმენის წინააღმდეგ ვერ წავედი.

იმისათვის, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრებები შემეჯერებინა სხვა ქვეყნებისა და ქალაქების გამოცდილებასთან, მივლინებით წავედი მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში, ტალინში და ვილნიუსში. დაბრუნებისთანავე შედეგები და წინადადებები მოვახსენე თბილისის მაშინდელ ხელმძღვანელობას. თანდათან დავრწმუნდი, რომ ჩვენი წინადადებები არავის აინტერესებდა, ამიტომ, ერთადერთი, რისი გაკეთებაც შევძელი, ჩემს პოზიციებს ხშირად ვაფიქსირებდი პრესაში და ოფიციალურ მოხსენებით ბარათებში.

\* \* \*

ცოტა რამ ჩემი მეგობრების შესახებ. დავიწყებ იმით, რომ არ ვიზიარებ გავრცელებულ შეხედულებას მეგობართა რაოდენობის ლიმიტირების თაობაზე. მეგობრობა მძიმე ტვირთია და რამდენის ზიდვასაც შესძლებ, იმდენი მეგობარი შეგიძლია გყავდეს. ცოტა მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ამ საქმეში ღმერთმა გვარიანად დამსაჯა. ძნელი გადმოსაცემია იმის აღწერა, როგორი ურთიერთობები მქონდა დიდ ზურაბ ანჯაფარიძესთან, ირაკლი უჩანეიშვილთან და ვაჟა სინაურიძესთან. დღე არ გავილოდა, ერთმანეთს

რომ არ შეეხმიანებოდით. ჩვენი ჭირი და ლხინი საერთო იყო. სამივემ, რომ იტყვიან, ჩემს ხელში დალია სული. ჩვენს შორის ნაღდი მეგობრობის სიმტკიცე და უკვდავყოფა დაგაკანონეთ ნათელმირონობით. განსაკუთრებული სიახლოე სხვა მეგობრებთანაც მაკავშირებს, მაგრამ მათი ახლა ჩამოთვლა გამართლებული არ იქნება. ღმერთმა ყველა დალოცვილი ამყოფოს, რათა წარსულ დროში არ მომიხდეს რომელიმე მათგანზე საუბარი. უდროოდ წასულ მეგობრებს რაც შეეხება, სამწუხაროდ, ბევრი მყავს, მაგრამ, თუ მათი სულები არ მიწყენენ, ამ თემაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

\* \* \*

და ბოლოს, ერთი „საიდუმლოც“. საქმე ის გახლავთ, რომ თბილისელები ჩემი გამოთქმის და ქუთაისთან და ქუთათურებთან განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო ქუთაისელად მნათლავენ, ხოლო იმის გამო, რომ ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი თბილისში გავატარე, ქუთაისელი ძმაკაცები თბილისელს და წარმოიდგინეთ, ხანდახან ქუთაისში ჩემზე სტუმარიც კი წამოსცდებათ. ამ უკანასკნელზე ჩემს წყენას ვერ ვფარავ და სათანადო რეაქციასაც არ ვაგვიანებ. ერთი სიტყვით, რაც ვარ, ისა ვარ, მაგრამ ქუთაისისადმი ჩემი დამოკიდებულება განსაკუთრებული რომ არის, ამის დაფარვა არ შემძლია. გამიმართლა, რომ ჩემმა სამსახურებმაც შემიწყო ხელი ამ საქმეში. ვინმე რომ დაინტერესდეს და ამოკრიბოს რამდენჯერ ვარ ქუთაისში მივლინებით ჩასული კვების მრეწველობის ინსტიტუტიდან, მსუბუქი მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროებიდან, შეიძლება შარიც კი მომდონ სამსახურებრივი მდგომარეობის „ბოროტად“ გამოყენებაში. გარდა ამისა, ქუთაისში ხშირი არაოფიციალური ჩასვლის მთავარი „დამნაშავეები“ ჩემი საკმაოდ

მრავალრიცხოვანი უახლოესი ნათესავები და მეზობლები, საბავშვო ბაღისა და სკოლის პერიოდის, სამსახურებრივი დამოკიდებულებით შექმნილი მეგობრები არიან. შეძლებისდაგვარად ვცდილობ, არ დავაკლდე მათ ლხინსა თუ შეჭირვებას არც ქუთაისში და არც თბილისში.

ტრაბახში თუ არ ჩამომართმევთ, არ მახსოვს შემთხვევა, რომ ჩემთან რაიმე სათხოვარზე ან დახმარებისათვის ჩამოსული ქუთათურები უყურადღებოდ დამეტოვებინოს. რა ვიცი, შეიძლება ამიტომაც შემარქვეს ქუთაისელი თბილისელი.

ქუთაისზე და ქუთათურებზე საუბარი არასოდეს მომწყინდება, მაგრამ ალბათ, ახლა გვეყოფა. მწერლობის ცოტა ნიჭი რომ დამყოლოდა, ამ თემაზე ბევრ საინტერესო რაიმეს დავწერდი და ამით ჩემს თავს მაინც მივანიჭებდი გარკვეულ სიამოვნებას.

ქუთაისში ყველაზე მეტად მენატრება წყალწითელაში სათავესთან და რიონში თეთრი ზიდის ქვეშ ბანაობა.

რაც შეეხება ნატვრას ქუთაისთან დაკავშირებით, ვიცი, რომ აუხდენელ ოცნებად დამრჩება, მაგრამ ერთ პატარა ეზოიან სახლს მაინც ვინატრებდი რიონის პირას.



ანწობ

ბაბუნაღვას

შესახებ



\* \* \*

ბატონი ანზორ ბაბუხაღია სახელოვანი გვარის გამორჩეული წარმომადგენელია. მქონდა ბედნიერი შესაძლებლობა ათეული წლის მანძილზე თვალი გამედევნებინა მისი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის. ბატონი ანზორის სახით შევიძინე ფრიად სასურველი, ნიჭიერი, ბეჯითი ახალგაზრდა მეგობარი. ვამაყობ, რომ ის ჩემი ახლობელია.

**აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე**

## სამაგალითო კაცი

„ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის გაურჩევლად დამოუკიდებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ; ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისკენ და ჭირი სხვისკენ, მარტო თავის თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც ის კრებულია, რომელსაც ერი ჰქვია“.

დიდი ილიას ეს სიტყვები ყოველთვის გულზედ ახატია ჩემს მეგობარს ანზორ ბაბუხაღიას, კაცს, რომელთანაც ხანგრძლივი ცხოვრებისეული ახლობლობა მაკავშირებს.

ანზორი იმ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნის, რომელთა ბიოგრაფია დიდი რომანტიკული წარსულით ან განსაკუთრებული

გმირული მოქმედებით გამოირჩეოდეს, მაგრამ რაღაც წყნარი, უსიტყვო სიდიადის ბეჭედი აზის ამ თავმდაბალი და ზეღმიწვევით პრინციპული ადამიანის ცხოვრებას, რწმენას თავისი დანიშნულებისადმი, მის განსაცვიფრებელ ენერგიას, რომლითაც გადალახა ყველა დაბრკოლება, რითაც პირადი და ჩვენი თანამედროვის სამაგალითო პორტრეტი დაიმკვიდრა.

## მარატ ღვალაძე

\* \* \*

ანზორ ბაბუხაძია – შესანიშნავი მეგობარი, გულწრფელი, ყურადღებიანი, კეთილმოსურნე; მან იცის ჭეშმარიტი მეგობრობა, ჭირში თანადგომა და ამავე დროს შესანიშნავი მეოჯახეა.

მისი პირადული ადამიანური თვისებებიდან გამომდინარე, საყოველთაო ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობს საზოგადოებაში.

რაც მთავარია და ხაზგასმით მინდა ვთქვა, ეს მისი პროფესიონალური დონეა.

ბრწყინვალე ეკონომისტი, ენერგიულად და აქტიურად უძღვება საქმეს, რა თანამდებობაზედაც უნდა მუშაობდეს.

მინდა გავიხსენო მისი გულისხმიერების, თანადგომის ერთი პატარა დეტალი – როცა ჩემს ოჯახში სოხუმიდან ლტოლვილი ნათესაობა მყავდა შეფარებული იმ უიმედობისა და უსახსრობის ჟამს, არც ვიცი საიდან გაიგო, მან პირველმა გამიწოდა დახმარების ხელი და არა ერთგზის.

ღიას, მჯერა რომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც გარკვეული და გაანალიზებული აქვთ, რაც ხდება მათ გარშემო და ენერგიას არ ზოგავენ, უანგაროდ ემსახურონ ერს ძნელბედობის ჟამს. ჩემის აზრით, ასეთი ადამიანები უნდა უძღვებოდნენ საქ-



მეს, რათა ქვეყანა სწრაფად გამოვიდეს კრიზისული მდგომარეობიდან;

დასასრულს მინდა ვთქვა, რომ ის საოცრად თეატრალურია, ხელოვნების დიდი მოყვარული – მარჯანიშვილის თეატრის აქტიური მყურებელია. მას მეგობრული, ადამიანური ურთიერთობა აკავშირებს თეატრის კოლექტივთან.

## მალხაზ ბაბურიშვილი

\* \* \*

ანზორ ბაბუხაძია ის კაცია, ვისაც მოყვრისა და ახლობლებისათვის გარჯა „თამაშად და უჩანს მღერად“.

იგი ლამაზია, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად და სწორედ ეს არის მისი მომხიბვლელობის საიდუმლოება.

მისი კეთილშობილური პირდაპირობა და უშუალობა ზოგჯერ საბედისწერო რისკსაც უახლოვდება. იგი ნაღია და პირში მთქმელი; შესაძლოა, მას ამა თუ იმ საკითხში არც დაეთანხმო, მაგრამ არ შეიძლება მისდამი პატივისცემით არ განეწყოს.

ყველა სიტუაციაში აშკარად ჩანს ანზორის ხასიათის ძირითადი კონტურები. ძალიან ხშირად მისი პასუხები ურთულეს კითხვებზეც კი, შეზავებულია მსუბუქი იმერული იუმორით. ამავე დროს მათში მკვეთრად იხატება არა მარტო პირადი ხასიათი, არამედ საქმისთვის საჭირო პრინციპულობა და შეუპოვრობა.

დიდი ბედნიერებაა მასთან მეგობრობა. იგი თავისი არსებობით სიკეთისა და ხალისის მთესველია.

ღმერთმა არ მოაკლოს ეს სიკეთე.

ნოდარ გურიშვილი

\* \* \*

ჩვენ ბავშვობიდან მოვდივართ. ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ანზორი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა თავაზიანობით, სიბეჯითითა და ნიჭიერებით. იგი ჩემზე ცოტა უმცროსია. მისი უფროსი ძმა კი, ჩემი თანაკლასელი გახლდათ. ანზორი და მისი და-ძმა პატიოსან, სახელოვან, ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღიზარდნენ.

ჩემთვის, ჩემი ოჯახის წევრებისა და ძალიან ბევრი ნაცნობისთვის, როგორც ქუთაისში, ისე თბილისში ანზორ ბაბუნაძია კეთილშობილების, სიწმინდის, ფიზიკური მშვენიერების, ერთგულების, უანგარო მეგობრობის გამოხატულებაა. დამეთანხმებით, ალბათ, საქართველოში რა ძნელია იპოვო ადამიანი, რომელიც თანამდებობას არ გამოეცვალოს. ეს ე.წ. „სავარძელი“ ყველაზე კარგი საშუალებაა ნებისმიერი ადამიანის შესაცნობად. მისი სამუშაო კაბინეტი და სავარძელი არაერთხელ შეიცვალა, მაგრამ მისი სათნოება, კეთილშობილება და გულისხმიერება ყოველთვის უცვლელი დარჩა. მასთან ურთიერთობა ძალიან იოლია. ნაცნობუცნობებთან ისეთი შეხვედრა აქვს, რომ ყოველგვარ უხერხულობას წამშივე ხსნის და გულწრფელი საუბარი იმართება. ბევრჯერ მინახავს, როგორ ცდილობს განურჩევლად ყველას დაეხმაროს. სიკეთეს, ისეთი სიფაქიზითა და ტაქტით აკეთებს, ყველაფერს ისე აიოლებს, თითქოს თვითონ არაფერ შუაშია და თავისთავად ასე უნდა ყოფილიყო. ანზორ ბაბუნაძია პრინციპული და მოუსყიდველი პიროვნებაა, როცა ამას საქმე მოითხოვს. კონკრეტული მაგალითებით მასზე უსასრულოდ შემიძლია ვილაპარაკო. ეს ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, რადგან იგი ნათელი კაცია, მოკლედ, ისეთია, ყველა მშობელი რომ შეილად ინატრებდა.

უფალს შევეთხოვ, მის ლამაზ ოჯახს არ მოაკლოს მფარველობა და საქართველოს უმრავლეს ანზორ ბაბუნაძიას მსგავსი შვილები.

**ირმა გურიელი**

\* \* \*

თუ რას წარმოადგენს ბატონი ანზორ ბაბუხაძია, ეს მეტად იოლი კითხვაა, რადგანაც მასზე არსებობს ცალსახა პასუხი – ის არის დიდი ორგანიზატორული ნიჭითა და კეთილშობილური თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი.

გარდა იმისა, რომ ქ. ქუთაისში ჩვენ ერთი უბნელები ვიყავით, მქონდა აგრეთვე ბედნიერება მასთან ერთად მესწავლა დაწყებით კლასებში ქალაქის I საშუალო სკოლაში. ის ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა წარჩინებული სწავლით, დამოუკიდებლობით, გონებამახვილობით, პრინციპულობით, დიდი მეგობრული გრძნობითა და თავაზიანობით. ამ თვისებების ჩამოყალიბებაში მას ხელს უწყობდა ქალაქში კარგად ცნობილი, მის დიდ ოჯახში დამკვიდრებული ტრადიციები და ადათ-წესები. ეს შესანიშნავი თვისებები ანზორს მთელი ცხოვრების გზას უმშვენებს, რის გამოც სარგებლობს დიდი ავტორიტეტით.

ანზორ ბაბუხაძიას, როგორც პიროვნების, წარმოდგენა არ იქნება სრულფასოვანი, თუ არ მოვიხსენიებთ, რომ ის არის შესანიშნავი მეუღლე და ორი ღირსეული ვაჟყაცის მამა.

### **პროფესორი აპოთანდოლ კორძაძე**

\* \* \*

არიან ადამიანები, რომელთა დახასიათება ადვილიც არის და ძნელიც. შეგიძლია ორი სიტყვითაც შეამკო, თანაც დაუსრულებლადაც ილაპარაკო.

სწორედ ასეთი პიროვნებაა ბატონი ანზორ ბაბუხაძია.

სიკეთისა და სიყვარულის გრძნობასთან ერთად, მასში თავისუფლად თავსდება, საქმისადმი პრინციპული და პროფესიონალური დამოკიდებულება.

ანზორი არის შესანიშნავი ოჯახის პატრონი, უანგარო და უხმაურო მსახური თავის ქვეყნისა და ერისა, შესაშური ენერგიის მქონე, რომელსაც არასოდეს არავინ არ ავიწყდება.

არის კულტურის დიდი მოყვარული და ქომაგი, თეატრის მუდმივი შესანიშნავი მაცურებელი, მაღალი ზნეობის, გაწონასწორებული ქცევის ადამიანი.

ასეთი პიროვნება სჭირდება სწორედ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას, მის აწმყოსა და მომავალს.

## **ნოდარ მგალობლიშვილი**

\* \* \*

ანზორ ბაბუხადიას გააჩნია ის თვისებები, რაც ანიჭებს შესაძლებლობას ჩვენი თანამედროვე საქმიანობის პროგრესულ შემსრულებელთა რიგში აღმოჩნდეს. კერძოდ, მასში საკმაოდ გამოკვეთილია პირადი ინიციატივა და სიახლის გრძნობა მის სამოქმედო სფეროში არსებულ საკითხების გადაწყვეტისას. ის ყოველთვის ახერხებს იზრუნოს ადამიანებზე, მეგობრული ხელი გაუწოდოს გაჭირვებაში ჩავარდნილს.

## **პარლმ მებრელიშვილი, თბილისის საპატრიო მოქალაქე**

\* \* \*

ბატონი ანზორ ბაბუხადია ჩვენი სამეგობროს ღირსეული წევრია. ბუნებრივია, ვიცნობ და ბევრიც მსმენია მასზე, თუმცა ახლო მეგობრები არ გვეთქმის. ამიტომ ობიექტური ვარ მის მიმართ. პირველივე შეხვედრისას ერთბაშად განგაწყობს მის

მიმართ მართლაც შესანიშნავი გარეგნობის გამო. შესაშურად თავისუფალია, იოლად შემოდის კონტაქტში და ერუდიციითა და გონებადამახვილობით ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს, ღირსებით უჭირავს თავი და კეთილი ღიმილი არ სცილდება, გულთან მიაქვს სხვისი სიხარულიცა და უბედურებაც. დაუზოგავად იცის მხარში ამოდგომა. რაც მახსოვს სამსახურებრივი მდგომარეობა ყოველთვის მაღალი აქვს, მაგრამ პოზის ნატამალიც კი არ შემინიშნავს. საზოგადოების ნებისმიერ წრეში პატივს სცემენ. განსაკუთრებით უყვართ კოლეგებს, სპორტსმენებს და ხელოვანთა წრეს. ძალიან კეთილია, დახვეწილობასთან და სიღარბისლესთან ერთად ძალზე უბრალო, ახლობელია. ალბათ ასეთებს გულისხმობდა ა. ჩეხოვი, როცა ადამიანზე ამბობდა, მასში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს, როგორც გარეგნობა, ასევე სული და აზრები.

ღიდ პატივს ვცემ ბატონ ანზორს და მემეტება მისთვის და მისთანებისთვის სამშობლოს სამსახური ასპარეზად.

## ოთარ მეღვინეთუსუცანი

\* \* \*

ანზორ ბაბუხადიას სახელი კარგადაა ცნობილი საღად მოაზროვნე ქართველი საზოგადოებისათვის.

სიყმაწვილის წლებიდან ვიცნობ, ერთდროულად გავატარეთ მოწაფეობის ხანა ქუთაისში და არაერთი ათეული წელია თვალს ვადევნებ იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე.

თავმდაბალი, ნიჭიერი, მრავალმხრივ განსწავლული, პრინციპული და მაღალზნეობრივი კაცია ანზორ ბაბუხადია.

ამ სიტყვებს უღრმესი პასუხისმგებლობის გრძნობით ვწერ.

რევაზ მიშველაძე

\* \* \*

დღეს დილით ჩემმა კოლეგამ, ჟურნალისტმა მარატ ღვალაძემ დამირეკა და მკითხა:

-ანზორ ბაბუხაძიას იცნობთ?

ყოველგვარი ირონიის გარეშე ვუთხარი ის სიტყვა, რომელსაც ჩვენი წინაპარი სიამაყით ამბობდა, დღეს კი სარკაზმის იერი დაჰკრავს:

-მაქვს ბედნიერება ვიცნობდე!

-როგორი კაცია?

-სიკეთის მთესველი და სიკეთის დამნახველი. ქვეყანას, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს, ასე არ უნდა გაუჭირდეს. ერთი სიტყვით ასეთებზე ამბობენ – ჭკუის საკითხავი კაცია.

## ბიზო ნიჰნიანიკა

\* \* \*

ანზორ ბაბუხაძია – გამორჩეულია შესანიშნავი თვისებებით. ჩემი პირადი სიმპათიების გარდა, რომელიც დამყარებულია მის კაცურ-კაცობაზე, არის თავისი საქმის აღიარებული სპეციალისტი და უზომოდ შეყვარებული თავის სამშობლოზე. ის გაერთიანება „სპორტული საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური მოღვაწეა. ვიზიარებ ყველა მის პრინციპსა და პოზიციას – ახალი ქვეყნის მშენებლობის გზების ძიებაში.

## ბურამ საღარაძე

\* \* \*

ანზორ ბაბუხაძია ჩემი ძვირფასი მეგობარია!

მომწონს, როგორც პიროვნება!

პატივს ვცემ, როგორც პროფესიონალს!

ვენდობი, როგორც უღალატო კაცს!

ერთი სიტყვით, ჩემი ძვირფასი მეგობარი მარტო ჩემთვის კი არა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისთვისაც საჭირო პიროვნებაა!

მაღალი ღმერთი შეეწიოს ყველა მამულიშვილურ საქმეში!..

**თამაზ ნიჟიჯაძე**

\* \* \*

ანზორ ბაბუხადია: განათლებულია, პუნქტუალურია, კარგი ორგანიზატორია, უღალატო მეგობარია.

**ნიკო სატიანჰვილი**

## **ПСИХОАНАЛИЗ ДРУГА**

*Анзору Бабухадия с уважением*

Широкий шаг и смелый взор,  
Вот так пришел в отдел Анзор.  
На вид здоров и очень бодр  
Немного даже где-то добр.

На деловой настроен тон  
В науке ищет камертон.  
Не любит в жизни лишний звон,  
Но сам чуть-чуть полупижон.

В любви не очень-то удалый  
Потому что гордый малый  
И автор тоже не у дел,  
Что в шарже вас полураздел.

**Гурам Буадзе 29.05.69**

# გაგიკეთებია, ძმაო, გაგიკეთებია!

ძმაო ანზორ!

შენი მეგობრები მოგესალმებით და 60 წლის შესრულებას გილოცავენ!

60 წელი არც ისე დიდია, დასვენება რომ მოგინდეს, და არც ისე ცოტა, უკან მოხედვის სურვილი არ გაგიჩნდეს და „რა გა-მიკეთებიაო“, – არ იკითხო.

გაგიკეთებია, ძმაო, გაგიკეთებია! გაგიკეთებია მშობლებისთვის, შეილებისთვის, სანათესაოსა და სამეზობლოსთვის, მეგობრებისთვის, კოლეგებისთვის და უბრალოდ ნაცნობებისთვის. ყველა ნაბიჯზე, ყველა მომენტში – სწავლის დროს, შრომის დროს, დასვენების დროს და ავადმყოფობის დროსაც კი გიფიქრია სიკეთეზე და გიკეთებია სიკეთე. ისეთი შეხვედრა იცი, თითქოს არასოდეს პრობლემა არ გქონია, არც გაქვს და არც ელოდები. ისეთ იმედს თესავ, თითქოს ყოველისშემძლე იყო, ისე იხარჯები, თითქოს ზღაპრის წყაროდან ივსებოდე.

გვახარებს შენი ალტრუიზმი, მოყვასისადმი დახმარების შენი მზადყოფნა.

გვახარებს შენი გონებისა და ნიჭის გასაოცარი ორგანიზებულიობა და სისტემურობა, შენი ახალგაზრდული შემართება, ღიმილიანი ხალისი და პროგრესული აზროვნება.

გვახარებს შენი პროფესიონალიზმი და ინტელიგენტურობა. ჩვენ, შენი მეგობრები ყველაფერ ამისთვის მადლობას გიხდით. მადლობა შენს მშობლებს – უმშვენიერესი გენისთვის და უმშვენიერესი აღზრდისთვის.

მადლობა უფალს – ღვთიური ნიჭის მომადლებლისთვის.

მადლობა შენ – ამ მადლის ღირსეული ტარებისთვის.

და ბოლოს, მადლობა ყველა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ძა-



ლას, ვინც შენი თავი აჩუქა ჩვენს სამეგობროს და აგერ 60 წელია ჩვენ ამ „ნაჩუქრით“ ვხარობთ!

იცოცხლე, ძმაო, სხვაც ახარე და შენც იხარე!

უფალმა ინებოს, რომ შენი ნასაქმ-ნაღვაწი კეთილად მოხმარდეს შენს ოჯახს და შენს სამშობლოს. იცოდე, რომ ცხოვრების წესით სამაგალითო ხარ ჩვენთვის.

ჩვენ ვამაყობთ შენი არსებობით!

**ზაირა ღუღუშაური, თამაზ ვაშაკიძე,  
ოთარ დოლიძე, თამაზ ცაიტიშვილი**

## მსგავსი ანლობელი ყველას ჰყავჯეს

სამოციანი წლების დასაწყისი იყო. საწარმოში ხშირად მოჰყავდათ სტუდენტები პრაქტიკის გასაგეგმად... უზომო სიამოვნება მივიღე ჩემი საყვარელი ლექტორის ბატონ კოკი გაბუნიას მოულოდნელი სტუმრობით. თვითონაც გულითადად მომეფერა, შემდეგ თანამშრომლებიდან განზე გამიხმო და ღიმილით მითხრა: „უცნაურად არ მოგეჩვენოს, მინდა ეს ყმაწვილი ჩაგაბაროთ, პრაქტიკა რომ გაატარებინოთ, მერწმუნეთ, თქვენც კმაყოფილი დარჩებით“.

მაშინ, ცხადია, არ შემეძლო იმის წარმოდგენა, თუ როგორ სასიკეთო საქმეს ეყრებოდა საფუძველი. სტუდენტ-პრაქტიკანტმა ანზორ ბაბუხაძემ მისდამი ყველა სიმპათიურად განაწყო, რასაც მოჰყვა საწარმოს ხელმძღვანელობის თხოვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატზე მაუღ-კამპოლის კომბინატში სამუშაოდ მისი განაწილების თაობაზე.

ასე დაიწყო ანზორის შრომითი საქმიანობა, მაგრამ ერთი „პრობლემის“ გადაწყვეტა მაინც გახდა საჭირო: საწარმოში

ეკონომიკური სამსახურის ორი მოზრდილი განყოფილება ფუნქციონირებდა და ორივე უკეთეს პირობებს სთავაზობდა „გადმოსაბირებლად“. რაც იმით დამთავრდა, რომ გამოინახა ისეთი შტატი, რომელიც ორივე განყოფილებას განეკუთვნებოდა. ცოტა მოგვიანებით, როცა ანზორი მოგვიშინაურდა ჩვენთან შეხვედრისას მოხდენილი იუმორით ორივე ხელის ზევით აწევით „ჩემს უფროსებს მხურვალე სალამიო“ გვესალმებოდა.

არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დიდხანს დარჩენოდა ვინმეს და ანზორი მალე დააწინაურეს, მაგრამ ჩამოყალიბებული ურთიერთობა და სისტემატური კონტაქტი საშუალებას მაძლევდა მცოდნოდა ყველაფერი მის შესახებ. ანზორის მსგავსი პიროვნებები ღმერთისაგან ნაბოძები კეთილშობილებით არიან გაბედნიერებულნი. დავუმატებ: მეც ვუმაღლი მაღალ ღმერთს იმ უზომო სიამოვნების გამო, რასაც ანზორთან ურთიერთობა მანიჭებს. ერთ ამბავშიც უნდა გამოვტყდე: ორი შვილიშვილი მყავს, კარგი ბიჭები იზრდებიან, როცა მათ შესახებ ვფიქრობ და რაიმე საუკეთესო მინდა ვუსურვო, უნებურად აზრი ანზორისკენ გამიბრბის – ღმერთს ვთხოვ ისინიც ანზორისნაირი კაცები დაიზარდონ.

ვიცი, ანზორ ბაბუნადასნაირი ყველა ქართველი ვერასოდეს იქნება, მაგრამ იმას კი ვინატრებდი, მისი მსგავსი პიროვნება ახლობელი მანაც ჰყავდეს ყველას.

## თენგიზ ტატუნაშვილი

\* \* \*

„სარკმელი საქართველოსი“ გაზეთის რედაქტორთა საბჭოს არცერთი წევრი შემთხვევით არ შერჩეულა. მთავარი მოთხოვნები იყო წარმომავლობა, პროფესიონალიზმი და შინაგანი სიწმინდე.

მრავალთაგან სწორედ ამ სამი ძირითადი მონაცემით არის გამორჩეული ბატონი ანზორ ბაბუნადა და ეს იმ პუბლიკაცი-

ებშიც თვალნათლივია, რომლებსაც მისი ხელმოწერით ბეჭდავს „საკმელო საქართველოსი“. საკითხის არსში სიღრმისეული წვდომა და თითოეული ფრაზის საოცარი დახვეწილობა, რაც მისი თხზულებებისათვის არის დამახასიათებელი, უაღრესად მშრალ სტატისტიკურ მონაცემებსაც კი მკითხველისათვის მიმზიდველსა და გასაგებს ხდის.

თამამად შემოიძლია ვთქვა, რომ სახელისუფლო სტრუქტურებს სწორედ ისეთი შეუბღალავი რეპუტაციის ქართველი ოჯახისშვილები სჭირდება, როგორც ანზორ ბაბუხაძეა, რათა ჩვენმა ქვეყანამ როგორმე თავი დააღწიოს უმწვავეს ეკონომიკურ კრიზისს.

ჩვენი გაზეთი ამაცობს თავისი მრჩეველთა და ეკონომიკური რედაქტორით.

## ალექსანდრე შენგელია

### ჩემო ანზორ!

დავიწყებ იმით, რომ შენ, ქვეყნისა და საზოგადოებისთვის ხარ პიროვნება, რომელსაც ჩვენი საქართველოს ჭირვარაში ყოველთვის აწუხებდა და აწვალებდა.

სადაც არ უნდა ყოფილიყავი, რომელ სამსახურშიც, ყოველთვის მართალი, პატიოსანი და საქმის მცოდნე მოღვაწე იყავი.

შენთვის დრო არ შეცვლილა, ფარ-ხმალი არ დაგიყრია, ლაპარაკობ და საქმიანობ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

შენი გაზეთი და ეს შენი წიგნი, ამის დასტურია!

გადავიკითხე შენი ბროშურა, მასში ბევრი რამ სპეციფიკურად და პროფესიონალურად არის გაანალიზებული.

ყველაფერს ღრმად ვერ ჩავწვდი, მაგრამ ვგრძნობ, რომ შენ აბსოლუტურად მართლად და ღრმად აზროვნებ.

## ბურამ გომართელი

# არაჩვეულებრივი „ქუთაისელი – თბილისელი“

რეგალიები და თანამდებობები ნამდვილად არ აკლდა, მას შემდეგ, რაც ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა, თითქმის სულ თანამდებობის პირია. ერთნაირად უყვართ – დედაქალაქში და ქუთაისში, რადგან მისი აქაური და იქაური სამმაკაცოსათვის იგი ყველაზე საუკეთესო, თანაც ნამდვილი თბილისელი – ქუთაისელი და ქუთაისელი – თბილისელია.

...და ასე დაუსრულებლად.

დასაწყისი კი ასეთი იყო.

\* \* \*

თუმცა ჯერ დასაწყისზე მოვყვები. იმაზე, თუ როგორ აუღია ბერიკა გელოვანს მოკლული შვილიშვილის გამო სისხლი და როგორ დაურქმევიათ მისთვის „ბაბუა-ხადია“ (ე.ი. ბაბუა, რომელმაც სამაგიერო გადაიხადა). მერე, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, სვანეთიდან გამოქცეულა და ოკრიბის ერთ-ერთი სოფლისათვის შეუფარებია თავი.

თვითონაც ბაბუა ანთიმოზი ყველაზე კარგად ახსოვს.

უბრალო და მშრომელი კაცი. ცხოვრებისგან შექენილი სიბრძნით. თბილად და ტკბილად აგონდება, ის დრო ბაბუასთან რომ ინაწილებდა ოთახს. მისი მოვლა, მასთან ჭუკჭუკი.

ამ ურთიერთობების გამო სამეგობრო მასაც ანთიმოზს ეძახდა.

ბაბუა, ამით უბრალოდ ამაყობდა.

\* \* \*

მამა სხვაგვარად ახსენდება. ლევან ბაბუხაძია – კურილის კუნძულების პირველი საბჭოთა გუბერნატორი. შორეულ ქვეყანაში, რომ შეძლო ასეთივე შორეული და გაუცხოებული ადამიანების გულის გაღვლილობა და მათი ნდობის მოპოვება.

შვილებს სამხედრო წესებით ზრდიდა.

დღის რეჟიმი, ძილის წინ ტანსაცმლის მოწესრიგება-დალაგება, წუთებში ჩაცმა და ლოგინის გასწორება, სკოლაში წასვლის წინ თავიანთი წილი საოჯახო საქმის გაკეთება. უნდოდათ ეს თუ ზოგჯერ პროტესტის გრძნობა უჩნდებოდათ სხვა საკითხია, მთავარია, რომ ყველაფერს უყოყმანოდ ასრულებდნენ. და მეტიც... დღეს ამისთვის მადლიერია მამის.

დელა მართლა სხვა იყო.

დელამისი... ლამაზი, გონიერი, სათნო ნინო შავდია, მისი მონატრება სულ თან სდევს. იმიტომ, რომ ორმოცდასამი წლისა ძილში აღესრულა, ფიქრობს, რომ მოფერება ვერ მოასწრო ისე, როგორც ღირსი იყო.

\* \* \*

თვითონაც ხომ შორეულ აღმოსავლეთში დაიბადა. ჰოდა, რუსეთ-იაპონიის ომის დაწყების წინ, მამამ ცოლი და ორი ვაჟიშვილი სასწრაფოდ საქართველოში გამოისტუმრა.

სამი თვე გზაში იყვნენ. მატარებელი, სატვირთო მანქანა, მარხილი, გემი, ბორანი... ყველაფრით იმგზავრეს. გემზე ინფექცია შეეყარა თურმე და ძალიან ცუდად იყო. ადამიანის შვილს არ ვგავდიო – ჰყვება. მგზავრები დელამისს შვილის წყალში გადაგდებას ურჩევდნენ.

გადარჩა. ე.ი. იღბლიანია.

და ასეცაა.

მისი ერთი მეგობარი, ერთ-ერთი უმრავლესთაგანი წერს: „ან-ზორი იმ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნის, რომელთა ბიოგრაფია დიდი რომანტიკული წარსულით ან განსაკუთრებული გმირული მოქმედებით გამოირჩევა, მაგრამ რაღაც წყნარი, უსიტყვო სიდიადის ბეჭედი აზის ამ თავმდაბალი და ზედმიწევნით პრინციპული ადამიანის ცხოვრებას“.

ნამდვილად ასეა. განსაკუთრებულია ყველაფრით. მოქმედებით, გარეგნობით, სიტყვით. განსაკუთრებულია მეგობრობითაც. თანაკლასელები დღემდე აღმერთებენ. თვითონაც თავის მეზუთე სკოლა ძალიან უყვარს.

მასწავლებლები, საოცარი პედაგოგები იყვნენო, ამბობს და თავისი ლამის კრისტალური სამეგობროს საუკეთესო ვაჟაკცუბად ჩამოყალიბებაში მათ დამსახურებაზე საუბრობს.

მერე უნივერსიტეტი იყო. ასპირანტურა.

მერე კარიერა, სუფთად პროფესიონალიზმზე აგებული.

სუფთა იყო, ამიტომ ყოველთვის ზედმეტად პრინციპული. დამეთანხმეთ, ეს დიდი ფუფუნებაა. ყოველთვის ხმამაღლა გამოხატავდა თავის პოზიციას, არ ძალავდა სათქმელს. ამიტომ ყოველთვის აჭრელებული იყო პრესა მისი მკვეთრი რეპლიკებით საბაზრო ეკონომიკაზე, პოლემიკით მასსა და სხვადასხვა მედროვე ჟურნალისტებს შორის.

\* \* \*

ახლა მთავარზე. თუმცა უკვე ბევრი მნიშვნელოვანი ითქვა.

...თბილისში ხომ 40 წელზე მეტია ცხოვრობს. სადღაც იქ, გულის სიღრმეში მაინც ჩვენებურად დარჩა. ამიტომ თბილისელები ქუთაისისადმი მისი დამოკიდებულების გამო, ქუთაისელს ეძახიან. ქუთაისელი ძმაკაცები – თბილისელს. ხანდახან სტუმარიც კი წამოსცდებათ მისი მისამართით. თუმცა ამ სიტყვას სა-

თანადო რეაქცია მოჰყვება. სულ აქეთ მოეჩქარებოდა და იმდენი მივლინება აქვს საქუთაისოდ გაფორმებული, ხუმრობს „ვინმე, რომ დაინტერესდეს და ამოკრიბოს რამდენჯერ ვარ მივლინებით ქუთაისში ნამყოფი, შეიძლება შარიც კი მომდონ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაშიო“.

თუ იცით ყველაზე მეტად რა ენატრება: წყალწითელაში, სათავესთან და რიონში, თეთრი ხიდის ქვეშ ბანაობა. აქ მას ბალიდან მოყოლებული იმხელა სამეგობრო ჰყავს – ყველა იცნობს. თბილისშიც დიდებულ ადამიანად იცნობენ.

არადა, ერთ ღროს ჩვეულებრივი ქუთაისელი ბიჭი იყო. როგორც ჩანს... არც ისეთი ჩვეულებრივი

## მანანა ქურციკიძე

*ჟურნალი „ჩვენებური“. №2, დეკემბერი, 2006.*

# ქს<sup>o</sup>

საბედნიეროდ, როგორც ბევრ სხვაგან,  
იბალებიან ჩვენშიც კაცები,  
რომელთაც მერე, მთელი ცხოვრება,  
ტაშს ვუკრავთ დიდხანს და აღტაცებით!  
მათი ვარსკვლავი სხვაგვარად ელავს  
და გზა სავალიც, ძნელზე ძნელია.  
სამაგიეროდ, ბევრს მეტად უყვარს  
და მოუთმენლად მიტომ ელიან.  
ჭირსა თუ ღზინში გვერდს დაგიმშვენებთ,  
როგორც ჭემმარიტ რაინდთ სჩვევიათ,

მათი ცხოვრების წესი ეს არის,  
გზიდან არასდროს გაღუბვით!  
ერთი ასეთი კაცი ჩვენცა გვყავს,  
გამოიცანით ცხადზე-ცხადია,  
თქვენ არ შემცდარხართ, მიზანში ურტყამთ,  
ეს არის ანზორ ბაბუხადია.

მერაბ ბერაძე,  
მარიამობა, 2010 წელი, ქ. თბილისი

## მსჯეობა მამულიშვილები კვიძრაგლოს

როცა თქვენი წიგნი წავიკითხე, აღტაცება ვერ ღავფარე, ბრწყინვალე ეკონომისტი, ბრწყინვალე ჟურნალისტი, გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორი, ჩოხოსანთა ოჯახის საპატიო წევრი, მრავალი წიგნის ავტორი, მართლმადიდებელი და ბოლოს ოკრიბელთა მესვეური. ბუმბერაზი ადამიანი ბრძანდებით, თუმცა მოუცლელი, ბატონო ანზორ, თქვენ ჩემთან რაღაც ერთმა შემთხვევამ არ მოვიყვანათ. მამ რამ?

პასუხი ერთია:

– ოკრიბის ფესვებმა, ოკრიბის მიწის ყივილმა. ყოჩაღ, ვაჟ-კაცო! მოუცლელი ხართ და მოიცალეთ, საამისოდ დრო გამო-ნახეთ, სკოლაში მესტუმრეთ და წიგნიც მაჩუქეთ.. ამ წიგნით გაგიცანით. ამ წიგნმა კი თქვენი ნიჭი და მამულისადმი თავდა-დება მაგრძნობინა. ნიჭი ზომ საჩუქარს ნიშნავს და ეს საჩუქარი



განგებამ გიბოძათ. მაღლობა უფალს, რომ კიდევ ერთი ნიჭიერი რაინდი აჩუქა ოკრიბას. მაღლობა უფალს, რომ ერისკაცი მოუვლინა ჩვენს ქვეყანას, ასეთ ერს გადაშენება არ უწერია.

ბატონო ანზორ, მართალია, ეკონომისტი არა ვარ, ამ მეცნიერებაში არასოდეს ჩამიხედავს პროფესიით პედაგოგს, მაგრამ მწამს, რომ ურთულესი დარგია – ეკონომიკის ფილოსოფია, მას ვერასოდეს დავეუფლები, სამაგიეროდ საქვეყნო საქმეს ვაკეთებ – მამულს მომავალ თაობას ვუზრდი, მამულის სიყვარულით გაჯერებულს, რადგან თითოეულ აღსაზრდელში ვხედავ სამშობლოს. სამოცმა თაობამ დაამთავრა სკოლა ჩემს ხელში. არცერთი არ არის კრიმინალი, ქურდი, მოღალატე, პირიქით, ბევრი სახელოვანია დღესაც (რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა). ჩვენს სკოლაში რომ გესწავლათ, ალბათ, ჩემი მოსწავლე იქნებოდით.

ბატონო ანზორ, თქვენ მრავალმხრივი მოღვაწე ბრძანდებით, დაუღლეელი რაინდი, ერის ქომაგი. თქვენ, ალბათ, სამოცი წლისა არც ბრძანდებით, მე კი ოთხმოცს გადავაბიჯე. გულახდილად გეტყვით, რომ გვერდით ვერ დაგიდგებით, რომ თქვენთან ერთად ვიბრძოლო, მაგრამ გპირდებით, რომ თქვენთვის ვილოცებ, ქვეყნის შემოქმედს თქვენს დღეგრძელობას შევევედრები; უფალს შევევედრები, რომ ის მძიმე ტვირთი, რომელსაც საერისკაცო ტვირთი ჰქვია, საერისკაცო ტაძარში დაუღლელად მიგეტანოთ.

უფალს იმასაც შევევედრები, რომ თქვენი მსგავსი მამულიშვილები გვიმრავლოს.

**თინათინ ჯიჟიაშვილი**

## ჩემო ანზორ!

საქართველოს მცირე მეწარმეთა ასოციაციის წევრები დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. ფიზიკური და სულიერი სილამაზით, კეთილშობილებითა და პატიოსნებით, მაღალი ინტელექტითა და პროფესიონალიზმით, ქართველი ხალხისა და საქართველოს ჭეშმარიტი სიყვარულით გამორჩეული მამულიშვილი, საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობებზე უმწიკვლოდ და მაღალპროფესიონალად მუშაობას, ყოველთვის უთავსებდი დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას.

დღესაც მუშაობთ რა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ერთ-ერთი წამყვანი დეპარტამენტის დირექტორად, ხართ ჩვენი ასოციაციის თანათავმჯდომარე, ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე, თბილისში მცხოვრები ძირძველი ქუთაისელების საზოგადოების „ბაგრატიის ტაძარი“-ს პრეზიდენტი, უცხოეთში გაგრცელებულ გაზეთ „სარკმელი საქართველოს“ რედაქტორი ეკონომიკის საკითხებში და, რაც მთავარია, უკვე საყოველთაოდ აღიარებული, შესანიშნავი გაზეთის „თანადგომა“-ს გამომცემელი, რომელსაც დიდი შვება და სიზარული მოაქვს მკითხველისათვის.

დღევანდელ საქართველოში ძნელია იყო ნამდვილი მამულიშვილი, რამეთუ მრავლად არიან სიტყვით მამულიშვილნი და ძალიან მცირედნი – საქმით. 60-წლიანი ცხოვრებით შენ უკვე დაამტკიცე, რომ ხარ ამ მცირედთა რიგში.

დიდია შენი პროფესიული დვაწლი ჩვენი ასოციაციის საქვეყნოდ წარმოჩინების საქმეში. საქართველოში ჩვენ ერთად ვაგლებთ პირველ ხნულს და ვთესავთ ჭეშმარიტ მცირე მეწარმეობას, რომლის სასიცოცხლო ნაყოფს მალე იგემებს ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თაობა.

ღმერთი მაღალია და ყველაფერს ხედავს, მთავარია მუდამ გვახსოვდეს დიდი ილიას სიტყვები: „ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ამ ისტორიული მისიის ბოლომდე აღსრულების საშვილიშვილო საქმეში.

## ანზორ საკანდელიძე

\* \* \*

ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე საქართველოს ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე, თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თანათავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ღირსების ორდენოსანი, ბატონი ანზორ ბაბუხაძე საზოგადოება „ქუთაისელის“ საპატიო წევრია.

მან, როგორც ეკონომიკის საკითხებში საქართველოს მთავრობის ყოფილმა მთავარმა სახელმწიფო მრჩეველმა, უაღრესად ჰუმანური გაზეთის „თანადგომის“ დამაარსებელმა და გამომცემელმა, გაზეთის - „სარკმელი საქართველოსი“ რედაქტორთა საბჭოს წევრმა და მთავარმა ეკონომიკურმა ხელმძღვანელმა, მრავალი წიგნისა და პუბლიცისტური სტატიის ავტორმა არაერთგზის დაამტკიცა, რომ არის უაღრესად განსწავლული და ობიექტური ექსპერტი, რომლის დასკვნებს ფრიად პრინციპული მნიშვნელობა აქვს ბიზნესის სფეროთა და თავისუფალ მცირე მეწარმეთა საქმიანობის სასიკეთოდ წარმართვაში.

ბატონ ანზორ ბაბუხაძეას, როგორც ძირძველი ქუთაისური ოჯახის შვილს, დღესაც უახლოესი კავშირი აქვს საზოგადოება „ქუთაისელთან“, რაც ჩვენ ძალზე გვეამაყება.

იდლეგრძელეთ, ბატონო ანზორ!

*საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდენტი, პროფესორი*

**ლევან სვანაძე**

\* \* \*

გაზეთ „თანადგომის“ მესამირკვლე და შემოქმედი, ზნეკეთილი და განათლებული პიროვნება ანზორ ბაბუნაძია პროფესიით ეკონომისტია. იგი ამავედროულად მრავალრიცხოვანი გამოსვლებით, საინტერესო პუბლიკაციებით აქტიურად და საქმის ცოდნით ებმება ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, მათ შორის განათლების მოწყობის კონცეპტუალურ საკითხებში, მომავალი თაობის აღზრდის მამულიშვილურ საქმეში.

იგი ყველგან და ყოველთვის გამოირჩევა მაღალი ერუდიციით, ზნეკეთილობით და სიღარბაისლით.

*საქართველოს განათლების  
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი  
ნათიელა ვასაძე,  
აკადემიკოს-მდივანი  
ლევან ჩიქვანიძე*

## სიკეთის მთესველი

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც თავის რიგებში ყველაზე გამოჩენილ 50 ქართველ სწავლულ ეკონომისტს აერთიანებს, გულითადად მოგესალმებათ თქვენ, საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს, შესანიშნავ მეგობარსა და კოლეგას, და გილოცავთ დაბადებიდან სახელოვან 60 წლისთავს.

თქვენ რომ აღიარებული ავტორიტეტით სარგებლობთ ქართველ ეკონომისტთა (და არა მარტო ეკონომისტთა) წრეში, ეს უწინარეს ყოვლისა, თქვენი ღრმაშინაარსიანი ცხოვრებითაა

განპირობებული. მხედველობაში მაქვს მაღალი პროფესიონალიზმი, დახვეწილი აკადემიურობა და შესაშური ზნეობრიობა. ამის ნათელი დასტურია სხვადასხვა დროს თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური კვლევის სექტორის გამგის, ვაჭრობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსის, საქართველოს მთავრობის მთავარი სახელმწიფო მრჩევლის და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

ბატონო ანზორ, ჩვენ დიდად ვაფასებთ იმასაც, რომ თქვენ მრავალფეროვან პრაქტიკულ საქმიანობას შესანიშნავად ათავსებთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ მოღვაწეობასთან და ითვლებით ჩვენი ახალგაზრდობის მომავლის ერთ-ერთ გულისხმიერ დამკვალიანებლად. ეკონომისტთა საჯარო დისკუსიებსა თუ დისპუტებზე თქვენი აქტიური მონაწილეობა ყოველთვის დიდ კმაყოფილებას იწვევს მსმენელებს შორის.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ყველგან, სადაც კი გიმუშავიათ, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდით, რაც არა მარტო არ გვიკვირს, არამედ სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია. სხვანაირად არ შეიძლებოდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ თქვენ დაჯილდოებული ბრძანდებით ძვირფასი ადამიანური თვისებებით – მაღალი ინტელექტით, ქცევის საოცარი კულტურით, ზედმიწევნით თავაზიანობით და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყველგან და ყოველთვის სიკეთის უხვად ფრქვევით.

ბატონო ანზორ, არ შეგვიძლია ორიოდე თბილი სიტყვა არ გითხრათ უკანასკნელ პერიოდში თქვენს მიერ გამოჩენილ კიდევ ერთ არაჩვეულებრივ თაოსნობასთან დაკავშირებით. საუბარი თქვენი ძალისხმევით გაზეთ „თანადგომის“ გამოცემაზე, რომ-

ლითაც პატივი მიაგეთ მარადისობაში გადასულ მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების არაერთ სახელოვან წარმომადგენელს, მათ შორის, მეცნიერ-ეკონომისტებს - ფილიპე გოგიჩაიშვილს, ირაკლი მიქელაძეს, ავთანდილ გუნიას, ვალერიან მელქაძეს, გივი ჭანუყვაძეს, დავით ძნელაძეს, რომლებმაც მთელი თავიანთი ნიჭი და უნარი კაცობრიობის უკეთესი მომავლისთვის ზრუნვის კეთილშობილურ საქმეს მოახმარეს.

ძვირფასო ანზორ, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელ, ბედნიერ და სიხარულით აღსავსე ცხოვრებას, თქვენს ძვირფას ცოლ-შვილთან ერთად, და კვლავაც ჩვეული შემართებით მოღვაწეობას ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

*ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის  
პრეზიდენტი, პროფესორი  
ლეო ჩიქავა*

\* \* \*

ეროვნული ინტელიგენციის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, ეკონომიკის დარგის მაღალი რანგის პროფესიონალი, ანალიტიკური აზროვნების განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებული მეცნიერი, დარგში მოღვაწეობის სოლიდური სტაჟის მქონე სპეციალისტი, პუბლიცისტი. საქართველოს ფაზისის აკადემიის წევრი ანზორ ბაბუხაძია დროულად და საქმიანად ეხმიანება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

ბატონი ანზორი საზოგადოებაში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს. ის სამართლიანად ითვლება მრავალი სასიკეთო საქმიანობის ორგანიზატორად, რომელთა შორის განსაკუთრებულად აღსანიშნავია მის მიერვე დაფუძნებული გაზეთი

„თანადგომა“, რომელიც ეძღვნება საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეთა ხსოვნას. მხოლოდ ეს ქველმოქმედებითი აქციაა საკმარისი მისი პიროვნული თვისებების საილუსტრაციოდ.

შემდგომ წარმატებებს გისურვებთ ბატონო ანზორ!

**ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი  
ცოტნე გირცხულავა**

## **ნაღდი მამულიშვილობის მაგალითი**

ანზორ ბაბუხაღია ორიგინალური ხელწერის საზოგადო მოღვაწეა, აზროვნებისა და მოქმედების მრავალფეროვნებით გამოჩენილი, ყოველთვის მიზანმიმართული, არჩევანის ერთგული, აღჭურვილი განსაკუთრებული უნარით – ემსახუროს სიკეთეს, ერის ისტორიას, ქვეყნის მომავალს.

ბატონმა ანზორმა თავის „თანადგომით“ ძნელბედობის ჟამს ნაღდი მამულიშვილობის სანიმუშო მაგალითი შექმნა.

შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ ღირსეულ კაცს.

**პროფესორი  
ნოდარ ჭითანავა**



# თანადგობა - ს

შ ე ს ა ს ე ბ







მოხარულნი ვართ, რომ დააჩნდა გაზეთი „თანადგომა“, რომელიც მიზნად ისახავს მრავალნი ისეთი საკითხის გაშუქებას, რაც აწუხებს ჩვენს საზოგადოებას.

დღეს, როდესაც გარშემო ბევრი სერიოზული პრობლემაა, საღვთისმშობლის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი აზრის, სწორი პოზიციის შემუშავებას.

იმედი გვაქვს, ეს გაზეთი დაეხმარება ადამიანებს ჭეშმარიტების ძიებაში და იქნება მათი თანამდგომი, მრავალ სხვა საკითხშიც.

ღმერთმა დალოცოს მისი გამომცემელი და მკითხველი.

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

9 მარტი, 2001 წელი

# „სიკვდილიცა სიცოცხლედ მიხნს...“

ანუ ანზორ ბაბუხადიასაგან „გაშენებული  
სიცოცხლის ბაღისა“ გამო

უთუოდ ტარიელის ეს სიტყვები, წერილის სათაურად გამოტანილი, ჩაესმოდა დიდ ჩარგლელს, როცა სიკვდილს მიმართავდა:

**ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,  
სიცოცხლე შენობს შენითა.**

მართლაც, არცრა ფასი ექნებოდა სიცოცხლეს, სიკვდილი რომ არ არსებულებოდა. იქნებოდა, მაგრამ ფასი არ ექნებოდა, აი სიკვდილი კი ისე ვერ იარსებებდა, სიცოცხლე რომ არ არსებულებოდა. სწორედაც ამით სხვაგვობს სიცოცხლე სიკვდილისგან და სწორედაც ამით ამეტებს თავს. რუსთაველისა არ იყოს, მთავარია, სიკვდილიცა სიცოცხლედ გვიჩნდეს. ვინც ამას ახერხებს, ანუ ვინც თავისი სიცოცხლით ერევა სიკვდილს, ის ხორცისა და სულის გაყრის ჟამს თავის სულთან ერთად ამქვეყნად რჩება ვითარცა უხორცო, და რუსთაველიც სწორედ ასეთ სიცოცხლის შვილს, და არა სიკვდილის შვილს, ათქმევინებს, სიკვდილიცა სიცოცხლედ მიჩანსო.

გაზეთი „თანადგომა“ ხომ უწინარესად ასეთი ადამიანების „სიცოცხლის ბაღი“ და არა საძვალე ანდა სამრავალკაცო, ანუ საძმო სასაფლაო, სადაც სიკვდილისგან დამარცხებული ადამიანები განისვენებენ. ამ წიგნში ის ადამიანები ცოცხლობენ, ვინც სიკვდილს მოურია და ვისთვისაც სიკვდილი თავისებურ ღზინად იქცა, რადგან ისინი სიცოცხლესთან ერთად ღროშიც არიან და სივრცეშიც.

არადა ისე არცრა ფასი სძევს ცხოვრებას, სიცოცხლეს, ჩვენს წამიერ ადამიანურ ბედნიერებას, რასაც იმდენივე გაგება აქვს, რამდენი ადამიანიც დადის მზის ქვეშ.

ღიასაც, ცხოვრებისა და სიცოცხლის ბედნიერების ამ გაგებაში დააწერინა ერთ-ერთ უდიდეს ადამიანისშვილს, გვარად შოპენჰაუერს, თავისი „ცხოვრების არარაობა და სიმწარენი“. და თუ შოპენჰაუერის მიხედვით, ბედნიერი ადამიანი ყველაზე ბედნიერი ჩაძინების წამშია, ხოლო უბედური ადამიანი ყველაზე უბედური გამოღვიძების ჟამს არის, მაშ, რას ვერჩით სიკვდილს, როგორც უდიდეს თავშესაფარს ამ უბარაქო წუთისოფლისაგან გაქცეულთათვის, როგორც ყოვლის უფრო ტკბილ ჩაძინებას. აკი რუსთაველიც ამბობს, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილიო.

სულ რამდენიმე წუთს ყური ვათხოვოთ ზემოხსენებულ შოპენჰაუერს. ოღონდ ნუ შეგვეშინდება...

... უწინარესად ბერძნების გამო. ისინი შორს იდგნენ ქრისტიანული და წინააზიური მსოფლხედვისაგან. მტკიცედ უჭერდნენ მხარს სიცოცხლის ჟინის დამკვიდრებას. მაგრამ, ამასთანავე, ღრმად ესმოდათ ყოფნის სიმწარე. ამას უკვე ის მეტყველებს, რომ სწორედ ბერძნებმა შექმნეს ტრაგედია. ამასვე მოწმობს ჰეროდოტეს მიერ მოწოდებული, ხოლო მერე სხვა მწერლების მიერ მრავალგზის გამეორებული ცნობა: თურმე თრაკიელებს ჩვეულება ჰქონიათ – გლოვით შეხვედროდნენ ადამიანის დაბადებას და ჩამოეთვალათ ახალშობილის წინაშე, თუ რა უბედურებანი ემუქრება ამიერიდან, მიცვალებულთ კი თრაკიელები ასაფლავებდნენ მხიარულად და ოხუნჯობით; უხაროდათ, რომ ადამიანმა სიკვდილით თავი დააღწია ტანჯვას.

პლუტარქეც მოგვითხრობს: „ისინი დასტიროდნენ ახალშობილს, რადგან ამდენი მწუხარება უნდა გადახედეს; ხოლო, ვინც სიკვდილით ამთავრებდა თავის ათასგვარ ტანჯვას, მეგობრები ულოცავდნენ და სიხარულით მიაცილებდნენ სასაფლაოზე“.

მექსიკელები ახალშობილს ასეთი სიტყვებით ხვდებოდნენ: „შვილო ჩემო, შენ გაჩნდი მოთმენისათვის. მაშ, ითმინე, იტანჯე და ხმა არ ამოიღო!“

ამავე გრძნობის კარნახით სვიფტმა, როგორც ვალტერ სკოტი გადმოგვცემს, სიყმაწვილიდანვე წესად გაიხადა, აღენიშნა თავისი დაბადების დღე არა სინარულით, არამედ მწუხარებით. ამ დღეს ის მუდამ იმ ადგილს კითხულობდა ბიბლიიდან, სადაც იობი დასტირის და წყევლის თავის გაჩენას; იმ დღეს, როცა მამამისის სახლში ითქვა, ვაჟიანობააო.

მეტისმეტად შორს წაგვიყვანდა იმ ცნობილი ადგილის ამოწერა „სოკრატეს აპოლოგიიდან“, სადაც პლატონი ამ ბრძენთაბრძენს ათქმევინებს: სიკვდილი სამუდამოდ კი გვართმევს ცნობიერებას, მაგრამ ის მაინც უდიდესი სიკეთეა, რადგან უსიზმრო ღრმა ძილს თვით უბედნიერესი ცხოვრების ვერც ერთი დღე ვერ შეედრებაო.

ჭერაკლიტეს ერთი ნაკვეთი ასე ჟღერს: „სიცოცხლეს მხოლოდ სახელად ჰქვია სიცოცხლე. საქმით კი ისიც სიკვდილია“.

დაუვიწყარია თეოგნიტეს განთქმული შეგონება: „კაცისთვის ისა ჯობს, არ დაიბადოს, ვერ იხილოს დღის სინათლე და მზის სხივები; ზოლო, თუ დაიბადა, ეგრევე მიიქცეს იმ ქვეყნად და თავისი უბედური სხეული მიწის წიაღს შეურიოს“.

სოფოკლემ ტრაგედიაში „ოიდიპოსი კოლონაში“ ასე შეამოკლა ეს ნათქვამი: „პირველი უდიდესი სიკეთე ის არის, რომ სავსებით არ დაიბადო; მეორე – დაბადებული ჩქარავე მიიცვალო“.

ვერიპიდე კი ამბობს: „ო, ტანჯვა – ადამიანთა უკურნებელი სენი!“

აკი ჰომეროსიც ამბობდა: „ადამიანზე უბედური არავინაა; არც ერთი არსება, რომელიც კი ცოცხლობს და სუნთქავს მზის ქვეშ“.

პლინიუსიც გვმოდღვრავს: „ეს პირველია, რაც ყველა ადამიანს მოეპოვება სანუგეშოდ – დროული სიკვდილი. ამაზე უკეთესი არაფერი უბოძებია ბუნებას ადამიანისთვის“.

შექსპირი მეფე ჰენრიხ მეოთხეს ათქმევინებს: „ღიახ, ჩვენ რომ შეგვძლებოდა მომავლის განჭვრეტა და გვეხილა, თუ რა

მუხთალია ადამიანთა ბედი, თუ რა ბრმა შემთხვევის ხელში ვართ, მაშინ უბედნიერესნიც კი, ალბათ, აღრევე სიკვდილს ამჯობინებდნენ“.

დაბოლოს, ბაირონი: „დაითვალე სიხარულის საათები, რაიც გქონია სიცოცხლეში! დღენი, უღრტვინველად რომ გიტარებია, და მიხვდები: როგორიც არ უნდა იყოს შენი სიცოცხლე, მაინც გიჯობდა, სულ არ გაჩენილიყავ ქვეყნად“.

ბალთაზარ გრაციანიც მუქი საღებავებით ხატავს ჩვენი ყოფის სიმწარეს თავის „კრიტიკონში“; განსაკუთრებით, ბოლოში, როცა ცხოვრებას ტრაგიკულ ფარსად განიხილავს.

ერთი სიტყვით, სიკვდილს დიდი თვალები კი აქვს, მაგრამ არც ისე საშინელი ვინმეა, როგორც წარმოგვიდგენია.

თუ ხორცისა და სულის გაყრის შემდეგ თუნდაც ერთი ადამიანის გულში განვაგრძობთ სიცოცხლეს, ჩავთვალოთ, რომ სიკვდილი ვერაფერს გახდა...

რაც შეეხება „თანადგომას“. ანუ ამ „სიცოცხლის ბაღს“, რომლის მებაღეობაც ჩვენს ძვირფას ანზორს, ბაბუნადიას, აულია თავის თავზე, აქ სიკვდილი ჭეშმარიტად ღვინად ქცეულა, რამეთუ ფარ-ხმალი დაუყრია ვალმოხდილ მამულიშვილთა მარადიულად ცოცხალი ხსოვნის წინაშე, რომელი მამულიშვილნიც, წუთისოფლის სუფრას გაცილებულნი, სიყვარულის აყვავებულ სუფრას უსხედან ყოველი ჩვენგანის გულში.

და უკეთუ სიკვდილი საბოლოოდ შინ დაბრუნებაა, უფრო სწორად, არყოფნიდან მოსულნი თუ ისევ არყოფნაში ვბრუნდებით, აქ კვლავ რუსთაველს დავესესხები, მაშ, რატომ არ უნდა გვიჩნდეს ღვინად შინ დაბრუნება, ანუ სიკვდილი, რაც ყოველი სულდგმულისთვის გარდუვალია?

ასე რომ სიკვდილისა გამო თავში კი არ უნდა ვიცემდეთ და ვგოდებდეთ, არამედ უფრო აზრიანად და ხარისხიანად უნდა ვახერხებდეთ სიცოცხლეს, რომელიც ესოდენ ხანმოკლეა,

და ღირსეულად უნდა ვემზადებოდეთ შინ დასაბრუნებლად და ჩვენს საყვარელ ადამიანებთან შესახვედრად.

ამ უჩვეულო სიცოცხლის ბაღად ქცეული წიგნის არსიცა და უპირველესი აზრიც დიანაც ეს არის.

## გურამ გოგიაშვილი

# თანადგომა ყველას და ყველაფერს ესაჭიროება...

ადამიანს და ცხოველს, ყვავილსა და ხეს, წყაროს, მდინარეს, ზღვას... ქვასაც, თქვენ წარმოიდგინეთ, მძიმეს, ცივს, უმოძრაოს. ესაჭიროება კი არა, წამალივით რგებს თითოეული ჩვენთაგანის თანადგომა სულიერსაც და უსულოსაც. სულიერზე რა უნდა თქვა, შეჭირვებულ კაცს გვერდით რომ დაუდგები, თუნდაც ხმა არ გაიღო, მაინც დიდ შვებას იგრძნობს.

ქვა? ქვასაც გასჩენია ზოგჯერ ქომაგი. სხვა რა უნდა ვუწოდო კაცს, რიყეზე მიგდებულ ლოდს რომ აიღებს და მისგან ანგელოსს გამოკვეთს, ისეთს, სანთელს რომ აუნთებ და მუხლს მოუყრი მერე.

ჰო-მეთქი, თანადგომა ყველას და ყოველივეს ესაჭიროება, თუნდაც ამავე სახელწოდების გაზეთს. მერე რა, რომ თავად „თანადგომა“ ჰქვია და თავადაა სხვათა თანამგრძნობი, სხვათა ტკივილის გამზიარებელი, ხელისა და სულის წამშველელი? კი, სულაც, შეუძლია სხვას წაეშველოს ნამდვილად.

ასე რომ, ზედმეტობად ნურც მე ჩამითვლით გაზეთ „თანადგომის“ მეშვეობით ერთი-ორი თბილი სიტყვა გითხრათ. იქნებ, სულაც არ გჭირდებათ მსგავსი სიტყვები ჩემგან, მაგრამ თავს

მოვალედ ვთვლი, არა მარტო თანადგომა, მაღლიერებაც გამო-  
ვხატო თქვენდამი, თორემ სრულიად საქართველოს კათოლი-  
კოს-პატრიარქის ილია მეორის თანადგომა ერთნაირად გვჭი-  
რდება ყველას, – ჟურნალისტსაც და მკითხველსაც...

მიხარია, რომ ეგ ზომი მომრავლებულ ჟურნალ-გაზეთებში, ზოგჯერ და უმეტესად მიუღებელ ინტერვიუებში, ქართველთა-  
თვის მნიშვნელობამოკლებულ წერილებში, უცხოელ კინოვა-  
რსკვლავთა პიკანტურ თავგადასავლებში, თითქმის ასაკრძალავ  
პორნოგრაფიულ ფოტოებსა და ტექსტებში, წყაროს წყალივით  
აკიაფებულა თქვენი გაზეთის ფურცლებზე საეკლესიო თუ სა-  
ერო მასალები.

მიხარია, რომ თქვენს გაზეთს მკითხველი არასდროს დაეღუპა,  
სულერთია, შვილზე მგლოვიარე დედა იქნება თუ მეგობრის გა-  
რდაცვალებით დამწუხრებული ვინმე, საყოველთაოდ ცნობილ პი-  
როვნებაზე მოიტანენ მოსაგონარს, თუ უბრალოდ, ქუჩაში სამა-  
თხოვროდ ხელგაწვდილი კაცის სიკვდილს გვაუწყებენ.

ჯანსუღ ღვინჯილიას ამ ქვეყნიდან წასვლის მერე, განა ცოტა  
გულწრფელი სიტყვა ვნახეთ პრესაში, მის კაიკაცობაზე თქმუ-  
ლი? მაგრამ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა ალეკო გაბელა-  
იას „დიდმა გზასაყარმა“ დიდ სევდასთან ერთად, დიდი სიამაყეც  
მოგგვარა. მაღლია ისიც, რომ ბეჟან ხარაიშვილზე ბევრი რამ  
გავიგეთ, გურამ დონანაშვილის ტკივილიც გავითავისეთ და კი-  
დეც ერთხელ ავლაპარაკდით 9 აპრილის ტრაგედიაზე.

მეორე ნომერი მთლიანად ზურაბ ანჯაფარიძეს ეთმობა. სად  
არ დაუწერიათ მასზე, სიცოცხლეშიც და სიკვდილის მერეც, მა-  
გრამ ასე ერთად თავმოყრილი შეფასება ცნობილ ადამიანთაგან,  
ვეჭვობ, სადმე ენახოს ვინმეს. არც აქ დაბეჭდილი ფოტოებია  
ძალზე განმაურებული მკითხველში, რაკი პროფესიონალ ჟუ-  
რნალისტებსაც ახსოვთ დღემდე ამ ფოტოთა უმეტესობა. მის  
ვაჟზე თავად ბევრი მსმენია, ვიცი, რომ მღერის, მამის კვალს

მიუყვება და ნამდვილი ანჯაფარიძე იზრდება, მისი პირმშვენიერი მეუღლეც შემხვედრია აღრე, მაგრამ თქვენს გაზეთში წარმოჩენილმა მასალებმა და ფოტოებმა სულ სხვა ემოციით დატვირთა ჩემი სული. და ესაა... ალბათ, გაზეთის უპირველესი მისიაც.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ყველას, ვინც ამ გაზეთის დაარსებაზე, შინაარსზე, გამოცემაზე ფიქრობდით.

გქონდეთ ჩემი თანადგომის იმედი და არა მარტო ჩემი!

**ნანა ჩიბოგიძე**

## სიცოცხლის შვილი

სიკვდილის გზა არაა არის,  
ვარდისფერ გზის გარდა...  
*გალაკტიონ ტაბიძე*

დღიდან გაჩენისა, ადამ და ევადან მოკიდებული, ადამიანის სიცოცხლის აზრი სიკვდილთან ბრძოლაა, ბრძოლის საბოლოო მიზანი კი, კარგად მოგეხსენებათ, გამარჯვებაა. ბევრს ტყუილად წარმოუდგენია, რომ სიკვდილის შვილის ბრძოლა სიკვდილის წინააღმდეგ, მით უმეტეს, გამარჯვების მოპოვება ამ მარადიულ ბრძოლაში, ამაოა და უაზრობაა. თუ გადავხედავთ ჩვენი საუკუნეებს, მიუხედავად სიკვდილ-სიცოცხლის სამკვდრო-სა-სიცოცხლო ბრძოლისა, მაინც სიცოცხლეა გამარჯვებული... სიცოცხლე ხომ მარტო ერთი ადამიანის დროის მონაკვეთი არ არის. მზის ქვეშ საერთო სიცოცხლის ზეიმი. ამიტომ ჩვენ უფრო სიცოცხლის შვილები ვართ, ვიდრე სიკვდილისა. მერე რა ვუყოთ, თუ ხორცი კვდება, სამაგიეროდ სული და ნაგონებარი რჩება, რომელთაც უღმობელი დროც ვერ ერევა...

ამის თვალსაჩინო ნიმუშია ჩვენი ძვირფასი მეგობრის ანზორ



ბაბუხადიას გაზეთის – „თანადგომის“ (სიცოცხლე რომ ერქვას, გაცილებით უკეთესი იქნებოდა) 2003 წლის იანვრის ნომერი, რომელიც მთლიანად დაუვიწყარ ინოლა გურგულიას, ამ ჭეშმარიტად განუმეორებელ სიცოცხლის შვილს, ხოლო, თუ თვით გაზეთის რედაქტორის სიტყვებით ვიტყვით, ქართული სულისა და სიმღერის დედოფალს ეძღვნება.

თუმცა ეს პატარა შესავალი სულ სხვა რამემ დამაწერინა. უფრო სწორად, იმ აზრმა, რაც თავშივე ვთქვი. მართალია, ყველა ვერა, მაგრამ არიან მარადიული სიცოცხლის შვილებად გაჩენილნი, ცოტანი, რასაკვირველია, რომელთა წინაშეც უძღურების ნიშნად მუხლებზე დაცემულა თვითონ სიკვდილი.

ლიტონი ლაპარაკი რომ არ გამომივიდეს, მკითხველს ვთხოვ, ჩაიკითხოს ინოლა გურგულიას ქვემოთე „ანდერძი“, რომელიც „თანადგომიდან“ გადმოვებეჭდეთ და, თუ მართალი არა ვარ, გამამტყუნოს. მე პირადად ამ „ანდერძმა“ უფრო მეტად განმამტკიცა სიცოცხლის შვილობის გრძნობა და საბოლოოდ დამარწმუნა, რომ სიკვდილის დამარცხება შესაძლებელია, ოღონდ ოდენ სიყვარულისთვის, უკიდევანო სიყვარულისთვის უნდა იყო გაჩენილი და ცასთან ლაპარაკი შეგეძლოს.

ის ცრემლი კი, რომელიც ამ „ანდერძის“ კითხვისას მოგადგება, სულაც არ არის არც სიბრალულის, არც სინანულის, არც გულისტკივილის ცრემლი. რაღაც სულ სხვა ცრემლია...

## გურამ გოგიაშვილი

### ანდერძი

ჩემი უკანასკნელი თხოვნაა:

დამასვენეთ დედაჩემის გვერდით, პატარა პიედესტალზე გააკეთეთ ორივეს წარწერა და ზედ დაგვადგით ვაზის ჯვარი, რომლის ფესვები პიედესტალის შუაგულში გაივლის და მიწაში

დაიფლობა, რომ ცოცხალი იყოს ღერძი ჯვრისა, ხოლო გარდვიგარდმო ღერო ჩემი თმებით ააკარით.

არმაზიდან ჩამოზიდეთ წყაროს ზევით მდებარე ორი ბრტყელი ქვა და გულზე დაგვადგით თავის ხავსიანად.

ჩემო მიზო, ჩემო თვალისჩინო, ჩემო სიყვარულო, ჩემო ერთგულო, სათნოვ და კეთილო, შენთვის ჩამიბარებია ჩემი პატარები, ჩვენი პატარები. ნუ მოიცილებ გვერდიდან და შეაყვარე მათ ყველაფერი, რაც ჩვენ გვიყვარს.

ნუ მიეცემი სასოწარკვეთას. გახსოვდეს, სანამ შენ და ჩემი სამი შვილი ცოცხლები ხართ, მეც თქვენთან ვარ. ტირილით ნუ მომიგონებთ, გამიხსენეთ სიმღერით, ღიმილით, ერთმანეთისადმი პატივისცემით, ერთგულებით, სიკეთით და სიყვარულით.

დამილოცნია შენთვის დღეგრძელი გზა, მზიანი, გამარჯვებული, დიდებული. ერთი წლის შემდეგ თავისუფალი ხარ ჩემი უღლისაგან. შენ უმეგობროდ ვერ ივარგებ, შვილების დაზრდაც გაგიჭირდება მარტოს. შეერთე ვინმე სათნო ადამიანი, გამიხარდება. დამილოცნიხარ.

ჩემო მამიკო, მაპატიე გამწარებისათვის. ღმერთმა იცის, არ მინდოდა ასე. ბევრს კარგს გაბრდებოდი და მინდოდა შემეხრულეხინა. არ გამოვიდა. დაჯერდი იმას, რაც დაგიტოვე. შვილებს, ლექსებს, სიმღერებს, წერილებს, ოღონდ არ მიტირო, იცოდე! მე თქვენთან ვარ, აქვე ვარ, უჩინმაჩინის ქუდი მახურავს და არ ვჩანვარ, მაგრამ მაინც თქვენთან ვარ.

მაგრად იყავ, ჩემო მამიკო, ამოუდექ ნუგზარს, ჩემს ძამიკოს, ჯმუხსა და სათნო კაცს. როცა თქვენ ერთად იქნებით, მეც თქვენთან ვარ, ჩემო კარგებო.

მამუკა, დედი!

შენ შემოგველოს შენი დედიკო, შენ იცი, როგორ ლამაზად გამიგრძელებ და გამიხანგრძლივებ სიცოცხლეს. დედის ღამა-რხვა ვაჟკაცის ვალია, შენ პირველი არ ხარ, გახსოვდეს!

რა აზრი აქვს სხეულს, როცა ჩემი სული შენში ცოცხლობს, ჩემი ათასი ფიქრი და გრძნობა შენში გრძელდება, სიცოცხლეო ჩემო!

იყავ ბედნიერი მასთან, ვინც გიყვარს. იყავ ჩემსავით ხალისიანი, გიყვარდეს მამული შენი და იცოდე, რომ შენი ნიჭით და კალმით დიდი ვალი გაქვს მის წინაშე.

ნუ გეშინია, დედი! მე შენში ვარ და ამით შენთან ვარ მუდამ!

პაწიებო ჩემებო!

ბაჭიებო ჩემებო!

ჩემო ია! ჩემო დათო!

თქვენი ყველა სატკივარი მე მიმაქვს თან, მაგრამ მხოლოდ ჩემს სხეულში იქნებიან ისინი. ჩემი სული კი თქვენში დარჩება, დაბრძანდება, გამრავლდება თქვენს შვილებსა და შვილიშვილებში. თქვენ ვერ მხედავთ, თორემ მე ახლაც თქვენთან ვარ და სულ თქვენთან ვიქნები. გითვალთვალებთ, რომ ცუდი არაფერი ჩაიღინოთ, მამიკო, მამუკა, ბაბული, ბებიკო და პაპიკო, მადლობა უთხარით მათ ჩემგან ყველაფრისათვის, დაუჯერეთ, იყავით სათნო, კეთილი, პატიოსანნი, შრომისმოყვარენი და სახელოვანნი.

იმდერეთ ჩემი სიმღერები, რომ მუდამ ცოცხალი ვიყო. თქვენშია ჩემი სიცოცხლე, არ შემარცხვინოთ, არ მიდარდოთ. გახსოვდეთ, ქართველები ხართ და ჩემი შვილები, გენაცვალოთ დედა.

ჩემო მეგობრებო!

მადლობელი ვარ, უზომოდ მადლობელი ყველაფრისათვის. ვაი, რომ ვალად მიმაქვს თქვენი ამდენი ზრუნვა და სითბო, სამაგიერო რომ ვერ მოგიზღვრეთ. დამილოცინიხართ, ჩემო კარგებო! წინ დაგხვედროდეთ თქვენი სიკეთე, ბედნიერნი იყავით, სიყვარულით მომიგონეთ და ხანგრძლივი სიცოცხლით გამიხანგრძლივეთ სიცოცხლე.

ინოლა

## „და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი“

ეს სიტყვები და მელოდია ერთ-ერთი ბოლო პერიოდის სიმღერაა იმ საოცარი პიროვნების, რომლის სული და ხორცი ნაქსოვი იყო სიყვარულის სიმებით. რაც უფრო მეტ ადამიანს უნაწილებდა ის ამ სიყვარულს, სიმები მით უფრო მეტად და მეტად იჭიმებოდა, ვიდრე... გაწყდებოდა, მაგრამ სიმღერები და მათში ჩაღვრილი სიყვარული თაობიდან თაობას გადაეცა და უკვდავების კუთვნილება გახდა.

ინოლა... ის არაერთი თაობის სიამაყე იყო. მუსიკალური ოლიმპოს მპყრობელი თითოეულ მსმენელში აღვიძებდა სათუთ გრძნობებს და ერთ კონად ჰკრავდა იმას, რისკენაც ყოველი ჩვენგანი მიილტვოდა: სიკეთეს, სიწმინდეს, ნდობას, მიტევებას, ერთგულებას. ამ სიმღერების კონას „ღმერთი სიყვარულისა“ ერქვა. ის იყო ჩვენში და ჩვენ მასში. როგორც ანთებული სა-ნთლების წინ, ინოლას სიმღერებით ყველანი ვიწმინდებოდით, ვმშვენიდებოდით, ვთბებოდით. ყველას თავისი ინოლა ჰყავდა და დღემდე შემორჩა... მათ შორის გაზეთ „თანადგომასაც“.

ჩვენში მომრავლებულ და მოძალებულ უსახურ ნაბეჭდთა შორის „თანადგომა“ იმით გამოირჩევა, რომ მისგან უარყოფითი მუხტი არასდროს მოედინება, ინოლასადმი მიძღვნილი ნომერი საოცარი სიყვარულით, გულისხმიერებით შერჩეულ გულისთქმას ასხივებს და მკითხველამდე მოაქვს ქართული ნიჭის ყოვლისშემძლეობის განცდა.

მე ვხედავ ერთგვარ სიმბოლურ კავშირს გაზეთის სახელწოდებასა და ერის იმ ღირსეულ მამულიშვილებს შორის, რომლებსაც სპეციალური ნომრების გამოშვება ეძღვნებათ. ინოლაც ხომ თავისი ლექსებითა და სიმღერებით ერთგვარი თანადგომა იყო მათთვის, ვისაც აკლდა ან ვინც გამოუთქმელად დაატარებდა ადამიანურ სიხარულს თუ ტკივილს.

მინდა მადლობა მოვახსენო გაზეთ „თანადგომის“ გამომცემელსა და რედაქტორს, ბატონებს ანზორ და ლევან ბაბუხაძეებს იმ თანადგომისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ ქართული ნიჭის მიმართ და სახელოვან მამულიშვილებსა და საზოგადო მოღვაწეებს მიაგებენ თავის მართალ, გულმხურვალე სიტყვას.

ნანა ქავთარაძე

## „თანადგომა“ – ხსოვნისა და ჩემებისა

ჭეშმარიტად არაფერი ვუწყით, რა მიაქვს მომავალს მარადისობაში, მაგრამ ვიცი, რომ ამქვეყნიურ მარადისობად რჩება ნათელი სამებისა – სახელისა, სახისა და საქმისა.

ტკივილი სხვა არაფერია, თუ არა ხსოვნა. ხსოვნა კი ადამიანთა უკეთილშობილესი თვისებაა.

გაზეთის ყველა ნომერი გადავათვალიერე. საქართველოში დღეს ჟურნალ-გაზეთების ბუმი და ახალ-ახალი გამოცემებით ვერავის გავაკვირვებთ. გავეცანი „თანადგომას“ და ვიგრძენი, თუ რა ძალუძად ფეთქავს მასში ქართული სული.

გაზეთის დამფუძნებელი ანზორ ბაბუხაძეა ბრძანებს:

„ჩვენ მუდამ გვყავდა ერის ღირსეული შვილები, რომლებიც სამარადისოდ გაჰყვებიან ქართულ მეხსიერებას. დასაბამითვე იღო ქართულ მენტალიტეტში თანადგომის, თანაჭირისუფლობის გასაოცარი უნარი.

დღეაქალაქიდან თუ პერიფერიებიდან სხვადასხვა პროფესიის, ასაკის და სოციალური მდგომარეობის ადამიანი გამოეხმაურა ჩვენს გაზეთს. მათ შორის უწმინდესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე.

ასეთ მორალურ თანადგომას ვერც წარმოვიდგენდი. მართლმადიდებელი ერი ვართ და ჩვენი არსებობის პირობაც რწმენაშია. მეხსიერება წარსულია, რწმენა კი – მომავალი“.

ჩვენის მხრივ წარმატებები ვუსურვოთ გაზეთ „თანადგომას“ და მის მკითხველს.

**ალეკო გაბელაია**

## **ჩემი თანადგომა გაზეთ „თანადგომას“!**

ძვირფასო ბატონო ანზორ!

თუ აქამდე მხოლოდ კაცური კაცის, ამიერიდან ჟურნალისტის ქუდიც დაგიხურავს!

არადა, თვით მონომახის ქუდიც არ არის ჟურნალისტის ქუდზე მძიმე!

რასაკვირველია, თუკი მუდამ ნამუსიანად ატარებ!...

მართლაც, ეს რა მშვენიერი გაზეთი დაგიფუძნებია, ანზორ ბატონო – ისეთი მშვიდი, წყნარი და კრიალაა, როგორც მოწმენდილი ცა!

ალბათ, ამიტომაცაა, ყველაფერ ამას რომ ვხედავ, ცლუნება მიჩნდება, შიგ ისეთი რამ დავბეჭდო, მთელი წელიწადი საძებარი რომ გაუხდეს მკითხველს!

ამას, ცხადია, ერთხელ გავაკეთებ, მანამდე კი ჯობია, მშვიდად, წყნარად იკითხონ!

თქვენ კი, როგორც აქამდე, დღეიდან მღელვარედ უნდა იცხოვროთ!

მე კიდევ, ჩემს თანადგომას ვპირდები გაზეთ „თანადგომას“!

**თამაზ ნიჟიჯაძე**

# გაზეთ „თანადგომის“ რედაქციას

გულითადად მივესალმები ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის ინიციატივას გაზეთ „თანადგომის“ სპეციალური ნომრების გამოშვების შესახებ ერის ღირსეულ შვილთა თაობაზე.

მარტო ის რად ღირს, რომ ამ თანავარსკვლავედს სათავეში ჩაუდგნენ ზურაბ ანჯაფარიძე და ვანო სარაჯიშვილი.

საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანას მრავლად ჰყავდა და ჰყავს ღირსეული შვილები, რომელთა სათანადო დონეზე წარმოჩენა უაღრესად საჭირო და კეთილშობილური მისიაა.

**უწყალო მკვანძნაძე**

## შორიდან არასდროს გითვალთვალია

ყოველი ნორმალური და საღად მოაზროვნე ადამიანი თავადაა საკუთარი ცხოვრების ბიოგრაფი. ეს ბიოგრაფია კი საკუთარ მესთან დიალოგში იქმნება და ამ დიალოგით ცდილობს გახსნას და წარმოაჩინოს საკუთარი თავი.

თქვენი მეგობრების სახელით გვინდა მეგობრულად გითხრათ, რომ, შორსმჭვრეტელი ბრძანდებით, მაგრამ ქვეყნის ურთულესი პროცესებისათვის შორიდან არასდროს გითვალთვალიათ და მიგიყურადებიათ. მუდამ იმ დროს და იქ იდექით, სადაც უნდა მღვარიყავით; მუდამ ის იყავით, რაც უნდა ყოფილიყავით – ერთგული ქვეყნისა, ოჯახისა და მეგობრობისა.

სწორედ ამ ერთგულებამ, მოყვასისა და მეგობრისადმი თავდადებამ გიკარნახათ ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის თაოსნობით დაგეარსებინათ ღიღებული გაზეთი „თანადგომა“. ვიტყვოდით, რომ ეს გაზეთი ერის ღირსეული შვილებისადმი სიყვარულის, პატივისცემისა და ღიღი მეგობრობის გამოხატულებაა. ეს ფრიად ორიგინალური, მართლაც რომ შესაშური, მამულიშვილური საქმეა!

დიდი ზურაბ ანჯაფარიძისადმი თუ ვანო სარაჯიშვილისადმი, ირაკლი უჩანეიშვილისადმი, მედეა ჯაფარიძისადმი, ინოლა გურგულიასადმი, კუკური ჭოხონელიძისადმი, გოგი გელოვანისადმი, დავით ჩხიკვიშვილისადმი... სხვა ბევრი სახელოვანი ადამიანისადმი მიძღვნილი ამ გაზეთის ყოველი ნომერი ხომ უკვდავყოფაა იმ ხსოვნისა, რომელიც სამზეოს ბოლო დღემდე უნდა გვეტარებინა თავად, ხოლო ჩვენს შემდგომ თაობებს სწორედ თქვენი დიდებული გაზეთით უნდა გადასცემოდათ.

ჩვენო ანზორ! კიდევ მრავალი ბარაქიანი შემოდგომა გქონოდეთ წინ, რათა უფალმა კეთილად მოგაგოთ მართლაცდა ღირსეული, მართლაცდა უყვედრებელი, მართლაცდა დამსახურებული ჭირნახული თქვენი ცხოვრებისა და ღვაწლისა!

**მედია ამირანაშვილი, გიქინა კვიციანი,  
თინათინ მუხომანიანი, ანზორ ერქომაიშვილი,  
მაცაცო საბისკვიციანი, ნიკო სატიანაშვილი,  
მარინა მაჭავარიანი**

## გაზეთ „თანადგომის“ დამფუძნებელს ბატონ ანზორ ბაბუნაძეს

ჩვენმა თაობამ საკუთარი სისხლი და ხორცი არ დაიშურა თავისი ქვეყნის გადასარჩენად, მაგრამ სამწუხაროდ, ბოლო დროს დავიწყებული ვართ ხელისუფლებისაგან და არა მარტო მათგან. ასეთ პირობებში, სუსხიან ზამთარში მზის გამონათების ტოლფასია თქვენი ჩანაფიქრი და განხორციელებული იდეა, რაც ჭეშმარიტად თანადგომაა და რაც, სამწუხაროდ, ასე გვაკლია თითოეულ ჩვენგანს.



მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა სახელით, წინასწარ გიხდით მადლობას იმ ადამიანური, კაცური ინიციატივისათვის, რასაც, ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ, თქვენი გაზეთი გამოიჩინეს თითოეული ჩვენგანის მიმართ.

„ულრმესი მადლობა „თანადგომას“ თანადგომისათვის. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**პეტრე ნოღია**

## გაზეთ „თანადგომის“ რედაქციას

ახალი გაზეთის დაარსება დღეს უკვე არავის უკვირს. აღარც ისაა გასაკვირი, ბევრი მათგანი მხოლოდ 1-2 წელიწადს რომ ცოცხლობს ან კიდევ – რომელიმე პარტიის მონა-მორჩილია, არაპროფესიონალებით არის დაკომპლექტებული, სენსაციურ მასალებზე და ქუჩის ჭორებზეა აგებული.

ღრმად ვართ დარწმუნებული, ყოველივე ამისაგან დაზღვეული იქნება „თანადგომა“. ჩვენ, ოკრიბელები ვამაყობთ, გაზეთის დამფუძნებელი წარმოშობით რომ ჩვენებურია. უნებლიედ გაგვახსენდა აწ განსვენებული ჟურნალისტის მარათ ღვალაძის წიგნი – „მხოლოდ თანადგომა გადაგვარჩენს“ და, ალბათ, ყოველად გამართლებულია გაზეთსაც რომ „თანადგომა“ დაენათლა სახელად. ღიახ, ყველაზე მეტად ქართველ ხალხს დღეს სჭირდება თანადგომა და ურთიერთსიყვარული. ამის გარეშე წარმოუდგენელია მისი ხვალისდელი ბედნიერება.

ვულოცავთ სარედაქციო კოლეგიას, მკითხველებს „თანადგომის“ დაარსებას, ფართო აუდიტორიას საქართველოს ყველა რეგიონში, მკითხველთა სიყვარულს და აღიარებას.

ვიმედოვნებთ, „თანადგომა“ პერიოდულად ოკრიბელ სასიქადულო

მამულიშვილთა ქვეყნის წინაშე დამსახურებასაც წარმოაჩენს, მის ფურცლებზე ტყობულელ ავტორებსაც დაეთმობა ადგილი.

თანადგომა „თანადგომას“!

**გივი გენაძე**

## მაღლობა ღმერთს, რომ ასეთი ადამიანებიც გვყვნან

ბევრ ჩვენს მკითხველს ალბათ ჩავარდნია ხელში ერთი ფრთახატულა გაზეთი, რომელსაც „თანადგომა“ ჰქვია. ჯერ დასახელება მიიქცევდა თქვენს ყურადღებას, ძვირფასო მკითხველო, მერე კი, შინაარსი. როგორი საქმეა, თითოეული ნომერი თითო ღირსეული მამულიშვილისადმია მიძღვნილი. ირაკლი აბაშიძის, გივი კარტოზიას, ზურაბ ანჯაფარიძის, ოთარ ლითანიშვილის, დავით სარაჯიშვილის, სხვათა მოგონებისა და მოფერების ფურცლები ამ გამოჩენილ ადამიანთა დაფასება-სიყვარულითაა გამთბარი.

ქართველ კაცს არ ესწავლება, რა ფასი აქვს წინაპართა ხსოვნას, რაოდენ შთამაგონებელია ის ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ამასთან ისიც ხომ დიდი სიკეთეა, შენი ერის სახელოვანი შვილის სხვადასხვა დროს გადაღებულ სურათს კიდევ ერთხელ რომ დახედავ, ამოიკითხავ მისი დამსახურების მივიწყებულ ინფორმაციას და ამ ქვეყნიდან წასვლით გამოწვეული სინანულის ცრემლს ფარულად, გვერდზე მიბრუნებული მოიწმენდ.

უთუოდ დაინტერესდებით, თუ ვინ გთავაზობთ გულის გამთბობ ამ სიურპრიზს; დღეს გაუტანლობა და უკადრისი ქცევა ასე რომ მოგეძალბებია, ვინ მოიცალა ამ სიკეთის სათესად, ამ ადამიანური სითბოთი და სიყვარულით აღსავსე ფოლიანტების გასავრცელებლად? ვინ არის ეს დალოცვილი კაცი?

ეს გახლავთ რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, საქართველოს ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე, მაღალი ინტელექტით, ქცევის კულტურითა და თავაზიანობით დაჯილდოებული ანზორ ბაბუხაძია.

ჩვენ ერთ მის მეგობარს ვკითხვით, ესოდენ დიდი დატვირთვის მქონე კაცი როგორ იცლის „თანადგომისათვის“. მან გვიპასუხა: მე ის მიკვირს, როგორ იცლის ის მისი უშუალო მოვალეობებისთვისო. ჩვენ ასეთი დასკვნა გამოგვაქვს – ბატონი ანზორისათვის მთავარი მისი ვიწრო პროფესია არ არის, მისთვის საქვეყნო და საერო საქმეებია შეუწელებელი ზრუნვის საგანი. მისთვის ერთი დარგი ისევე ვიწროა, „როგორც არწივისთვის გალია“.

*გაზეთი „სახალხო განათლება“,  
26 ნოემბერი, 2003 წ.*

## რა მიაქვს ჩამავალ მზეს?

ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის თაოსნობით დიდი რუქუნებით შექმნილი საზოგადოებრივ-საინფორმაციო გაზეთის „თანადგომის“ უიშვიათეს ნომრებს კიდევ ერთი გამორჩეული ნომერი შეემატა.

ტადარივით მართალი და მაღალი კაცის, თბილისელების კეთილი ძმობილის, უცნაური ქველმოქმედის, მუდამ სხვათა მწყალობელის, გულმზიანი შოთა კირვალიძის სსოვნას ეძღვნება ის.

ღირსეული კაცის წასვლას ღირსეული გლოვა უხდება. ამ საუკუნოვანი სიბრძნის მქადაგებელი, თაობათა შორის სამილდემწიოდ ჩატეხილი ხიდის გამამთლიანებელი „თანადგომა“ 2001 წლიდან გამოდის და უკვე ორმოცდაათზე მეტი ნომერი მიიღო მკითხველმა.

თუ აქამდე გაზეთის ნომრები, ძირითადად, გამოჩენილ, ტიტულოვან, კონკრეტულ დარგებში სახელგანთქმულ პიროვნებებს ეძღვნებოდა, ბოლო ნომერი „ერთ უბრალო ვაჭრობის მუშაკს“ მიეძღვნა, რომელმაც ლამის ნახევარი თბილისი გააოცა საკუთარი უმშურველობით, სულიერი სისპეტაკით, მეგობრების გატანის ნიჭით. შოთა კირვალიძეზე იმდენი ვინმე წერს ალაღმართალ, ცრემლნარევ, დამაჯერებელ მოგონებას, ნარკვევს, ლექსს, „პირდაპირ სიკვდილი მოგინდება კაცს“... მაგრამ სადღაა ასეთი კაცობა, ერთგულება, სიყვარული, ხალხის აღიარება და მართალი ცრემლი... შოთა კირვალიძემ ეს მოახერხა.

გიზო ნიშნიანიძე თავის უბრწყინვალეს სულთათანაში წერს: „ქონების მოყვარული კაცი ასეთი ხელგამლილი ვის უნახავს?... ფულს უფრო უყვარდა ის, ვიდრე მას უყვარდა ფული, რომელიც დავით სარაჯიშვილური შოთა კირვალიძეობით – ბატონად კი არა, მსახურად ჰყავდა“...

ამიტომაც უქცია ჭირი ლხინად ასობით მოკეთესა და მეგობარს, ბევრ ქართულ ოჯახს გაუმაგრა ფუძე (საკუთარი, ალბათ, ამიტომაც ვერ შექმნა!), სხვათა კეთილდღეობას შეეწირა და მათ ხსოვნაში დარჩა სამუდამოდ.

უნდა ვაღიარო, ქართველებმა სიკვდილის შემდეგ უფრო ვიცით კაცის დაფასება

**„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო,  
სიცოცხლე შენობს შენითა“**

**ვაჟა.**

ანზორ ბაბუნაძიას სულჩადგმული გაზეთი „თანადგომა“ ამის უტყუარი დადასტურებაა.

და ეს ძალიან კარგია, რადგანაც „დედამიწაზე არ არის წუთი სადმე მზე რომ არ ამოლიოდეს“... ჩამავალ მზეს კი ყოველ დღე მიაქვს ჩვენი სიცოცხლის ნაწილი...

**სპარტაკ ქოზულია**

## თანადგომა ვადაგვარჩენს!

ამ გაზეთს სულ სხვა დატვირთვა აქვს... ეს გაზეთი სხვა ყაიდისაა – ტკივილიანია... ამ შინაარსის გაზეთის გამოცემა, მხოლოდ სიკეთით სავსე, სამაგალითო ზნეობის, სხვისი ჭირის მოზიარე პიროვნებას თუ შეეძლო... თანადგომა!

თანადგომა ჭირში გვინდა,  
თორემ ლხინში რა გვიჭირს,  
შენდობა ვთქვათ ყველა კარგი  
კაცისა და ძმაბიჭვის!

გონებაში ლექსად წამოტივტივდა სათქმელი. წვითა და დავით გამოცემული ეს გაზეთი გვიქადაგებს, რომ სულიერებამ უნდა გადაარჩინოს ქვეყანა, რომ ზნეობა უნდა ჩავუნერგოთ ამ ქვეყნის მომავალს. სხვისი ჭირი გვაჩნდეს ჭირად!

ძნელია დღეს ამ წესით იცხოვრო, მაგრამ შენი არსებობის განმსაზღვრელი ხომ, იმთავითვე, თანადგომა იყო, ჩემო ანზორ, და, აი, ხანდაზმულმა აისრულე ყოველივე – ამ ქვეყნიდან წასულ თანამომძმეთა ღვაწლის გაშუქება შენი უჩვეულო გაზეთის – „თანადგომის“ ფურცლებზე!

იცოცხლე, კვლავაც ბევრს უნდა დაუღვე გვერდით შენი „თანადგომით“. „დათა თუთაშხიას“ ფილოსოფია არ დაივიწყო – კარგი ჰქენი და გაიარე... სიკეთეს ღმერთი ხელავს, მაგ სიკეთით გაგიმარჯოს!

**ვილენ მარდალეიშვილი**



ნაშრომთა ციკლის

„შეკრება თუ

ღანაშაულობა?!“-ს

შესახებ



# მამულის სიყვარულით გულანთებულო

ბატონო ანზორ, უკვე 20 წელია, რაც საქართველო ერთ ადგილზე დგას და მამულს ტკეპნის. დაირღვა მამულის მთლიანობა (კიდევ ერთხელ... მერამდენედ?!), გაქრა მისდამი ზრუნვა (დაცვა, მოვლა, ხვნა, თესვა), ქართველთა შორის დაიკარგა პატივისცემა, შრომისა და სწავლისადმი ლტოლვა, მიმართულება დაკარგა ქართველთა ნიჭმა და გონებამ, შეჩერდა ბუნებრივი მატება და, რაც მთავარია, დაკარგეთ უმთავრესი – სიყვარული, ანუ ცოცხალი ადამიანის სულიერი და ხორციელი არსებობის საზრდო!

ხორციელ ადამიანს – საკვები სჭირდება.

ადამიანის სულს კი – გონება, აზროვნება და სიყვარული.

ეს ხომ ელემენტარული ჭეშმარიტებაა. ქართველებს გვაქვს ღვთით ნაბოძები მაღლიანი მიწა საკვების მოსაყვანად, გვაქვს შემეცნების, აზროვნების და შემოქმედების უნარი. თუ ბრმა ბერძენმა – ჰომეროსმა საუკეთესოდ შეიგრძნო და დაინახა ეს რთული სამყარო, გერმანელმა ყრუ ბეთპოვენმა საუკეთესო მუსიკით დაატკბო და ინგლისელმა კოჭლმა ბაირონმა მთელი გრძნობით გარს შემოუარა, ჩვენ რაღა გვემართება ქართველებს? ქართველთა ნიჭისათვის პაწაწუნა ქვეყნის მოვლა-პატრონობა-ში?!

აღმშენებლობაა საჭირო ყველა სფეროში! საამისოდ თანადგო-მაა მთავარი. თანადგომით სულს განვკურნავთ. ამიტომ თქვენ – ბატონო ანზორ – გთავაზობთ ერთად მუშაობის (ორივე ხომ ეკონომისტები ვართ და მგონი სხვაზე არცთუ ნაკლები) პრინციპს:

მე – თქვენთვის, თქვენ – ჩემთვის, ორივე კი – საქართველოსთვის!

რადგან ჩვენი აზროვნება ჩვენივე საზოგადოების პროდუქტია, ყველაზე კარგად ჩვენ ვიცით ჩვენივე სენი და ორივემ დავიწყოთ და ავიყოლიოთ სხვებიც...

ერთად ყოფნით (გაერთიანებით) კი გაიმარჯვებს საქართველო (ძალიან გთხოვთ, დრომოჭმულ ლოზუნგად ნუ მიიჩნევთ).

ეკონომიკაში ჩვენ შეგვიძლია მართლაც და მნიშვნელოვანი სიტყვა ვთქვათ.

სრულიად გეთანხმებით, რომ ეკონომიკის მთავარი პრინციპი უნდა გახდეს ტრადიციული ეროვნული ღირებულების ეკონომიკის აღორძინება.

დღეს საქართველო არის დაუძღვრებული და ეკონომიკურად ძალზე ჩამორჩენილი ქვეყანა, რომელიც ფაქტობრივად 4-5 სხვა ქვეყანაზე და საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებზე არის დამოკიდებული და ეკონომიკური სუვერენიტეტი არ გააჩნია. ეს არის ქვეყანა, რომლის ბიუჯეტში გამოიჩეკა მილიონერები, ე.წ. „წარმატებული ბიზნესმენები“.

როგორც ეკონომისტი, გეთანხმებით და გეტყვით: ეკონომიკურად მშვიერ ქვეყანაში სირცხვილია, იყო მილიონერი, ისე, როგორც ძლიერ ქვეყანაში სირცხვილია იყო ღარიბი.

***საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ვაჟა ბერიძე***



# ანლო წარსულის გაცვითლები არ უნდა დავიწყეთ

ბატონი ანზორ ბაბუხაია ერთ-ერთი იმ ქართველთაგანია, რომელიც მუდამ ქვეყნისა და ერის ინტერესთა დამცველთა შორისაა. ის თავისი პრაქტიკული საქმიანობითა და თეორიული ნააზრევით ყოველთვის დროულად რეაგირებს ქვეყნის საჭირობო საკითხებზე. „შეცდომა თუ დანაშაულის“ ოთხივე ნაწილი მისი ადეკვატური მოღვაწეობის გამოძახილია.

ჩემი ზოგიერთი მოსაზრება თუ სურვილი:

1) ავტორი წერს: „... ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობა განაპირობა იმან, რომ ამდენი წლის განმავლობაში ხელისუფლებამ არ შეიმუშავა ქვეყნის მართვის ეკონომიკური პროგრამა“ (გვ. 5); „...ციკლში შევიტანე ის ახალი პუბლიკაციები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაზე დაყრდნობილი და ყველა ქართული თავისებურების ... გათვალისწინებით შემუშავებულ „ქართულ გეგმაში“ (გვ. 4).

პატივცემულ ავტორს შევახსენებთ, რომ ჭეშმარიტად „ქართული გეგმა“, რომლის შექმნაზეც ის ოცნებობს, რეალურად არსებული ისტორიული დოკუმენტია. მაგრამ, სამწუხაროდ, თანამედროვე პუბლიკაციებში თითქმის მთლიანად გამოტოვებულია საქართველოს ისტორიისათვის ეპოქალური მნიშვნელობის ორი წელი – 1990-1991, როცა ეროვნულმა ხელისუფლებამ, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას თაოსნობით, ეროვნულ სამეცნიერო ძალებზე დაყრდნობით და სამამულო ფინანსური წყაროების გამოყენებით, დაამუშავა ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი – „1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკური კრიზი-

სიდან გამოყვანის და ვითარების სტაბილიზაციის ღონისძიება-თა პროგრამა“, რომელიც 10 მსხვილი ბლოკისგან შედგებოდა. ხაზგასმით აღვნიშნავ, ეს დოკუმენტი აღმოცენდა წმინდა ეროვნულ ნიადაგზე, რომლითაც განისაზღვრა ორიენტაცია ქვეყნის ინტერესთა დაცვაზე. ფაქტობრივად, მასში მოცემულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, თუმცა, აქცენტი გაკეთებულია 1991-1992 წლებზე. ბევრ რამეში ეს პროგრამა დღესაც გამოსაყენებელია. მოკლედ, ახლო წარსულის გაკვეთილები არ უნდა დავივიწყოთ.

2) საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების არსებითი ხარვეზების ანალიზი და კრიტიკა საკმაოდ მეტია, მასზე ძალიან ბევრი დაიწერა და კვლავაც იწერება, იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო ორგანიზაციების (სსფ და სხვა) საქართველოში საქმიანობის ნეგატიური შედეგების შეფასების შესახებაც. ასე, რომ ბ-ნო ანზორ! – თქვენ ერთადერთი კრიტიკოსი არა ხართ.

3) დამეთანხმებით, კრიტიკა ძირითადად მაინც, პერსონიფიცირებული უნდა იყოს: თქვენ აკრიტიკებთ პრეზიდენტს, მინისტრთა კაბინეტს, თეორეტიკოსებს, პიროვნებებს, თუმცა, რომელს, ვის – ფაქტობრივად არ ჩანს.

4) რაც შეეხება „ყველაფრის გაყიდვას, სინდისის გარდა“ – ამის ავტორს (ბენდუქიძე) სინდისი საერთოდ არ ქონია, ან კიდევ, ყველაფერზე ადრე სწორედ სინდისი გაყიდა ალბათ.

დაბოლოს, იყავი მხნედ, კვლავაც გაბედულად შეუტეე საქართველოს დამაქცევრებს, რწმენა ურყევია: „მალე გაბრწყინდება საქართველო“.

**პროფესორი რევაზ გომოსია**

# შეკლომები, დანაშაული და ანზორ ბაბუნაძე

სხვისი ხელის შემყურეობა, ყველა დროში და ყველა ხალხში სამარცხვინოდ ითვლება. საქართველო დღესაც სხვისი დანაშარების მომლოდინეა. ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე პასუხისმგებელი პირები, დრო და დრო შეგვახსენებენ, რომ „წელს საქართველო უპრეცედენტოდ მაღალ საგარეო დანაშარებას ელოდება“, ხანდახან კი დონორი ორგანიზაციებისა და ქვეყნების ნაცვლად მოიბოდიშებენ, „რა ქნან, კრიზისია და დაპირებულ ოდენობით დანაშარებას ვეღარ გაიღებენ“. სამწუხაროა, მაგრამ სირცხვილის განცდა არ ჩანს ხელისუფლების წარმომადგენელთა რიტორიკაში, კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ეს გრძნობა ქრება ჩვენს ყოველდღიურობაში.

ამ თვალსაზრისით ანზორ ბაბუნაძეას პუბლიცისტიკა ქართული სულის სიამაყისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისაკენ გვიბიძგებს. იგი დროულია და მნიშვნელოვანი ჩვენი ისტორიული ცნობიერების განმტკიცებისათვის. არ ვეთანხმები მას ზოგიერთ საკითხში, მაგალითად, საერთაშორისო მონეტარული ფონდის საქმიანობის შეფასებაში, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენი კამათი ქვეყნის გადარჩენის გზების ძიებას ეხება და იგი ვაჟკაცური სულის განმტკიცების საშუალებაა. ამიტომ, მივესალმები ჩემი მეგობრის კიდევ ერთ ნაშრომს და დავძენ, რომ ვაღიარებულ ვართ მივიღეთ ეკონომიკურ პოლიტიკასთან, თორემ იგი, თვითონ მოვა ჩვენთან და არჩევნების დროს, 20 ლარის მომლოდინე მანქურთებად გვაქცევს.

ბოლოს კი მინდა, მაღლობა გადავუხადო ბატონ ანზორს, ვაჟკაცობისა და ბედთან შეურიგებლობისათვის. „მხოლოდ გამარჯვება ბედთან შეგვარბიებს“ გალაკტიონის ეს სიტყვები გზამკვლევი ყოფილიყოს მისი შემოქმედებისთვის.

**პროფესორი ღაზით იაკობიძე**

# მხარლასაჭერი მოსაზრებები

უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე თვალყურს ვადევნებ ცნობილი ეკონომისტის ბატონ ანზორ ბაბუხადას პუბლიცისტურ თუ ჟურნალისტურ ნაშრომებს, რომლებიც ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ჭკვიანური და ღინჯი, მოფიქრებული მოსაზრებები ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე.

შეუძლებელია არ დაეთანხმო მის მოსაზრებებს ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის თაობაზე, რომელიც განპირობებულია იმით, რომ დღემდე ქვეყანაში შემუშავებული არ არის არც ეკონომიკური პოლიტიკა და არც ეკონომიკური პროგრამა. უფრო მეტიც, ქვეყნის მთავარი ფინანსური გეგმის, სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენას წინასწარ მოფიქრებული არც ეკონომიკური განვითარების გეგმა, არც ეკონომიკური პროგნოზები არ უდევს საფუძვლად. ამით კი განპირობებულია ის გარემოება, რომ მისი პრაგმატულობა ნაკლებად მისაღებია. წელიწადში ბიუჯეტის შემოსავლების 20-25%-ით ზრდა სწორედ ამაზე მიანიშნებს.

არ შეიძლება მხარი არ დაუჭირო ბატონ ანზორის მოსაზრებებს სოფლის მეურნეობის განვითარების, საქსპორტო პროდუქციის მოცულობის გადიდების, სახელმწიფო საგარეო ვალების კოლოსალური ზრდის, სახელმწიფო ქონების გაუმართლებელი პრივატიზაციის თაობაზე. მოსაწონია აგრეთვე, მისი მოსაზრებები ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის საქმიანობის თაობაზე.

იმის გამო, რომ ქვეყანაში დაცული არ არის ადგილობრივი პროდუქციის წარმოება, მოსახლეობას სანატრელი გაუხდა

ქართული მიწის ბარაქა. ქვეყანაში წარმოებული კარტოფილი, კიტრი, პამიდორი ბაზრიდან გაქრა და მას დაეპატრონა უცხოური, სხვადასხვა ქიმიკატებით გაჟღენთილი პროდუქტები, რაზედაც პასუხი უნდა აგონ ამ სფეროში დასაქმებულმა ხელმძღვანელებმა.

ასე, რომ, მთლიანად მხარდასაჭერია ანზორ ბაბუხადიას ეკონომიკურ, პუბლიცისტურ ნაშრომებში გამოთქმული პატრიოტული მოსაზრებები.

**პროფესორი რევაზ კაკულია**

## „კაეკაცობაა სინამდვილეს პირისპირ შეხედოს კაცმა“

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალისადმი ხელისუფლების მხრიდან უსამართლო და ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ ბევრ უნიჭიერეს ადამიანს მომავლის რწმენა დაუკარგა და ჩაახშო მათი ბრძოლისუნარიანობა – ათასობით უნიჭიერესი და ცოდნით სავსე ადამიანი ჩრდილში აღმოჩნდა. ქვეყანაში უცოდინართა აღლუმი ბობოქრობს. თუმცა, მაინც არიან ადამიანები, რომლებმაც არ დაყარეს ფარ-ხმალი და თავიანთი გონიერი ნაფიქრალით ხანდახან შეახსენებენ თავს საზოგადოებას. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია უზარმაზარი გამოცდილების და ცოდნის მქონე, დაუღალავი მებრძოლი, აკადემიური, გაწონასწორებული, ოპონირების უნარის მქონე, ცნობილი ქართველი ეკონომისტი ანზორ ბაბუხადია, რომლის ნებისმიერ მეცნიერულ, თუ პუბლიცისტურ ნაშრომს მკითხველი

გვერდს ვერ აუვლის. აქტუალური, პრიორიტეტული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემებისადმი აქცენტირება, სიღრმისეული ანალიზის უნარი, ფაქტების ობიექტური შეფასება, საქმიანი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება და რაც მთავარია სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპების დაცვა ბატონ ანზორ ბაბუხადაის შემოქმედების მუდმივი თანამგზავრია. დიდი კონსტანტინეს სიტყვებით „ვაჟკაცობაა სინამდვილეს პირისპირ შეხედოს კაცმა“. ეს თვისება თქვენ ნამდვილად გაქვთ ბატონო ანზორ და დარწმუნებული ვარ მას არასოდეს დაკარგავთ.

გფარავდეთ ღმერთი!

*პროფესორი იაშა მისხია*

## საით მიდის საქართველო?!

„შეცდომა თუ დანაშაული?!“ – ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია: ნაკლებად შეცდომა და მეტწილად დანაშაული.

აქვე უნდა დაისვას არაორდინალური კითხვა: – ეკონომიკური სფეროს მაღალ პოსტებზე არასპეციალისტის დანიშვნა შეცდომაა თუ დანაშაული?

„ნუთუ ეკონომისტები არ იმსახურებენ, თუნდაც ურთულესი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკის სფეროში ფიზიკოსების, ბიოლოგების, ჟურნალისტების და ღმერთმა უწყის კიდევ რა სპეციალისტის ხელმძღვანელ პოსტებზე დანიშვნის ტენდენციაზე“. – ნათქვამია გურამ გუნიას ერთ ძალზე მცირე, მაგრამ ფრიად საინტერესო სტატიაში...

სავსებით ვეთანხმებით აგრეთვე ბატონი ანზორის დასკვნას:

„არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულებრივი ქმედების თავი და თავი სახელმწიფოში საკადრო პოლიტიკაში დაშვებული უხეში შეცდომებია“. ეს კი წმინდა წყლის ვოლუნტარიზმია.

მოსაწონია ავტორის პოზიცია ეროვნული ეკონომიკის დარგების განვითარებაში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების, სოფლის მეურნეობაში დოტაციების ფართოდ დანერგვის ეროვნული, მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების საკითხებში.

ცხადია, ამ პრობლემების გადაწყვეტა მამაცთა ხვედრია და ბატონ ანზორ ბაბუხადას სიმამაცეში, მხოლოდ ლაჩრებს შეუძლიათ ეჭვის შეტანა.

**პროფესორი ჯემალ პაჭკორია**

## ნათელი აზროვნების ნაყოფი

ნიჭი ისეთი ფენომენია, რომლის ხარისხი მხოლოდ მისი პროდუქტიულობით არ იზომება. ამიტომ ხშირად ერთი პატარა მოცულობის ნაწარმოების (ნაშრომის) ავტორი შეიძლება უფრო დიდხანს შერჩეს ისტორიას, ვიდრე მრავალტომეულისა, რომელმაც მოსალოდნელია ისტორიის მეხსიერებაში შესვლაც ვერ მოახერხოს.

ეს მოსაზრება მათქმევინა პატარა წიგნმა, რომლის ავტორია ცნობილი პუბლიცისტი, მეცნიერ-ეკონომისტი, მრავალმხრივი, მაგრამ ყოველთვის ეროვნულ ინეტერესებს დაქვემდებარებული მისწრაფებების მქონე პიროვნება ანზორ ბაბუხადა.

მთლიანად ვეთანხმებით ნაშრომის ავტორის მტკიცე პოზიციას, რომლის არსი მდგომარეობს საბაზრო ურთიერთობების

პირობებში ეკონომიკის თვითრეგულირებისა და სახელმწიფო-ებრივი რეგულირების მექანიზმების ოპტიმალურ შეხამებაში და სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების წინ წამოწევის აუცილებლობის დასაბუთებაში, რის შედეგადაც შეიძლება მივაღწიოთ ბაზარზე სასაქონლო პროდუქციის სიუხვეს და მოსახლეობის სოცალური დაცვის უზრუნველყოფას.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბატონი ანზორი იზიარებს ზოგიერთი ცნობილი თეორეტიკოს-ეკონომისტის მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ქვეყნებს შორის ზედმეტი ბარიერების, დიფერენცირებული საბაჟო ტარიფებისა და აქციზების დაწესება გაუმართლებელია, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა მრეწველობის განვითარებისთვის შეიძლება საზიანო იყოს, მაგრამ კონკრეტულად საქართველოს სინამდვილეში, როცა ქვეყნის მრეწველობა და საერთოდ ეკონომიკა, უკიდურესად დაცემულია და განვითარებულ ქვეყნებთან კონკურენციის გაწევის მინიმალური შესაძლებლობაც კი არა აქვს, მას აუცილებლად მიაჩნია არაორდინალური გადაუდებელი ღონისძიებები შიდა ბაზრის დაცვისა და ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკის რეგულირების მიზნით. ამ მოსაზრებას ჩვენც მთლიანად ვიზიარებთ, მით უმეტეს, რომ მსოფლიო გამოცდილება სწორედ ასეთი მიდგომის სისწორეს ადასტურებს, თანაც არამარტო ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის, არამედ ზოგჯერ განვითარებული ეკონომიკის პირობებშიც კი. ამაზე აშშ-ს უახლოესი ისტორიაც მეტყველებს.

სავსებით ვეთანხმები ბატონი ანზორის ლაკონიურ, თამამ, გონებამახვილურ და არსებითი ხასიათის დასკვნას, რომ საჭიროა: „ქონების განსახელმწიფოების საკითხის სახელმწიფო-ებრივი გადაწყვეტა“, ამ მარტივ წინადადებაში, ჩემი შეხედულებით, ღრმა აზრია, კერძოდ ის, რომ ქვეყანაში ნებისმიერი საკითხი, მათ შორის სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრება-



ში გადაცემაც, მხოლოდ კერძო საკითხი კი არა, საზოგადოებრივი, სახელმწიფო საკითხია და ამიტომ სახელმწიფოებრივად უნდა წყდებოდეს.

მიმაჩნია, რომ ეს პატარა წიგნი ქართული ეკონომიკური ლიტერატურის კარგი შენაძენია.

**პროფესორი გურამ ყუფუნია**

## შექმდეს და დანაშაულოც

ამ ციკლის ნაშრომთა მეოთხე ნაწილის გამოშვებას რომ არ დააყოვნებდა ბატონი ანზორი, ეს 2008 წლის 20 ივნისს ვიწინასწარმეტყველე.

... ჩემი ხანგრძლივი ჟურნალისტური მოღვაწეობის პერიოდში ვის აღარ შევხვედრივარ – გამოჩენილ მეცნიერებს, ეკონომისტებს, ბიზნესმენებს, პრაქტიკოს მეწარმეებს, მაგრამ ისეთი მრავალმხრივი, უღრუბლო აზროვნების, ეროვნული ინტერესებისა და მისწრაფებების მქონე პიროვნებას, როგორიც ანზორ ბაბუხაძია გახლავთ, ძალიან იშვიათად.

და მაინც, რას ებრძოდა და ახლაც უკომპრომისოდ ებრძვის ბატონი ანზორი თავისი საგაზეთო პუბლიკაციებითა და კრიტიკული გამოსვლებით. ის თავიდანვე გრძნობდა, რა დამლუპველი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა საქართველოში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციების გაუაზრებელ რეალიზებას, არასწორ ეკონომიკურ სტრატეგიას, ფაბრიკა-ქარხნების გაჩერებას, გლეხობის მიერ სოფლების მასობრივად დატოვებას, ქვეყნის დოვლათის შემქმნელის მომხმარებლად გადაქცევას, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მარეგულირებელი

ბერკეტების გამოუყენებლობას, საბაჟო გადასახადების მოუწეს-  
რიგებლობას, აგრეთვე მთელ რიგ სხვა მცდარ ნაბიჯებს და  
დანაშაულებებს, რომელთა ავტორი იყო საქართველოს ხელი-  
სუფლება და დღესაც არის. აქედან გამომდინარე, ამ წიგნისთ-  
ვის უფრო მორგებული იქნებოდა ჩვენს მიერ შემოთავაზებული  
სათაური – „შეცდომაც და დანაშაულიც“, რამეთუ მისი შემოქ-  
მენი ერთდროულად ორივეს იმსახურებენ.

## ოთარ ხუციშვილი

### „მხოლოდ პროფესიონალიზმი გადავარჩენს“

წარმოდგენილ პუბლიკაციებში ბატონი ანზორ ბაბუხაძია მის-  
თვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმითა და პირდაპირობით  
იხილავს ქვეყნის ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებს. მათზე  
მსჯელობას, როგორც წესი, იგი ასრულებს კონკრეტული და,  
ჩვენი აზრით, რეალური წინადადებებით, რასაც არცთუ ხშირად  
ვხვდებით ანალოგიურ ნაშრომებში. ამჯერად საჭიროდ ჩავთვა-  
ლეთ გაგაცნოთ ჩვენი რამდენიმე პოზიცია განხილულ პრობლე-  
მებთან დაკავშირებით.

ბატონი ანზორ ბაბუხაძია სავსებით სამართლიანად არ არის  
კმაყოფილი განვითარებულ ქვეყნებთან და საერთაშორისო სა-  
ფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობით. საერთაშორისო სა-  
ვალუტო ფონდი კრედიტებს აძლევს მხოლოდ სახელმწიფოს,  
რომელსაც უფლება არა აქვს ეს კრედიტები გამოიყენოს კაპი-  
ტალური დაბანდებისათვის, ანუ უშუალოდ ეკონომიკის გან-  
ვითარებისათვის. მათი ყველა სახის დახმარება კრედიტებზეა  
მიბმული. მაგალითად, ამერიკული დახმარება უნდა დაინარჯოს

მხოლოდ ამერიკული საქონლისა და მომსახურების შესაძენად და ა.შ.

სავსებით სწორია ბატონი ანზორი, რომ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს იმ მაგნე პრაქტიკას, როდესაც ფონდი კარნახობს ქვეყნებსა და მთავრობებს, რა არის მათთვის კარგი და რა – ცუდი. ამდენად, სსფ ნამდვილად არ არის „საერთაშორისო დახმარების სალარო“, არამედ იგი წარმოადგენს გიგანტურ საერთაშორისო მანქანას, რომელიც სხვადასხვა ხერხით შეაღწევს რა გაჭირვებულ ქვეყნებში, აჩვენებს მათ მცირე ზომის კრედიტების აღებას და ისეთნაირად „აუწყობს“ ეკონომიკას, რომ მათ ვერასოდეს ვერ შეძლონ დაკრედიტების გარეშე არსებობა. ამიტომ სსფ პოლიტიკა განიხილება, როგორც ღარიბი ქვეყნებისადმი „იმპერიალისტური საფინანსო დისციპლინის“ თავსმოხვევა, როგორც ინდუსტრიული განვითარებული ქვეყნების ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტი, რომელიც მესამე სამყაროს ქვეყნებში სიღარიბისა და მონობის „საერთაშორისო ფეოდალური დამოკიდებულების“ შენარჩუნებისთვისაა გამიზნული.

სავსებით ვეთანხმები ბატონ ანზორს, რომ საქართველოში მიმდინარე პრივატიზებას არასოდეს არ ჰქონია მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური სტრატეგია და იგი ღლესაც „აბა რა გაყვილო“-ს პრინციპზეა აგებული. საჭირო იყო არა საერთოსახელმწიფოებრივი საკუთრების ბოლომდე განადგურება, არამედ მისი მონოპოლიური მდგომარეობის შეცვლა, რათა შექმნილიყო კონკურენტული ბრძოლის მრავალფეროვანი გარემო. შედეგად, ხელალებით (ყოველგვარი ეკონომიკური და პოლიტიკური დასაბუთების გარეშე) გაიყიდა ისეთი ობიექტები, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სახელმწიფოს ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით.

აშკარად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პრივატიზებას არსებითი ეკონომიკური შედეგი არ მოჰყოლია. უფრო მეტიც, პრივატიზების ფორმით გათვალისწინებულმა სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობამ პრაქტიკულად „პრივატიზაციის“ ფორმა მიიღო. დაგროვილი ეროვნული დოვლათის უმოწყალოდ განიავებისა და უსამართლოდ განაწილების შედეგად გაჩნდა ერთის მხრივ, მცირერიცხოვანი მდიდართა ნაწილი, ხოლო მეორეს მხრივ, ღარიბ-ღატაკთა უზარმაზარი არმია.

### **პროფესორი აშირან ჯიბუტი**

## **ძოღაწე**

ბატონ ანზორ ბაბუხადას დიდ პატივს ვცემ მისი განვლილი ცხოვრების გამო, მისი ოჯახის გამო, მისი ძმის გამო... ხსოვნისადმი პატივისცემის გამო... იმის გამო, რომ ჩოხა-ახალუხის მატარებელია... ჩვენს შორის მთავარი ურთიერთობის ხაზი მაინც ეკონომიკაზე გადის. ჩვენ საქართველოს ეკონომიკის განვითარების შესაძლო გზების ძიებაში თეორიულად სრული თანამოაზრეობა არ გვაქვს, მაგრამ საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის თანაგულშემატკეივრები ნამდვილად ვართ. საქართველოს ეკონომიკა რომ ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობების შესაბამის მდგომარეობაში არაა – ამაზე არ ვკამათობთ. არც ისაა საკამათო, რომ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის უმთავრესი მიზეზი სუბიექტურია, ადამიანურია და, შესაბამისად – დაძლევადაა. რა წილი უდევს სიღუბჭირეში ცუდ მმართველობას, ხალხის დაბალ ეკონომიკურ კულტურას, განათლებას...

რამდენ ხანში და რა მექანიზმებით შეიძლება გარღვევა განვითარებაში? ამ უკანასკნელ კითხვაზე პასუხისას ჩვენ განსხვავებული აზრი გვაქვს. წინამდებარე პუბლიცისტური სტატიები პოზიციურია. ამავე დროს, როგორც პუბლიცისტური ჟანრი მოითხოვს – ემოციური. აქ თეზისები დეკლარირებულია და სამეცნიერო სტატიისგან განსხვავებით, არაა დასაბუთებული. ამიტომ პოზიციურ განხილვას მე ვერ შევუდგები. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ არავინ იცის, რა არის საბოლოო ჯამში სწორი, ამიტომ ყველამ უნდა ეძიოს გზა. ყველა ნააზრევი მიწოდებული საზოგადოებისადმი იწვევს აზროვნების სტიმულირებას და ზრდის სწორი გადაწყვეტილების მიღების ალბათობას. ამიტომაც მისასაღმებელია ბატონი ანზორის ნაღვაწი. ერთს კი ვიტყვოდი ლიბერალიზმის კრიტიკოსთა საყურადღებოდ, რომ ნუ აღიქვამთ ამ თეორიასა და პრაქტიკას იმათი ნააზრევ-ნამოქმედარის სახით, ვინც საქართველოში ლიბერალიზმის სახელით სარეცხ საშუალებებზე მონოპოლიას აწესებს და სოციალურ დახმარებას ბიუჯეტიდან აღებული თანხით ნაყიდი ტომარა პურის ფქვილით წარმართავს. არ ვარ მომხრე ზოგადი შეფასებების. არ ვემხრობი ბატონ ანზორს იქ, სადაც თეორიული კრიტიკა ლანძღვაში გაექცა. იქნებ მართლაც არაფერ კავშირშია ეკონომიკური თეორია საქმის მდგომარეობასთან და ყველა საიდუმლო ძახილისა და კითხვის ნიშნების ერთად არსებობაშია?!

**პროფესორი მიხეილ ჯიბუტი**

„შეცდომა თუ დანაშაული?!“ - ს IV ნაწილის

## რედაქტორისაგან

დროა ისეთი, არ არის საკმარისი, იყო მხოლოდ კარგი იურისტი, კარგი მწერალი, კარგი ეკონომისტი... ყოველივე ამასთან ერთად, თუ კარგი მოქალაქეც არ ხარ და შენს ქვეყანაზე გული თუ არ შეგტკივია...

ანზორ ბაბუნაძია არა მარტო შესანიშნავი ეკონომისტია, არამედ თავისი ქვეყნის გულშემატკივარი კაცია, ამიტომაც გამოირჩევა მისი წერილები გაბელულებით, სითამამით, პირდაპირობით.

შეიძლება ცოდნით ბევრმა იცის, რა მოხდა საქართველოში და საიდან დაიწყო ქვეყნის ეკონომიკის ნგრევა, მაგრამ ამ თემაზე საუბარს ერიდებიან... არადა, თუ არ გაირკვა, საიდან იწყება კატასტროფის გამომწვევი მიზეზების სათავე, პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია.

ბატონი ანზორი ის პიროვნებაა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა თქვა, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ერთად, მათი ხელშეწყობით და რეკომენდაციებით, საქართველოს ხელისუფლების ძველი თუ ახალი წარმომადგენლები შეგნებულად, მიზანმიმართულად აპარტახებენ ქართულ ეკონომიკას.

მძიმე ბრალდებაა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ფაქტი სახეზეა.

„ადრეც მითქვამს და დღესაც ვაცხადებ, – ამბობს ანზორ ბაბუნაძია – ზემოთაღნიშნული ორგანიზაციების სტრატეგიული მიზანია დამოუკიდებლობის გზაზე მდგომი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის შესუსტება, რის შედეგადაც ესა თუ ის ქვეყანა მისი მრავალმხრივი, რეალური პოტენციალის მიუხედავად, მწარმოებელი ქვეყნიდან მომხმარებელ საზოგადოებად გადააქციონ“.

აქედან კი ერთი ნაბიჯია მთავარ მიზანამდე: ეკონომიკურად დაძაბუნებული, სოციალურად დაუცველი ადამიანები იოლად თმობენ ეროვნულ ღირებულებებს, იოლად კარგავენ ეროვნულ სახეს და, საბოლოო ჯამში, იოლად თმობენ სამშობლოს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული მოსახ-

ლეობის მასობრივი პროლეტარიზაციის პროცესი წარმატებით „დაგვირგვინდა“ – სახეზეა მილიონამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ადამიანი.

მილიონნახევარზე მეტი ადამიანია გაქცეული ქვეყნიდან ლუკმა-პურის საშოვნელად, სახელმწიფოს სტრატეგიულ თუ არასტრატეგიულ ობიექტებს კი უცხოელები დაეპატრონენ.

ქართული ეკონომიკა, ფაქტობრივად, არ არსებობს, ხოლო როცა არ არსებობს ეკონომიკა, ეჭვქვეშ დგება თვით ქართული სახელმწიფოს არსებობის პერსპექტივა.

აი, ამ საკითხებზე საუბრობს ანზორ ბაბუხაძია ამ მოცულობით მცირე, მაგრამ შინაარსობრივად ძალიან მასშტაბურ და მნიშვნელოვან წიგნში.

სამწუხაროდ, ვერც ქართულმა მოსახლეობამ, ვერც პოლიტიკურმა ელიტამ დღემდე ვერ გააცნობიერა, რომ სახელმწიფოს ხსნა და აშენება მხოლოდ მაღალფარდოვანი, პატრიოტიზმით გაჯერებული პათეტიკით შეუძლებელია, თუ ამ პათეტიკას საფუძვლად არ უდევს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ნათლად ჩამოყალიბებული პროგრამა, განმტკიცებული შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით.

სანამ ჩვენ გაუმარ-ჯოს! გაუმარ-ჯოს!-ო ვყვირით, ცოდნითა და ხერხით მოსულმა მტერმა და შინაურმა გამყიდველებმა სამშობლო მოგვპარეს.

მოპარული სამშობლოს დაბრუნების გზებსა და საშუალებებზე გვესაუბრება ბატონი ანზორი ამ წერილებში.

„არ არსებობს არც ობიექტური, არც სუბიექტური საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენი ფსევდოსაბაზრო ეკონომიკა თავისთავად გარდაიქმნება ცივილიზებულ ბაზრად. ჩემი აზრით, საჭიროა ეკონომიკური რეფორმების შედეგების ღრმა ანალიზით სერიოზულად გავიაზროთ განვლილი და შევეცადოთ განვსაზღვროთ შემდგომ გარდაქმნათა საპროგრამო კონცეფცია“ – ანზორ ბაბუხაძიას ეს მოსაზრება ყურად უნდა იღოს ჩვენმა საზოგადოებამ, თუ გვინდა, რომ წინ აღვუდგეთ ქვეყნის განადგურების მზაკვრულ გეგმას...

**პანტანო ხარჩილაძე**



ანწორ ბაბუნადას

წოჯერთი

ბუბლიცისჭერი

წერილი





# ეკლაზე სიძაითური მამაკაცი

ზურაბ ანჯაფარიძე ჩვენი ოჯახის უახლოეს ადამიანად ითვლებოდა. მამაჩემი – ლევან ბაბუხაღია სიამაყით ამბობდა, რომ ზურიკო ჩემს ხელში გაზრდილიაო. ამ პერიოდს ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა ზურიკოს დედაც – ალექსანდრა ბართაშვილი, ჩვენი ალექსანდრა ბებო. ზურიკო ქუთაისის ხშირად სტუმრობდა. ჩვენთან უყვარდა მოსვლა მის უახლოეს მეგობრებთან ერთად. როცა სიმღერას შემოსძახებდნენ, სახლის წინ მთელი უბანი მოიყრიდა თავს და ტკებოდნენ ამ საოცრების მოსმენით.

სრულიად ახალგაზრდა ზურიკომ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება რომ მიიღო, ჩვენი ოჯახის სიხარული განუზომელი იყო. მამაჩემი მის ფოტოს და გაზეთიდან ამოჭრილ ცნობას, ამ ტიტულის მინიჭების თაობაზე, დიდხანს თან ატარებდა.

ერთხელ, ზურიკოს მოსკოვიდან თბილისში დაუბრუნებდა და დიდ თეატრში, საიდანაც უკვე თითქმის ათი წლის წამოსული იყო, ერთ-ერთ სპექტაკლზე მოსახვედრად ბილეთის შოვნაში დახმარება ვთხოვე. მითხრა, რომ მივსულიყავი თეატრის ნებისმიერ თანამშრომელთან და მისი სახელით მეთხოვა რაც მინდოდა. დიდი თეატრის ერთ-ერთ სამოსამსახურეო შესასვლელთან გავეჩერდი და იქედან გამოსულ პირველივე შუახნის მამაკაცს გავანდე ჩვენი თხოვნა. შებრუნდა ეს კაცი თეატრში და რამდენიმე წუთში ვიღაც იქაური, შედარებით ახალგაზრდა თანამშრომელი გამოიყვანა. მასაც რომ ვუხსენებ ზურაბ ანჯაფარიძე, დიდი ხნის მეგობარივით მომეფერა, ზურიკო დიდი სიყვარულით მოიკითხა და „ნეტ პრობლემ“-ო ბრძანა. რამდენიმე წუთში ბილეთები კი არა, ერთ-ერთი სამთავრობო ლოჟის ოთხ ადგილიანი მოსაწვევი ბარათი გამომიტანა და თან გულიანად მთხოვა, როცა ზურიკოს ვნახავდი (ასე ეძახდნენ მას დიდ თეატრში)

მისი სახელით დიდი მოკითხვა გადამეცა. ამ კაცს რა თქმა უნდა, პირობა შევეუსრულებ, მაგრამ თავისი სახელი და გვარი არ მითხრა, იმიტომ, რომ ზურიკო მე არ მიცნობსო! რა ჰქვია ასეთ ქცევას ან რატომ გადადგა ასეთი ნაბიჯი „უცნობმა“, ამის განსჯა მკითხველისთვის მიმინდვია.

ჩვენს შორის საინტერესო მოსაგონარს რა დალევს, მაგრამ ამჯერად მდგომარეობის გაიოლების მიზნით მოვიყვან მხოლოდ ერთ პატარა ნაწყვეტს ჩემი წიგნიდან, „მხოლოდ თანადგომა გადაგვარჩენს“:

„მოხდა ისე, რომ ზურიკო თავის დაბადების დღეს, 12 აპრილს, დილით გარდაიცვალა. საღამოს მის სახლში ერთ-ერთი გაბმული სატელეფონო ზარის შემდეგ ყურმილი ავიღე. ჩემი უფროსი ვაჟი მიშიკო რეკავდა ინგლისიდან. ამ დღეს ჩემი იქ ყოფნა ტრადიცია იყო და ჩემი ხმა რომ გაიგო, არც გაჰკვირვებია და სტუდენტული ბიუჯეტის გათვალისწინებით პირდაპირ გადავიდა საქმეზე! მამი, გრიალებთ ხომ?! გადაეცი ყურმილი ზურიკო ბიძიას, დაბადების დღე უნდა მივულოცო. ყელში რაღაც გამეჩხირა და კარგა ხანს სათქმელს თავი ვერ მოვუყარე. მერე როგორც იქნა მოვახერხე და რა უბედურებაც გვჭირდა, რომ ვუთხარი ხმა ჩაუვარდა. ზუსტად აღარ მახსოვს, მას შემდეგ იმ ორ-სამ წუთში რაც მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ იქეთ ის ატირდა და აქეთ მე. ცხოვრებაში ბევრი რთული მომენტი მქონია, ასეთი არასოდეს. ამის განსენების დროს ახლაც ჟრუანტელი მივლის. ღმერთმა გაანათლოს მისი სული. ხანდახან, რომ დავფიქრდები, ვერ გამიგია, ერთ კაცში როგორ მოუყარა ღმერთმა თავი ამდენ ნიჭსა და უნარს. რა შვილი, რა მეუღლე, რა მამა, რა გარეგნობა, რა ხმა, რა ღიმილი, რა მოფერება, რა მონატრება, რა ღროსტარების უნარი, რა ქეიფი, რა სიყვარული, რა გვერდში დგომა, და რა ვიცი, კიდევ რა, თვისება

უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ რომელიმე მათგანით ზურიკოს გაეჯიბროს. ალბათ ტყუილად არ იყო ღიღმა მაესტრომ, ოღისეი ღიმიტრიადიმ, ერთ-ერთ ინტერვიუში, მსოფლიოში ყველაზე სიმპათიურ მამაკაცად ზურაბ ანჯაფარიძე რომ დაასახელა“.

ლიტონ სიტყვებად თუ არ ჩამეთვლება ზურიკო ჩემთვის დღესაც ცოცხალია და მის სულთან თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს. ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის თაოსნობით და უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით გამოძავალი „თანადგომა“-ს სპეციალური ნომრების უმრავლესობას სწორედ მისთვის ძვირფასი პიროვნებების სახელების უკვდავყოფას ვუძღვნი და თუ ღამცაღდა მოძავალშიც ბევრი მათგანის ხსოვნას მივაგებ სათანადო პატივს. გარდა ამისა, ღმერთს ვთხოვ იმდენი შემაძლებინოს, რომ ჩემს ნათლულს, პატარა ზურაბ ანჯაფარიძეს ისე დავუდგე გვერდში, როგორც მინდა და მევალება.

## 6. სატიანჰვილის წიგნიდან „ზურაბ ანჯაფარიძე“

### ასეთი გულიანი კაცი იშვიათობაა

ირაკლი უჩანეიშვილი ღმერთმა მრავალმხრივი ნიჭიერებით დააჯილდოვა. კომპეტენცია არ მეყოფა შესაფერისად დავახასიათო იგი, როგორც დიდი მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი და როგორც ფართო პროფილის „ხელმარჯვე ოსტატი“. სამაგიეროდ გაბედულად ვიტყვი: ასეთი გულიანი კაცი იშვიათობაა.

ჩვენი მეგობრული დამოკიდებულების მაქსიმალურ რანგში აყვანის მიზნით, წმინდა სამების ტაძარში, სათანადო რიტუალის

სრული დაცვით, თავისი ნათლიის სტატუსიც მომანიჭა. მისი ჭირის, ლხინისა და საილუმლოების ერთ-ერთი გამზიარებელი მეც გახლდით. ყველაზე მეტად აფხაზეთში და სამეგრელოში დატრიალებულ ტრაგედიას განიცდიდა და სწორედ ამან დააჩქარა მისი ამ ქვეყნიდან წასვლა. ირაკლის გარდა ვინ შეძლებდა ერთი კვირის განმავლობაში, ყოველ დამე საავადმყოფოდან გაპარვას ნახევრად გაყინულ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, რათა მისი ავადმყოფობის გამო კონცერტი არ ჩაშლილიყო და უამრავი თავყვანისმცემელი არ გაეწბილებინა.

მადლობა ღმერთს, რომ იგი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ვერ მოესწრო მისი სათაყვანებელი შვილიშვილის – გიორგის საშინელ ტრაგედიას. სხვა შემთხვევაში რა მოხდებოდა, ამის წარმოდგენა შეუძლებელია.

*„თანადგომა“, ივნისი, 2001 წ.*

## დავით ჩხიკვიანი – ქართული საქმეების უნმაუროდ მკეთებელი

გაზეთ „თანადგომის“ ფუნქციების, ამოცანების, დანიშნულებებისა და საერთოდ, მისი გამოცემის მიზანშეწონილობაზე ოჯახური მსჯელობისას ორი ძირითადი მიმართულება განისაზღვრა, რომელიც მას უეჭველად გამოარჩევდა სხვა ეგზომ მოძრავლებული გაზეთებისაგან. პირველი იყო ქრისტიანულ-მართლმადიდებლური წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების აღსრულების ელემენტარული წესების მოსახლეობის ყველა ფენისათვის გასაგებ ენაზე მიწოდება და მეორე – ერის განსაკუთრებით გამოარჩეულ შვილთა ხსოვნისადმი სათანადო პატივის მიგება, მათი

ღირსების წარმოჩენა, რათა ჩვენმა მომავალმა თაობებმა უკეთ გააცნობიერონ ვისი გორისანი არიან და რა გზით უნდა იარონ.

ყველაზე ურთულესი პრობლემა ერის ასეთ შვილთა პირველი ათეულის განსაზღვრა შეიქმნა, თუმცა დიდ ზურაბ ანჯაფარიძეს, უკვდავ ვანო სარაჯიშვილსა და ქართული საქმეების უხმაუროდ მკეთებელს, დიდ საზოგადო მოღვაწეს ბატონ ღავით ჩხიკვიშვილს კონკურენცია ბევრმა ვერ გაუწია.

ბატონი ღავითის პიროვნების დახასიათების უფლებას ჩემს თავს ვერ მივცემ, თუმცა ჩვენი ოჯახისადმი მისი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, შეიძლება სხვებზე ნაკლებად არ ვიცოდე, მეგობრობისა და გვერდში დგომის როგორი უნარიც გააჩნდა.

ბატონმა ღავითმა და მამამ – პროფესორმა მიხეილ კანკავამ წლების განმავლობაში ერთად იმოღვაწეს პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ბატონი ღავითი რექტორი იყო, მამა – პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში). სხვებისაგან ხშირად მსმენია, რომ ისინი ერთმანეთს უსიტყვოდ უგებდნენო. მაშინ, ამ ნათქვამის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, სრულად არ მესმოდა, თუმცა იმას კი ვხედავდი, რომ ჩვენთან ბატონი ღავითის გარეშე არც ლხინი იყო და არც ჭირი. მეამაყება, რომ მათი მეგობრობა, მიუხედავად დიდი ასაკობრივი სხვაობისა, სამსახურებრივი ურთიერთდამოკიდებულების შეცვლის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა. ეს განსაკუთრებული ურთიერთობა ძალზე თბილად გაიხსენეს შარშან, მამის 100 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღეებში.

ღმერთმა უმრავლეს ჩვენს ქვეყანას ბატონი ღავით ჩხიკვიშვილის მსგავსი შვილები.

**თინათინ კანკავა-გაბუნაძია**  
*„თანადგობა“, ოქტომბერი, 2001 წ.*

## მინისტრების მინისტრო

ათეულობით წლების განმავლობაში მუშაობა ბევრ ხელმძღვანელთან მომიწია, რომელთაგან ბატონი მამია მეგრელიშვილი თავისი ერუდიციით, გამოცდილებითა და კაცობით ნამდვილად სამაგალითო იყო. დასტურად გთავაზობთ მასთან ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდს.

საქართველოს ვაჭრობის სამინისტროში ბატონი მამიას მინისტრობის დროს დავიწყე მუშაობა. რამდენიმე თვეში სამინისტროს ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო სტრუქტურული ერთეულის – საგემო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსად დამაწინაურა. მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენი სამმართველოსათვის ყოველი პირველი იანვარი სამუშაო დღე იყო. ერთად მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ იგი ახალი წლის პირველ დილას სამმართველოში არ ამოსულიყო და ახალი წელი არ მოელოცა.

სამინისტროს კოლეგიის ერთ-ერთ სხდომაზე, საკმაოდ პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა ზომაზე მეტად გამწვავდა და ჩემი პოზიცია ცოტა არ იყოს უტაქტოდ დავაფიქსირე. მინისტრის მხრიდან ამ ფაქტს კოლეგიის სხდომის მსვლელობისას ადეკვატური რეაქცია არ მოჰყოლია, თუმცა შევატყვევე, რომ ბატონი მამია ჩემზე ნაწყენი დარჩა. სხდომის დამთავრებისთანავე შევედი მასთან კაბინეტში, მოკლე განმარტება მივეცი და მომხდარის გამო ბოდიში მოვუხადე. დინჯად წამოდგა, ბეჭებზე ხელი დამადო, მამაშვილურად დამარიგა და მადლობა გადამიხადა, რომ ცხელ გულზე ჩემი შეცდომა მე თვითონ ვაღიარე.

საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთ პლენუმზე, ჩვენს სამინისტროს ძალზე სერიოზულად უსაყვედურეს ვაჭრობის და-

რგის მუშაკების შრომის ანაზღაურების საკითხებში არსებული ნაკლოვანებების თაობაზე. დღევანდელისაგან განსხვავებით, მაშინდელი წესების თანახმად, კრიტიკულ შენიშვნას, ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო იგი, უყურადღებოდ და რეაგირების გარეშე ვერავინ დატოვებდა. პლენუმის მეორე დღეს, დილიდანვე, მინისტრი და მე კაბინეტში ჩავიკეტეთ და 12-14 საათის განმავლობაში შესვენების გარეშე ჩამოვყალიბეთ საპასუხო მასალა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მიერ შედგენილ დოკუმენტებს მაინცდამაინც არ იწუნებდა, ჩვენი ეს კოლექტიური ნაშრომი თავიდან ბოლომდე თავისი ხელით დაწერა, დაბეჭდილიც ერთად ჩავასწორეთ და თავადვე წაიღო დანიშნულების ადგილზე.

რა ძალა აქვს, თითქოსდა ასეთ უმნიშვნელო თვისებებს, ეს თავად განსაჯეთ. მე კი დაბეჯითებით ვამბობ, რომ ბატონი მამია მეგრელიშვილი, როგორც ხელმძღვანელი, პიროვნება, მოქალაქე და კაცი ნამდვილად სამაგალითო იყო.

მასთან ერთად არაერთხელ მომიწია სხვადასხვა დონის ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეკრებებზე ყოფნა. შეუძლებელია სრულად გადმოსცე, თუ როგორი სითბოთი, მოწიწებითა და სიყვარულით ხვდებოდნენ მას სხვადასხვა თაობისა და მდგომარეობის პიროვნებები, განსაკუთრებით მისი კოლეგები, რომელთა შორისაც ის დამსახურებულად იყო აღიარებული მინისტრების მინისტრად.

*„თანადგომა“, ნოემბერი, 2001 წ.*

## ნუგზარ საკაიას ხსოვნას

ჩემო ნუგზარ, თითქმის ორმოცი წელია მე და შენს შორის ურთიერთმიმართვის სხვა ფორმა არასოდეს ყოფილა. ამ ხნის მანძილზე შენგან სიბოლო და ყურადღება არ მომკლებია. არასოდეს სიტყვა მაღლობაც კი არ წამომცდენია, რადგან იგი ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას, ალბათ, არ მოუხდებოდა. ახლა კი, საქვეყნოდ მინდა გითხრა მაღლობა.

ერის ღირსეულ შვილთა სახელების უკვდავყოფის მიზნით „თანადგომის“ დაფუძნება რომ გადავწყვიტე, პირველად აზრი შენ გაგიზიარე; გაზეთის პირველი ნომრის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წერილობითი დალოცვა რომ გამომიგზავნა, პირველად ისიც შენ გაგაცანი; საქართველოს პრეზიდენტმა გაზეთის დაარსება ოფიციალური წერილით რომ მომილოცა, პირველად ესეც შენგან გავიგე; გაზეთის ყველა ახალი ნომერი, როგორც წესი, პირველად შენთან მომქონდა და ამიტომ პირველ ობიექტურ შეფასებასაც შენგან ვღებულობდი.

ნუგზარ, დიდი მაღლობა ასეთი გულისხმიერებისთვის, თუმცა ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ „თანადგომის“ გამოცემის წლისთავზე, მისი ერთ-ერთი ნომრის აღრესატი შენ იქნებოდი...

პ.შ. ჩემო ნუგზარ, ბევრმა შენმა მეგობარმა გამოთქვა სურვილი, რომ ჩვენი გაზეთის საშუალებით გამოეხატათ შენთან სამუდამო განშორებით გამოწვეული გულისტკივილი, მაგრამ ვერ შეძლეს, უბრალოდ, თავს ვერ მოერივნენ, შენზე საუბარი წარსულ დროში არ გამოუვიდათ. შეუნდოთ ღმერთმა!

*„თანადგომა“, აპრილი, 2002 წ.*



## ბაბუ – საბაგო პრეზიდენტი

რამდენიმე წლის წინ, საზოგადოება „ბაგრატის ტაძარი“-ს დამფუძნებელთა ყრილობაზე ამ ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთმა ინიციატორმა, აბოლუტურად ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, დავაყენე საკითხი ამ საზოგადოების საბაგო პრეზიდენტად ბატონი შალვა გიორგაძის არჩევის თაობაზე. დარბაზს ისეთი ტაში მოსწყდა, რომ კენჭისყრას აზრი აღარ ჰქონდა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, ნებისმიერ საზოგადოებაში ბატონ შალვა გიორგაძის ასეთი პოპულარობა და სიყვარული მისმა კაცობის ფენომენმა განაპირობა.

უფრო მეტიც, ბატონ შალვას დიდი სიბოძოს, კაცურ-კაცობისა და საყოველთაო სიყვარულის გამო თბილისმა კარგა ხნის წინ „ბაბუ“ შეარქვა და ეს სათუთი და ღირსეული ტიტული ღირსეულად ატარა. ამავე ტიტულით გავაცილეთ ორმოცი დღის წინ სამუდამო სასუფეველში და დარწმუნებული ვარ, ასევე სითბოთი და ამავე ტიტულით ძალიან დიდხანს მოიხსენიებენ. ღირდა ამისათვის ცხოვრება!

საგულისხმოა, რომ გიორგაძეების, ანჯაფარიძეების და ბარათაშვილების ამ ერთი დიდი ოჯახის კიდევ ერთ წევრს, უდიდებულეს ქალბატონს, ჯემალ და ზურაბ ანჯაფარიძეების დედას, ალექსანდრა ბარათაშვილს ახლობლებმა „აღე ბებია“ უწოდეს. აქ უბრალო დამთხვევასთან არ უნდა გვქონდეს საქმე. ეს რაღაც სხვა ფენომენია...

სამწუხაროდ, უცნაური და შემზარავი დამთხვევა ის იყო, რომ თავიანთი ორ-ორი უთვალსაჩინოესი ვაჟკაცი ჯანო და გიზო გიორგაძეები, ჯემალ და ზურაბ ანჯაფარიძეები საკმაოდ ხანდაზმულებმა, თავად გააცილეს მარადიულ სასუფეველში.

*„თანადგომა“, სექტემბერი, 2002 წ.*

# აუხსნელი, განუქორბელი ფენოქენი

„ცხოვრების გზაზე ბევრი საინტერესო პიროვნება შემხვედრია, რომელთა დადებითი და უარყოფითი თვისებების ანალიზი, თავისებური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ე.ი. რაც მეტ განსხვავებულ პიროვნებას შეგახვედრებს განგება, მით უფრო იზრდება საშუალება იმსჯელო მათ ავკარგიანობაზე, ნელ-ნელა შენც ყალიბდები ზოგიერთისათვის მოსაწონ და ზოგიერთისათვის არმოსაწონ პიროვნებად. მთავარი ბარომეტრი, რაც ამ განზომილებებს თავის სახელს არქმევს, საზოგადოებრივი აზრია, თუ მისი ობიექტურად აღქმის უნარი არ გადალახობს. მოგწონს თუ არ მოგწონს იგი, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ირწმუნო, რომ როგორი საზოგადოებრივი აზრიც არსებობს პიროვნების შესახებ. ზუსტად ის არის, არც მეტი, არც ნაკლები“...

ჩემს წიგნში „დიალოგი მეგობართან“ გამოთქმული ეს აზრი შეგნებულად წარვეუძმღვარე ბატონი **ირაკლი მიქელაძისადმი** მიძღვნილ მოგონებას. იშვიათია კაცი, რომელიც ასე უხვად ყოფილიყოს დაჯილდოვებული ღვთის მიერ ნაბოძები ყველა სიკეთით. დახედეთ მამამისის პორტრეტს და იტყვი, რომ თავადი სოლომონ მიქელაძის შვილი გარეგნობით სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო; მეცნიერებისა და სახელმწიფო მოღვაწის რანგში მან ორივე უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო; როგორც პიროვნება და მოქალაქე კი რაღაც აუხსნელი, განუმეორებელი ფენომენის ნიმუში შექმნა. დიახ, ასეთი გახლავთ საზოგადოებრივი აზრი დიდი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და მოქალაქის, ირაკლი მიქელაძის შესახებ.

ვამაყობ, რომ სწორედ მისი ხელდასხმით, ჯერ კიდევ მე-5 კურსის სტუდენტი, მისი კათედრის რიგითი წევრი გავხდი,

ხოლო შემდეგ მისივე რეკომენდაციით, როგორც გამონაკლისი, საწარმოო სტაჟის გარეშე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, ასპირანტურაში სწავლის გაგრძელების უფლება მომენიჭა. და კიდევ იმით, რომ ახალგაზრდობაში ზოგიერთი ჩემი მეგობარი „პატარა ირაკლის“ მეძახდა.

*„თანადგომა“, ნოემბერი, 2002 წ.*

## ქართული სულისა და სიმღერის ღვლოფალო

დიდი ზურაბ ანჯაფარიძის, უკვდავი ვანო სარაჯიშვილისა და ჭეშმარიტად სახალხო არტისტის ირაკლი უჩანეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი „თანადგომის“ სპეციალური ნომრების გამოშვების შემდეგ, ჯერი ქართული სულისა და სიმღერის დღელოფალზე **ინოლა გურგულიაზე** მიდგა.

ბეერი ფიქრისა და განსჯის შედეგად „თანადგომის“ ორიგინალური ფორმითა და შინაარსით გამოცემის საშუალება მომცა ბატონი გიზო ნიშნიანიძის განუმეორებელმა წიგნმა „პაემანი ვერაზე“ და ინოლას ქალიშვილის, ია შულღიაშვილის მიერ შედგენილმა წიგნმა „ინოლა“-მ. „თანადგომის“ ამ ნომრის გამოშვებისათვის გაწეულ უპრეტენზიო შრომას გამართლებულად ვთვლი, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ ერთხელ აგიცრემლდათ თვალი და დატკბით ქართული ნიჭიერებით.

*„თანადგომა“, იანვარი, 2003 წ.*

# მასწავლებლებიც ასეთი უნდა!

რაც დრო გადის, მით მეტად ვრწმუნდები ჩემი გადაწყვეტილების სისწორესა და აუცილებლობაში „თანადგომის“ გამოცემასთან დაკავშირებით. სხვაგვარად როგორ შემეძლო მეოცნება, რომ ოდესღაც, მომეცემოდა საშუალება შევხებოდი ქვეყნის უთვალსაჩინოესი პიროვნებების საარქივო დოკუმენტებს, თვალი შემეველო მათი პირადი ნივთებისათვის, რამდენიმე საათი გამეტარებინა მათ სამუშაო ოთახებში, გამეცნო ან კიდევ უფრო დავახლოვებოდი მათი ოჯახის წევრებს. ყოველივეს რეალურად აღვიქვამ და ამიტომ გაზეთის ყველა ნომრის მომზადება, მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, დიდ სტიმულს მაძლევს.

აღნიშნული ფენომენის ძალა კიდევ ერთხელ ვიგრძენი „თანადგომის“ მომზადებისას, ბატონი **გიორგი ჯიბლაძის** სამუშაო ოთახში მის ქალიშვილებთან, მანანასთან და მაიასთან ერთად გატარებული რამდენიმე საათის განმავლობაში. სწორედ ამ დროს წავაწყდი ბატონი გიორგის ხელნაწერს, საშუალო სკოლის და უნივერსიტეტული პედაგოგების სიას გარკვეული ჩანიშვნებით. საშუალო სკოლის ერთ-ერთი მასწავლებლის ბ-ნი ნიკო მეფისაშვილის გვარის გასწვრივ ასეთი მინაწერია: „ჩემი სულიერი მამა“. ამ თანაგარსკვლავედს სხვებთან ერთად ამშვენებენ: იუსტინე აბულაძე, პანტელეიმონ ბერაძე, მოსე გოგობერიძე, სერგი დანელია, მიხეილ ზანდუკელი, ვარლამ თოფურია, კორნელი კეკელიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, რევაზ ნათაძე, შალვა ნუცუბიძე, შალვა რადიანი, დიმიტრი უზნაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, ანა ჩხეიძე (თანმიმდევრობა ალფაბეტის შესაბამისად ჩვენი შედგენილია).

მასწავლებლებიც ასეთი უნდა!

„თანადგომა“, მაისი, 2003 წ.

## დიდი კაცი

„ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არა ჰყავს“

ილია

„ადამიანებო, იყავით ადამიანური! ეს არის თქვენი პირველი მოვალეობა“

შან შაკ რუსო

ოთარ ჩერქეზია ქართველ XX საუკუნელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული სიმაღლეა. მიუხედავად იმისა, რომ ის საქართველოს ახალგაზრდობის აღიარებული ლიდერი, ქვეყნის მთავრობის ორიგინალური მეთაური და უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს განუყოფელი თავკაცი იყო, ფართო საზოგადოებისათვის კიდევ უფრო მეტად უნდა ყოფილიყო ცნობილი და აღიარებული, ვიდრე სინამდვილეში იყო. იცით რატომ? იმიტომ, რომ ბევრისგან გამორჩევით, ის თავად უფრო გაცილებით დიდი იყო, ვიდრე მისი ნებისმიერი თანამდებობა. არა, მას არც სახელი აკლდა და არც საზოგადოების დაფასება! საწყენი ისაა მხოლოდ, რომ ის გაცილებით მეტს იმსახურებდა. ალბათ ეს დროც დადგება! პირადად მე, ჯერჯერობით მხოლოდ ის შეეძებლი, რომ ბატონი ოთარის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, მისი სახელის უკვდავყოფის მიზნით გამოვეცი „თანადგომის“ სპეციალური ნომერი, რომელშიც უახლოესი მეგობრები ნოდარ ჭითანავა, ზეზვა ლულუნიშვილი, ავთანდილ საყვარელიძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, რესან კონცელიძე, სერგო რიგვა-

ვა, ნოდარ კიკვაძე, მერაბ მერაბიშვილი, იური ქართველიშვილი, ნელი და ოთარ ბაქანიძეები ერთმანეთს ეცილებიან ოთარ ჩერქეზიას ურთულესი ფენომენის ამოხსნაში.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ თუ დავესესხებით – ასეთი ადამიანები არ კვდებიან, სიცოცხლე იკლავს თავის თავს ასეთ ადამიანებში. რატომ ხდება ასე, იმიტომ იმოკლებს სიცოცხლე თავის არსებობას სწორედ იქ, სადაც ყველაზე უფრო საიმედო და უღალატო სადგური აქვს გამზადებული? ალბათ იმიტომ, რომ სიცოცხლე სიკეთეა, სიკეთეს კი უჭირს ამ ღალატთან წუთისოფელში“.

წელიწადი უკვე შესრულდა, რაც ბატონი ოთარ ჩერქეზია ზეციური საქართველოს ბინადარია. „იგი იქ წინდაწინ იმიტომ წავიდა – როგორც ელჩებს სჩვევიათ ხოლმე – მისი უახლოესი მეგობრების იმქვეყნიური ვიზიტი რომ მოამზადოს!“ ბატონო ოთარ, თქვენს მეგობრებს გარდაცვალების აღარ ეშინიათ, რადგან სამუდამო სასუფეველშიც ოთარ ჩერქეზიას გვერდით, უფრო მშვიდად იქნებიან.

**წიგნიდან: „ოთარ ჩერქეზია“**

# ღირსეული ქალბატონი!

ბედნიერებაა, როცა ცხოვრების ურთულეს გზა-სავალზე, ისეთი პიროვნება შეგხვდება, როგორიც ქალბატონი ნინა ჟვანია გახლდათ. ამას ჩემთან ერთად, ბევრი სხვაც იზიარებს. მათ შორის ისინიც, ვინც მისი ახლობელი და მეგობარი არ იყო.

ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, თუ როგორ ახერხებდა ეს ბრწყინვალე მანდილოსანი ამდენი ადამიანის თავის გარშემო შემოკრებას, გულის სითბოს გაზიარებას. ქალბატონ ნინოს სიკეთის ქმნის უჩუპარი უნარი ჰქონდა და რაც ყველაზე მთავარია, თვითონ იყო უზომოდ კმაყოფილი, როცა ვინმეს ხელს გაუწვდიდა და მხარში დაუდგებოდა. თანამდებობა კი ისეთი, ჰქონდა, რომ ძალიან ბევრი რამ შეეძლო. აი, ამიტომ იყო მისი მისაღები მუდამ ხალხით სავსე. სხვათაშორის, როცა ამ ბრწყინვალე მოქალაქეს და საზოგადო მოღვაწეს ვიხსენებ, ბევრი რამ მაკვირვებს. თუნდაც ის, რომ სამსახურში უზომოდ დაკავებულს, არასოდეს ავიწყდებოდა სხვისი ჭირ-ვარამის მოკითხვა და თუ საჭირო იყო, ხელის გამართვაც. იგი თავს ვალდებულად თვლიდა, ჭირისუფლისთვის სამხიმარი ეთქვა და მათ გვერდით მდგარიყო. აი, ამიტომაც იყო სასურველი მისი გამოჩენა ყველგან. უმეტესად კი იქ, სადაც ყოფითი პრობლემები იჩენდა თავს. ხშირად სადმე სამხიარულო ღონისძიებაზე მისვლას, სწორედ რომ პანაშვიდზე ან გასვენებაზე წასვლას ამჯობინებდა. დღემდე ჭკუის სასწავლებლად მაქვს, რომ შემომეხმდიანებოდა: ჩემო ანზორ! ამა და ამ კაცმა ქალაქისთვის, საზოგადოებისთვის ბევრი რამ გააკეთა, ახლა ამ ქვეყანას ემშვიდობება და შენი მისვლა იქ სასურველიაო! იცოდა ამ გონიერმა ქალბატონმა, რომ ჩემთვის მაშინ სრულიად ახალგაზრდა კაცისთვის, ეს თუნდაც იმიტომ იყო საჭირო, რომ უფროსების პატივისცემა და მათი ამაგის და-

ფასება შემძლებოდა. სხვათაშორის, ამ წინადადებით და თხოვნით, არა მარტო მე, არამედ გაცილებით მაღალი თანამდებობის პირებს მიმართავდა და უარს ვერავინ ჰკადრებდა.

მთხოვნელთა და საჩივრით მოსულთა არაჩვეულებრივი მოსმენა იცოდა და ყველას გვაფრთხილებდა: ადამიანი აღმასკომში, მაშინ ასე ერქვა მერიას, იშვიათად მოღის მაღლობის სათქმელად. უმეტეს წილად მას რაღაც ტკივა, რაღაც აწუხებს და არავის აქვს უფლება უგულისყუროდ მოეკიდოს მის გაჭირვებასო. რა თქმა უნდა, ყველას ყველაფერს ვერ უსრულებდა, მაგრამ იშვიათად მინახავს მთხოვნელი, მისი კაბინეტიდან გულნაკლული რომ გამოსულიყოს... და ეს მაშინ, როცა თვითონ უზარმაზარი ტკივილით დამძიმებული ცხოვრობდა და მუშაობდა.

ქალბატონი ნინოს სამუშაო მაგიდის მუდმივი რეკვიზიტი იყო სტალინის პატარა ბრინჯაოს ბიუსტი. მიუხედავად იმისა, რომ სტალინის ეპოქამ შეუქმნა მის ოჯახს უდიდესი პრობლემა და მან შესანიშნავად იცოდა მისი ყველა ნაკლოვანი მხარე. ის პროლეტარიატის ბელადს მაინც სათანადო პატივს მიაგებდა, რადგან იგი ვერ ეგუებოდა ანარქიას და ხშირად ამბობდა: ქვეყანას წესრიგი სჭირდება და მაგარი ხელის გარეშე არაფერი გამოვაო!

ჩვენ შორის, ასაკითაც და თანამდებობითაც საკმაო სხვაობა იყო, ის ქალაქის აღმასკომის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ, მე კი ქალაქის ერთ-ერთი სამსახურის უფროსი. ეს ხელს არ უშლიდა ჩვენს მეგობრობას. გამოგიტყდებით, დღემდე მეკითხება ბევრი, რამ განაპირობა თქვენი ასეთი ურთიერთობაო. ვერ დავიტრაბახებ, რომ ეს მხოლოდ ჩემი თვისებებით იყო განპირობებული. აქ გარკვეული როლი ალბათ იმანაც ითამაშა, რომ მე ქალბატონი ნინოს ახლო მეგობრის, პროფ. მიხეილ კანკავას სიძე ვიყავი. თუმცა, სწორედ ამის გამო, სხვებზე უფრო მეტს ითხოვდა ჩემგან და მეც ვცდილობდი მისი საყვედური არ დამემსახურებინა.



არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა უკვე საკმაოდ დასუსტებულმა და ჯანგატეხილმა თავის სამუშაო კაბინეტში დამიბარა, მოსასვენებელ ოთახში მაგიდაზე დაწყობილი სუვენირები მაჩვენა და ნაღვლიანი ხმით გამენდო: ხვალ საავადმყოფოში ვწვები და ნამღვილად ვიცი, სამსახურში ვეღარ გამოვალ. ამიტომ გთხოვ, ამ სუვენირებიდან რომელიც ყველაზე უფრო მოგწონს, ამოირჩიე და ჩემგან სახსოვრად გქონდესო! მას შემდეგ ჩემს სამუშაო მაგიდაზე გამორჩეულ ადგილზე დგას ელგუჯა ამაშუკელის ბრწყინვალე ქანდაკების „ლომზე ამხედრებული მზეჭაბუკის“ ასლი, რომელიც დიდებული ქალბატონის ნინო ჟვანიასგან დამრჩა სახსოვრად!

*წიგნისათვის „ნინა ჟვანია“*

## „ღუთის საქმის ჩუმაღ მკეთებელი“

გარდაცვალება ცოდვილთათვის არის სიკვდილი,  
განწმენდილთათვის უკავდავების დასაწყისია.

**ირმა გურიელი**

გარდაცვალება კაცთა ხვედრია  
უკვდავთან სიკვდილს არა აქვს ხელი.

**მაყვალა გონაშვილი**

ცხოვრება ურთულესი ფენომენია. მას უახლოესი ადამიანები ხან გვირთულებენ და ხანაც გვიადვილებენ. ხშირ შემთხვევაში, ვიდრე ჩვენი უახლოესი პიროვნებები გვერდით გვეყვანან, სრულყოფილად მათ შეცნობას წუთისოფლიდან მხოლოდ სამუდამო სასუფეველში გადასვლის შემდეგ ვახერხებთ. ეს აქსიომა რომ

არის, ამაში მათ სულლებთან ურთიერთობისას ვრწმუნდებით.

ასეთი შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ ათეული წლების განმავლობაში ქალბატონ **მედეა მეზვრიშვილთან** სავსებით ნორმალური, თუმცა დისტანციური, ურთიერთობის მიუხედავად, მისი ფენომენი, სრულყოფილად, ამ ქვეყნიდან დიდი ქალბატონის წასვლის შემდეგ შევიცანი. მისდამი მიძღვნილ „თანადგომის“ პერსონალურ ნომერზე მუშაობისას, მრავალ რესპოდენტთან მომიწია შეხვედრა, რომელთაგან ნომერში მხოლოდ ორმოცამდე ავტორის გამოხმაურება და მოგონება შევიდა. რამდენი რამ ვიცოდი ქალბატონი მედეას საარაკო ბიოგრაფიიდან და თურმე რამდენი რამ არ მცოდნია! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ქ. თელავში ერეკლე მეფის ძეგლის აღმართვის ისტორია და მასში მედეა მეზვრიშვილის დამსახურების აღქმა რად ღირს. ცალკე, სერიოზული საუბრის თემა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც სპეციალურ შესწავლასა და განხილვას ექვემდებარება, და კიდევ რომელი ერთი!

მეამაყება, რომ აღნიშნული გაზეთის მომზადების პროცესში, პირადად გავიცანი ალავერდის დიდებული კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოების სულისჩამდგმელი და მუხათგვერდის მთაზე აღმართული წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანის ავტორი და განმახორციელებელი აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი, რომელიც ქალბატონ მედეაზე ბრძანებს: „ის იმ დროს მოღვაწეობდა, როცა ღვთის საქმეს ჩუმად კეთება უნდოდა და აკეთებდა კიდევ“. გადაჭარბებაში არ ჩამითვალოთ და წიგნი, რომელიც ქალბატონი მედეას ხსოვნას ეძღვნება მოსწავლეთა საკითხავი აუცილებელი ლიტერატურის სიაში უნდა შევიდეს, როგორც ერთი ჩვეულებრივი ქართველი ქალის, თავისი ქვეყნისადმი სიყვარულისა და თავდადების ნიმუში.

*წიგნიდან „მედეა მეზვრიშვილი“*

# ემოციების მოზღვაებას ველარ გაუძლო

ღიას, ბატონმა ჯანო კახიძემ დადებითი და უარყოფითი ემოციების მოზღვაებას ველარ გაუძლო. ნეტა ასეთი რა მოხდაო, იკითხავთ ალბათ?

2002 წლის 3 მარტს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ზურაბ ანჯაფარიძის სასცენო მოღვაწეობის დაწყების 50 წლისთავის აღსანიშნავად ჩატარებული საიუბილეო საღამოს დამთავრების შემდეგ, დადებითი ემოციებით აფორიაქებულმა, თავისი მანქანის მოტრიალების დროს, უნებურად აქვე მდგომ მეორე მანქანას ოღნავ გაედო, რომელიც მსუბუქად დაზიანდა. ძნელია იმის გადმოცემა, თუ როგორ განიცადა მან ეს შემთხვევა. მთელი სხეულით ცახცახებდა, ფერი ეცვალა, ნიტროგლიცერინიც მიიღო. რაც შემძლო ვამშვიდებდი, რომ ეს არაფერი არ არის და მის ნერვიულობად არ ღირდა. შედეგს რომ ვერ მივაღწიე, შევთავაზე სახლში წასულიყო და მე დავრჩებოდი, ვიდრე მანქანის პატრონს არ ენახავდი. ამაზეც უარი მითხრა და დაზიანებული მანქანის პატრონის ძებნა ერთად დავიწყეთ. გარკვეული ხნის შემდეგ მოგვიახლოვდა ცნობილი ქართველი მეწარმე და გამორჩეული თბილისელი თორნიკე ლალიძე. თურმე დაზიანებული მანქანა მისი ყოფილა. იგი თავად შეეცადა ბატონი ჯანოს დამშვიდებას. უმტკიცებდა, რომ ეს არაფერი არ იყო და თხოვა არ ენერვიულა. დაზიანებული მანქანის მეპატრონის მხრიდან ასეთმა მოქცევამ, რასაც სამწუხაროდ ჩვენ მიჩვეულები არ ვართ, ბატონი ჯანოს დადებითი ემოციებით დატვირთვა კიდევ უფრო გააძლიერა და არ გამოვრიცხავ, რომ ამ შემთხვევიდან, მეოთხე დღეს, მისი მარადიული სასუფეველში წასვლა, გარკვეულად ამ საღამოს დიდმა დადებითმა და უარყოფითმა ემოციებმა დააჩქარა.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი უღაო ჭეშმარიტებაში, რომ რაც უფრო დიდია პიროვნება, მით უფრო ფაქიზია მისი სული და გული.

*წიგნისათვის „დიდი მაესტრო“*

# ღირდა ამისთვის ცხოვრება

ბედნიერია ჩემი თაობა, თუნდაც იმიტომ, რომ მიხეილ მესხის თანამედროვეები გვქვია. ბედნიერები ვიყავით, როცა სტალიონზე მისი თამაშის სანახავად დავდიოდით, ბედნიერები ვიყავით, როცა მაყურებლები ერთმანეთს ვეჯობებოდით მესხი-მესხის შედახილში, ბედნიერები ვიყავით, როცა ყოფილ „ქარიშხალას“ სტალიონზე, რომელიც დღეს მიხეილ მესხის სახელობისაა, ბრაზილიელმა სანტოსმა შუა თამაშის დროს მიშა ხელში აიტაცა და როგორც საოცრებას, ისე შესცქეროდა; ბედნიერი იყო ის მაყურებელი, რომელსაც გაუმართლებდა და სტალიონის იმ ტრიბუნის ბილეთს იშოვნინდა, საიდანაც ყველაზე ახლოს დაინახავდა ფეხბურთის ამ საოცრების თამაშს; ბედნიერები ვიყავით, როცა ჩვენი თაობის შვილებისა და შვილიშვილების მაისურებს №11 ამშვენებდა და ამით იწონებდნენ თავს...

სამწუხაროდ, ჩვენი ბედნიერება, დიდხანს არ გაგრძელდა. პირველი ცრემლით მაშინ დავაჯილდოვეთ ჩვენი საამაყო ჯადოქარი, როცა მას ძალზე მოკრძალებული და იძულებითი გაცილება მოუწევს ფეხბურთიდან. უფრო მწარე ცრემლით მაშინ დაინამა „დინამოს“ სტალიონი, როცა განუშეორებელი მიხეილ მესხი, დამწუხრებულმა თბილისმა და სრულიად საქართველომ წუთისოფლიდან სამუდამო სასუფეველში გააცილა. ღირდა ამისთვის ცხოვრება!

**დემიკო ლოლაძის წიგნიდან**  
**„მიხეილ მესხი“.**

# საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიას

აკადემიის სრულ შემადგენლობას გულითადად გილოცავთ მისი დაარსების საიუბილეო თარიღს და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში თქვენი ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის.

უძრავლეს თქვენთაგანთან მაკავშირებს ორმოც წელზე მეტი ხნის ურთიერთობა და, აქედან გამომდინარე, მოსაგონარსა და მადლობის სათქმელსაც რა გამომიღევს. მახსენდება ერთობლივი საქმიანობის მრავალი სასიამოვნო ეპიზოდი: აკადემიკოს ირაკლი მიქელაძის რეკომენდაციით კათედრაზე მუშაობა; სახელმწიფო საგამოცდო კომისიებში თქვენთან ერთად საქმიანობა; ჩემს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თქვენი თანადგომა და გამხნევება; თქვენთან ერთობლივ დისკუსიებში მონაწილეობა, როგორც სამეცნიერო კონფერენციებზე და სხვადასხვა ფორუმებზე, ისე პრესის ფურცლებზე; 2008 წლის შემოდგომაზე ჩემი მოხსენების - „საქართველოს ხელისუფლება და მეწარმეობის განვითარების მდგომარეობა ქვეყანაში“ – მოსმენა აკადემიის ერთ-ერთ გაფართოებულ სხდომაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების იმდროინდელი მინისტრი ბატონი ლაშა ჟვანია. იგი გულწრფელად მზად იყო აკადემიასთან, და საერთოდ, ქართველ ეკონომისტ-მეცნიერებთან თანამშრომლობისათვის, თუბცა, სამწუხაროდ, არ დააცალეს...

ჩემთვის დაუვიწყარია აკადემიის იმ წევრების ყურადღება, რომლებმაც ობიექტური და ძალზე ღირებული გამოხმაურებები გააკეთეს ჩემი ნაშრომთა ციკლის - „შეცდომა თუ დანაშაუ-

ლის“ მეოთხე ნაწილზე, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის 2009 წლის საშობაო ეპისტოლეში განხილული ეკონომიკური პრობლემების ანალიზს ეძღვნება.

მასწავლებლებისადმი პატივისცემის სრულად გამოხატვა და, მით უმეტეს, მათი ამაგის გადახდა შეუძლებელია, მაგრამ გარკვეული ფორმებითა და საშუალებებით მისი გამჟღავნება მაინც აუცილებელია! ბევრმა თქვენგანმა, ამ თვალსაზრისით, შესაშური მაგალითი უჩვენა მომავალ თაობებს. ჩვენი, ძალზე მოკრძალებული საქმიანობის ერთ-ერთი გამოხატულებაა პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოძავალი გაზეთი „თანადგომა“, რომელიც ერის ღირსეული შვილების სახელების უკავდაცვოფას ემსახურება. ამ საქმიანობაში აკადემიის წევრების თანადგომა ნათლად გამოიხატა გაზეთის ნომრებში: „ფილიპე გოგიჩაიშვილი“, „ირაკლი მიქელაძე“, „ავთანდილ გუნია“, „ვალერიან მელქაძე“, „დავით ძნელაძე“, „გივი ჭანუყვაძე“.

დაბოლოს, ქართული ენის პრობლემების გადაწყვეტა საშური საქმე რომ არის, ამაზე ხაზგასმით ბრძანებს 2010 წლის საშობაო ეპისტოლეში უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ასევე, ეკონომიკური ტერმინოლოგია განსაცდელში რომ არის, ამას მტკიცება არ სჭირდება. გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენი ავტორიტეტი, გამოცდილება, საზოგადოებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოთ თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის დამუშავება.

უღრმესი პატივისცემით

ა. ბ.

*საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია,  
შრომები, ტ.8, თბილისი, 2010 წ.*

## გურამ სალარაძე – ზაინდი

მადლობა უფალს ამქვეყნად შენი მოვლენისთვის.

მადლობა გურამ სალარაძეს:

ენის, მამულისა და სარწმუნოების თაყვანისცემისთვის, რაინდობისთვის.

სპორტში მიღწეული უდიდესი წარმატებებისთვის;

სახელოვან მოჭიდავეთა აღზრდაში განსაკუთრებული წვლილისთვის;

ყოველდღიურ ცხოვრებაში და საჭიდაო ხალიჩაზე არისტოკრატიზმის ნორმების დამკვიდრებისთვის;

ძმობისა და მეგობრობისთვის;

ქართული სუფრის თამაღობის ინსტიტუტის მოვლისა და პატრონობისთვის;

მეგობრობის ფენომენის ნორმების ცხოვრების წესად დამკვიდრებისთვის;

ჭიდაობის ენციკლოპედიის - „მემკვიდრეობის“ შექმნისთვის.

კიდევ მრავალ წარმატებას გისურვებ, ჩემო ძმაო, გურამ და, რაც მთავარია, სიცოცხლის ბოლო წუთამდე გურამ სალარაძედ, ანუ კაცობის სიმბოლოდ დარჩენილიყავი.

*წიგნიდან „მემკვიდრეობა“,  
თბილისი, 2010 წ.*

# სამაგალითო მმართველი

ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას,  
რის შემძლებელიც არის,  
ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქმნებიან  
ილია

არ მწამს სიტყვა ცარიელი,  
სათვალთმაქცო მძულს მე წერა,  
საქმე, საქმე, მხოლოდ საქმე!  
როცა ვხედავ, ეს კი მჯერა.

აკაკი

სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში (არ ღამითვლია საქართველოს მთავრობის რამდენ თავმჯდომარესთან, რამდენ მინისტრთან ან თბილისის აღმასრულებელი ხელისუფლების რამდენ პირველ პირთან მომიწია მუშაობა) ხმამაღლა ნათქვამად თუ არ ჩამეთვლება, ბატონი **ირაკლი ანდრიაძის** მსგავსი პიროვნება იშვიათად შექმნველია. ბევრი ფიქრისა და მცდელობის შედეგად ამ პატარა წერილში ნაწილობრივ მაინც თუ ავხსენი ბატონი ირაკლის, როგორც ხელმძღვანელის, ფენომენის საიდუმლოება, მაშინ ამ მიმართულებით დახარჯულ დროს გამართლებულად ჩავთვლი.

ბატონი ირაკლის, როგორც ხელმძღვანელის წარმატების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ვთვლი ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებულ უნარს. ის ხელმძღვანელობდა პრინციპით: „გახსოვდეს ყოველთვის, რომ შენ მმართველი ხარ და არა მეზრე“. მან შექმნა სანიმუშო მმართველის ტიპი, რომელიც კოლექტივს კი არ მიერეკებოდა, არამედ მიუძღოდა, როცა საჭირო იყო, თანამშრომლებს ტაქტის მაქსიმალური დაცვით ასწავლიდა, კარნახობდა, უხსნიდა, აგებინებდა, მაგრამ ამ დროს თავის



ცოდნას და მდგომარეობას ხაზს არ უსვამდა. როცა ბრძანებას, განკარგულებას, მითითებას იძლეოდა, თავის “მე“-ს ხაზს არ უსვამდა. “მე თქვენ გიბრძანებთ“ – არასოდეს წამოსცდენია. ამის ნაცვლად ამბობდა: “მოლით, ასე გავაკეთოთ“.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა საკუთარი თავისადმი რწმენის უნარით, რომელიც ახლოსაც კი არ იყო ყოყონობასთან, ან ქედმაღლობასთან, რის გამოც მისი დაქვემდებარების სამსახურებსაც ანალოგიურად განაწყობდა. იგი ყოველდღიურად და ძალდაუტანებლად გვიტარებდა სიკეთისა და ზომიერი სიმკაცრის შერწყმის უნარ-ჩვევების გაკვეთილებს. ვიდრე რაიმე შენიშვნას მოგვცემდა, ჯერ შენს რომელიმე დადებით თვისებას გაუსვამდა ხაზს და შემდეგ, საყვედურსაც კი ზედმიწევნით ტაქტიანად გამოხატავდა. როცა რაიმე განსაკუთრებულს დაგავალებდა, დაყოლებდა – აბა შენ იცი, შენებურად მიმიხედე ამ საქმესო. უფროსის ასეთი დამოკიდებულება სტიმულს გაძლევდა და, ბუნებრივია, შედეგსაც შესაბამისს ღებულობდა. ბატონმა ირაკლიმ კარგად იცოდა, რომ ნორმალური თანაშემრომლისათვის საჯარო კრიტიკა უმაღლესი სასჯელია, რაც ხშირ შემთხვევაში სათანადო შედეგს არ იძლევა. ამიტომ ამას იგი პირისპირ, ერთი-ერთზე აკეთებდა ხოლმე. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხელქვეითის დროის დაფასების უნარით. ტელეფონითაც რომ დაერეკა, ჯერ გკითხავდა, ხომ არ გაცდენთ, ცუდ დროს ხომ არ დაგირეკეთ, როცა მოიცლით იქნებ მნახოთ და ა.შ. ზოგიერთების მიერ შენი დროის ბიუჯეტისადმი აბსოლუტურად საწინააღმდეგო დამოკიდებულების ფონზე ბატონი ირაკლის ამ თვისებასაც განსაკუთრებით ვაფასებდით ყველა. საბუშაო დროის მუდმივი დეფიციტის პირობებშიც კი, ზოგიერთებისგან განსხვავებით ხელქვეითს თავისი აზრის ბოლომდე გამოთქმის საშუალებას არ უზღუდავდა. წერილობით დავალებას რეზოლუციის სახით ისე ლამაზად და ლაკონურად ჩამოაყალიბებდა, რომ თუ ნორმალური კაცი იყავი, დავალებას გვერდზე უყურადღებოდ ვერ გადადებდი და იძულებული ხდებოდი ამავე დოკუმენტზე შენი რეზოლუციაც შესაბამისად ყოფილიყო დაფიქსირებული.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ბატონი ირაკლის დროს საქალაქო საბჭოს აღმასკომის მრავალათასიან სისტემაში პირველ ხელმძღვანელსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების ნომენკლატურულ მუშაკებს შორისაც შესაშური დამოკიდებულება სუფევდა. ვერ ვიხსენებ შემთხვევას, როცა ბატონი ირაკლის მისი თანამშრომლისთვის შენობით მიემართოს ან სხვისი თანდასწრებით ხმამაღლა რაიმე შენიშვნა მიეცეს.

უფროს-უმცროსის ასეთი დამოკიდებულება საინტერესოს და სახალისოსაც ხდიდა მომქანცველ, არანორმირებულ სამუშაოს და ღამით 2-3 საათიანი დასვენებაც კი საკმარისი იყო, რათა მეორე დღესაც ასეთივე შემართებით გეშუშავა.

მთავარი თვისება და უნარი, რითაც ბატონი ირაკლი ყველასაგან გამოირჩეოდა, მისი შრომისუნარიანობა, ქანცგაწვევებამდე მუშაობა და საქმისადმი თავგანწირვა იყო. მაშინაც მიკვირდა და ახლაც არა მაქვს პასუხი კითხვაზე – მთელი დღის განმავლობაში, უსმელ-უჭმელი, მუხლმოუდრეკლად როგორ შეეძლო ქალაქის ყველა დიდი მშენებარე ობიექტის მონახულება, ხარაჩოებზე ასვლა, მშენებლობის შტაბების მართვა, ყველა ობიექტის წინაშე წამოჭრილი პრობლემების დამახსოვრება და მათზე სათანადო რეაგირება. რომ არა ასეთი თავდადება, რა თქმა უნდა, დედაქალაქი თავის დროზე ვერ მიიღებდა რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის შენობას, სასტუმრო “მეტეხი-პალასს“, დიდი დიდმისა და გლდანის მასივების დამაკავშირებელ ავტოსტრადას თავისი უნიკალური ხილით, ფეხით მოსიარულეთა გასასვლელებს მეტრო რუსთაველისა და ცენტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიებზე. და კიდევ, ვინ მოთვლის, წესით, თბილისში რამდენ შენობა-ნაგებობას უნდა ამშვენებდეს მემორიალური დაფა, რომ ამა და ამ ობიექტის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ბატონი ირაკლი ანდრიაძე.

განსაკუთრებული გულისყურით ეპყრობოდა დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტას,

რასაც ყოველგვარი ხმაურისა და რეკლამის გარეშე აკეთებდა. მარტო ის რად ღირს, რომ უშუალოდ მისი მითითებით, კონსპირაციულად, თუძცა, ყოველგვარი წესების დაცვით (მათ შორის ხელისუფლებისგან წერილობითი თანხმობის აღებით) ჩავატარეთ მთავმინდის პანთეონიდან, პუშკინის სკვერიდან და რუსთაველის გამზირზე მდებარე სურათების ეროვნული საგამოფენო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიიდან ყოფილი პარტიული და სხვადასხვა „დამსახურების“ მუშაკების სხვა სასაფლაოებზე გადასვენების სამუშაოები, რომელსაც 2-3 კვირის განმავლობაში ღამის 12 საათზე ვიწყებდით და გამთენიისას ვწყვეტდით. მასსოვს, ეს სამუშაოები რომ დავგვემეთ, მითხრა – ჩემო ანზორ, ახალ ხელისუფლებას რაც უფრო ნაკლებ პრობლემებს დავახვედრებთ, მით უკეთესიაო. ამ შემთხვევაშიც ნათლად გამოჩნდა ბატონი ირაკლის, როგორც დიდი ხელმძღვანელის თვისება, რასაც სიტუაციის სწორად განჭვრეტის უნარი ჰქვია.

მიუხედავად აღნიშნულისა, ბატონ ირაკლის უსამართლოდ რამდენჯერმე ატკინეს გული. მხოლოდ ორ შემთხვევას გავიხსენებ. დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქის პირველი მერი ისე გაუშვეს სამსახურიდან, ქვეყნის მაშინდელმა პირველმა პირმა ან თუნდაც სათანადო უფლებით აღჭურვილმა რომელიმე ჩინოვნიკმა მასთან თუნდაც ფორმალური შეხვედრა ან სატელეფონო საუბარიც კი არ ჩათვალა საჭიროდ. მეორე და გამოუსწორებელი ვითარება მაშინ შეიქმნა, როცა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის საფუძვლის ჩამყრელი და მშენებლობის სულისჩამდგმელი, ამ დიდებული ძეგლის საზეიმოდ გახსნას არ დაასწრეს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ისტორია თავის დროზე უეჭველად იტყვის თავის სათქმელს და ამ ღირსეულ ქართველ მოღვაწეს თავის ადგილს დაუმკვიდრებს საქართველოს ისტორიაში.

*წიგნიდან „ირაკლი ანდრიაძე“,  
თბილისი. 2010 წ.*

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ კლერდ შევარდნაძეს

ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ვაცნობიერებ, რა თქვენი ღრვის ბიუჯეტის შეზღუდულობას და დატვირთვის ღონეს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრობლემებით, გადავწყვიტე მაინც პირადად მოგმართოთ ერთი, ჩემი აზრით, ძალზე აქტუალური საკითხის თაობაზე, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილის გაცნობის შემდეგ არ გამამტყუნებთ თქვენდამი მომართვის ასეთი ფორმისთვის.

რესპუბლიკის მთავრობაში, მინისტრთა კაბინეტში და სახელმწიფო კანცელარიაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში, პირადი ინიციატივით, კანონმდებლობის სრული დაცვითა და სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე, ჯერ თბილისის ვაჭრობის რამდენიმე ობიექტში, ხოლო შემდეგ ქუთაისის სავაჭრო ქსელში, მაშინდელი მერების, ბატონების ო.ლითანიშვილისა და თ. შაშიაშვილის მხარდაჭერით, 1992-93 წლებში ჩავატარეთ ექსპერიმენტი ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში, დროებით, ფიქსირებული გადასახადების შემოღების თაობაზე. შედეგები მოსალოდნელზე უფრო შთამბეჭდავი მივიღეთ, მაგრამ სხვადასხვა სუბიექტური მიზეზის გამო ამ ექსპერიმენტმა მოქმედება დროზე ადრე შეაჩერა.

ქვეყნის ეკონომიკაში გარკვეული დადებითი ტენდენციების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი აღმავლობის მიზნით, 1997 წლის აპრილში ოფიციალური წერილით მივმართე სახელმწიფო მინისტრს, თბილისის მერს, საქართველოს პარლამენტის სათანადო კომიტეტის თავმჯდომარეს და პრეზიდენტის თანა-

შემწეს ეკონომიკური რეფორმების საკითხებში, რათა, თუნდაც რამდენიმე ობიექტში, კვლავ ღაბრუნებოლით ექსპერიმენტის სახით, ფიქსირებული გადასახადის შემოღების მიზანშეწონილობის განხილვას. თითქმის ოთხი თვის შემდეგ, ბატონ თ. ბასილიას კვლავ მივმართე ოფიციალური თხოვნით, რათა გამოენახა საშუალება და ღროულად განეხილა ეს პრობლემა.

ჩემდა გასაკვირად, დღემდე, ანუ თითქმის ორი წლის მანძილზე არავინ დაინტერესდა ჩემთან თუნდაც 5-წუთიანი შეხვედრით, რათა გვემსჯელა ამ პრობლემის თაობაზე. უფრო მეტიც, არც ერთი ინსტანციიდან ფორმალური პასუხიც კი არ მიმიღია. რაც ნიშნავს პიროვნებისადმი, სპეციალისტისადმი, ყოფილი კოლეგისადმი უპატივცემულობას და იქნებ, მათი მხრიდან საკუთარი, არგუმენტირებული პოზიციების უქონლობასაც, ყოველ შემთხვევაში, მათ ასეთ უმოქმედობას სხვა ახსნას ვერ ვაძლევ.

ბატონო პრეზიდენტო!

მიმაჩნია, რომ ფიქსირებული გადასახადის შემოღება ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წინგადადგმული ნაბიჯი არ არის, მაგრამ ნებისმიერი თამამი ექსპერიმენტისადმი თქვენი დადებითი დამოკიდებულებისა და მხარდაჭერის იმედით დავიწყე ამ იდეაზე ფიქრი და მუშაობა, რადგან, მწამს, რომ ამ გადასახადის შემოღება თუნდაც ექსპერიმენტის სახით არის ქვეყნის ბიუჯეტის სტაბილური და რეალური შევსებისა და რაც მნიშვნელოვანია – თავაშვებული კორუფციის აღმოფხვრის საშუალება.

თქვენი თანხმობისა და მხარდაჭერის შემთხვევაში, მზად ვარ, მონაწილეობა მივიღო ამ პრობლემის განხილვისა და სათანადო დოკუმენტის მომზადების სპეციალური ჯგუფის მუშაობაში, რათა მისი განხორციელების ყველა ეტაპზე, როგორც სპეციალისტმა პასუხი ვაგო შემოთავაზებული ექსპერიმენტის დანერგვის აკარგვიანობაზე.

*„სახალხო გაზეთი“, №176, 1 მარტი, 1999 წ.*

## საქართველოს მწერალთა XX ყრილობაზე კერნატკეპი სათქმელი

საანგარიშო მოხსენებაში და სიტყვებში გამომსვლელთა მიერ ხაზგასმულმა ფაქტებმა, ნათელი გახადეს ქართული მწერლობის წინაშე მდგარი უმწვავესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რომლებმაც ბევრ რამეზე ჩამაფიქრა და ამიტომ თავს უფლება მივეცი, ჩემი აზრი გამომეთქვა ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემების თაობაზე.

ქართული მწერლობის ერთ-ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა, რამდენიმე წლის წინ გამართულ ერთ-ერთ დიდ ფორუმზე, თავისი სიტყვის დასაწყისში ბრძანა, რომ ახლა შესავლის დრო არ არისო, ახლა პირდაპირ გამოსავლის ძებნა უნდა დავიწყოთ და მეც პირდაპირ, ყოველგვარი შესავლის გარეშე მოგახსენებთო. თქვენი ნებართვით მეც ასე მოვიქცევი. რომ არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ მთელი ქართული – ეროვნული ეკონომიკის ახლანდელ მდგომარეობამდე მიყვანაში თანაბარი წვლილი მიუძღვით როგორც მწერლობას, ისე ზოგიერთ ქართველ მოღვაწესაც, რომელთა მიზეზითაც მთლიანად ქვეყანა და მისი ეროვნული სიმდიდრე – ქართული მწერლობა, დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა.

თქვენ, ალბათ, იკითხავთ, კი მაგრამ ქართული მწერლობა რა შუაშიაო? გიპასუხებთ, შუაში კი არა, თავშია, რატომ? სწორედ ამ კითხვას მე თვითონ შევეცდები გავცე პასუხი, ოღონდ დროის სიმცირის გამო, ჩემს ძირითად პოზიციებს ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ჩამოვყალიბებ მხოლოდ თეზისების სახით.

1. ქართველ მწერლებს ევალებათ, სრული სიმწვავეით, ქვეყნის ხელისუფლების ყურადღება მიაპყროს იმ გარემოებას, რომ ჩვენ დღეისათვისაც კი არ გაგვაჩნია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ეტაპობრივი პროგრამა და კონცეფცია, ე.ი. არ ვიცით, რა გვინდა, საით მივდივართ, როგორი საზოგადოების აშენებას ვაპირებთ, საერთოდ, რაღაც გარკვეული მიზნისკენ მივდივართ თუ მივექანებით და მრავალი სხვა.

2. ჩვენი აზრით, ქართული მწერლობის ჩვეულ რისხვას უნდა იმსახურებდეს ის ფაქტი, რომ ქვეყნის არასწორი ეკონომიკური სტრატეგიის გამო დაიცალა ქართული სოფელი, გაჩანაგდა ეროვნული მეურნეობა, რაც ეკონომისტთა ენაზე განაპირობა შიდა ბაზრის დაუცველობამ, რის გამოც ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია არარენტაბელური ანუ ზარალიანი გახდა.

3. ქართულმა მწერლობამ განგაში უნდა ატეხოს იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს ქვეყანაში სუფთა ხელებით წარმოებული ბიზნესი პრაქტიკულად არ არსებობს, არ იქნა და არ დაადაგა საშველი მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის რეალური პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას, მოქნილი და მისაღები საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას და ა.შ.

დამერწმუნეთ, რომ ამ და სხვა პრობლემების მოგვარების შემთხვევაში, საერთოდ ქვეყანა და მათ შორის ქართული მწერლობაც, დღევანდელ სიტუაციაში არ ჩავარდებოდა. მინდა განვაცხადო, რომ ვიდრე საქართველო შავი ბიზნესის აღზევების სტადიაშია, მისგან ქართული მწერლობა რაიმე მეცენატობას არ უნდა ელოდეს. თუ ქართველი მეწარმე თავს დააღწევს ე.წ. გავლენის სფეროებს, მაშინ მათ რიგებში კვლავ გაჩნდებიან სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები და სხვანი და სხვანი.

4. ქართულ მწერლობას სათანადო სიფხიზლე რომ გამოეჩინა, ზოგიერთი ეგრეთწოდებული წარმატებული ბიზნესმენი, ვერ გაბედავდა ჩვენს დარწმუნებას, რომ მათ თავიანთი ქონების დაგროვება, ანუ დანაშაულებრივი აღზევება მოახერხეს ერთ-ორ წელიწადში, საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრების პერიოდში, რომელმაც სამწუხაროდ, მის პირველ ეტაპზე თან მოიტანა ომი, შიმშილი, ნგრევა, ქვეყნის ეკონომიკის გაპარტახება, ეროვნული პრიორიტეტული დარგების შეგნებულად გაჩანაგება, ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის გაკოტრება და გადაგვარება, ეროვნული ცნობიერების უგულვებელყოფა, საკუთარი სხეულით ვაჭრობის აღზევება და სხვა მრავალი უბედურება.

5. მოგეხსენებათ, რომ დიდი ფული, ერთ-ორ წელიწადში არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში, არანაირი ცივილური გზით არ კეთდება, ამის ერთადერთი რეალური გზა მხოლოდ და მხოლოდ სხვის უბედურებაზე აგებული პირადი ბედნიერებაა, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ ბუმერანგით უბრუნდებათ ხოლმე ე.წ. წარმატებულ ბიზნესმენებს. თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ასეთი ბიზნესი დამყარებულია ისეთ საქმიანობებზე, რომელთა შორის გამორჩეულია: უცხოური კრედიტების წილში ჩაჯდომა, ხალხის დამაქცევარი უსაქონლო საბანკო ოპერაციების წარმოება, კონტრაბანდის აღზევება, სახელმწიფო ქონების უკანონო პრივატიზაცია, ერის ფიზიკური განადგურების საფასურად განხორციელებული წარმატებული ნარკობიზნესი და ჯერ კიდევ აღზევების სტადიაში მყოფი მოვლენა, რომელსაც ქრთამი ჰქვია. ერთი სიტყვით ე.წ. წარმატებული ბიზნესის სხვა გზა, რომელიც ერთ-ორ წელიწადში ასეთ შედეგებს იძლევა, ჯერჯერობით კაცობრიობის გენიას არ შეუქმნია და ასეთ დროს, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულ მწერლობას კაკაბეთის ზარები მისთვის ჩვეული სიმძლავრით ჯერჯერობით არ შემოუკრავს.



6. ქართული მწერლობის სათანადო რიდი და ხათრი რომ ჰქონდეთ, ან თუნდაც უხერხულობის რაიმე გრძნობა რომ გააჩნდეთ, ზოგიერთი ეგრეთწოდებული ყოფილი წარმატებული ბიზნესმენი და მათ შორის ახლა უკვე ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენლებიც კი და მათი ოჯახის წევრები ვერ გაბედავდნენ იმის მტკიცებას, რომ ისინი თავიანთ ჩასაცემელ-დასახურს საქართველოში არ ყიდულობენ, რომ ისინი ამას უცხოეთში მივიღებთ ღრის ახერხებენ ზოლმე. ძნელი დასაჯერებელია, პრაქტიკულად როგორ და რა საშუალებით უნდა შეძლოს უცხო ქვეყანაში სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელმა ან თუნდაც რიგითმა წევრმა თავიანთ საყიდლებზე მაღაზიებში სიარული. და ეს მაშინ, როცა მრავალი მცდელობის მიუხედავად, საქართველოში ვენ ვნახე ბიზნესმენი, რომელიც გამომცემლობა „საქართველოს“ დაეხმარებოდა ქართული პოეზიის თანავარსკვლავედის 7-ტომიანი გამოცემის დაფინანსებაში (შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, დავით გურამიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი), ზოლო იაფფასიანი შოუპროგრამების დაფინანსებისათვის რიგში დგანან. კომენტარი თქვენთვის მომინდვია.

7. ქართველმა მწერლებმა ამ კატეგორიის მოღვაწეებს უნდა ურჩიონ, რომ ნუ ტრაბახობენ და თავს ნუ იწონებენ, თავიანთი ოჯახის წევრების მიერ, უცხოური ფირმების სახელწოდებების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით, ანტიკვარული ნივთების წარმოშობის ისტორიაში განსწავლულობით, მთელი ოჯახის შემადგენლობით უცხოეთის კურორტებზე გრიადით, ნათესავეებისა და ახლობლების სახელზე გაფორმებული ფეშენებელური სასახლეებით, საკუთარი რესტორნების, კაზინოების, აბანო-საპარიკმახეროების ფართო ქსელით და სხვა. ამის ნაცვლად აჯობებს ისინი ერთმანეთს შეეჯიბრონ ქვეყნის სასიკეთოდ ნაღვაწი საქმეებით, გაჭირვებაში მყოფი ადამიანების გვერდში დგომის

უნართა და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, მათ მიერ აღზრდილი ღირსეული შვილებით.

დასასრულს ერთი წინადადებაც, იქნებ ქართულმა მწერლობამ იკისროს პირუთენელი არბიტრის როლი და ყველა დაინტერესებულ სუბიექტთან ერთად ორგანიზაცია გაუკეთოს ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ზემოთ აღნიშნულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე მსჯელობას და მათ საჯარო განხილვას.

*გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,  
3-9 ნომბერი, 2000 წ.*

*დაა წერია*

## **საქართველოს მწერალთა კავშირის თაქ კლომარეს, ბატონ თამაზ წიქვიძეს**

ბატონო თამაზ, ამ პატარა წერილით მინდა საქვეყნოდ დავაფიქსირო ჩემი თქვენდამი მხარდაჭერა და თანადგომა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით.

1. თქვენს გარდა არავინ მეგულება, ვინც თავისსავე გაზეთში ანუ ამ შემთხვევაში „ლიტერატურულ საქართველოში“, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, გამოაქვეყნებდა მისივე ორგანიზაციის, ანუ ამ შემთხვევაში მწერალთა კავშირისადმი და ზოგადად ქართული მწერლობისადმი გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს, რომელთა თქმასაც, როგორც მოწვეული სტუმა-

რი, ვაპირებდი ქართველ მწერალთა XX ყრილობაზე, მაგრამ გარკვეული მიზეზის გამო თავი შევიკავე. თქვენ კი მოსალოდნელი უხერხულობების მიუხედავად „ლიტერატურული საქართველოს“ საყრილობო ნომერში (2000 წლის 3-9 ნოემბერი) გამოაქვეყნეთ ჩემი საკმაოდ კრიტიკული წერილი სათაურით, „ყრილობაზე ვერნატკაში სათქმელი“.

2. თქვენ უარი არ მითხარით და საკმაოდ დიდი ადგილიც დაუთმეთ თქვენზე გაზეთში ჩემს სტატიას: „ქართულმა მწერლობამ განგაში უნდა ატეხოს“ (2000 წელი, 17-23 ნოემბერი), რომელშიც ხშირად ისეთი გამონათქვამები, როგორცაა: „დღეს როცა საქართველოს ყოფნა-არყოფნის შავბნელი ხანა დაუდგა, არც ერთ მწერალს აღარ აქვს განზე დგომის უფლება, რადგან „ღმერთთან მოლაპარაკე“ მწერალი ვალდებულია „წარუძღვეს წინა ერს“, მით უმეტეს, როცა მმართველი პარტიის ვაიწინამძღოლობით ერი მიექანება უფსკრულისაკენ.“

3. გულწრფელი მადლობა მინდა მოგახსენოთ ბატონო თამაზ იმისათვის, რომ რამდენიმე გაზეთში ჩემი გაწბილების შემდეგ, ისევ თქვენ გეყოთ გამბედაობა და უყოყმანოდ გამოაქვეყნეთ ჩემი ახალი სტატია სათაურით - „პრეზიდენტს მისი გუნდის ბევრი წევრი ღალატობს“, რომელშიც კონკრეტული ბრალდებები აქვს წაყენებული ხელისუფლების უმაღლესი რანგის ბევრ მოხელეს (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2000 წელი, 8-14 დეკემბერი).

4. ქართველ მეწარმეთა ერთი ჯგუფის სახელით, როგორც საქართველოს ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარემ და მცირე მეწარმეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, საქვეყნოდ მინდა გადაგიხადოთ მადლობა იმ თანადგომისათვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ მეწარმეთა მიმართ. ჩვენ არ დავივიწყებთ თქვენს წინადადებას და რა თქმა უნდა

ესარგებლობთ კიდევ იმ შემთავაზებით, თქვენ რომ ბრძანეთ ცოტა ხნის წინ გამართულ მეწარმეთა შეხვედრაზე, რომ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ დიდი სიამოვნებით ითანამშრომლებს ქართველ მეწარმეებთან და რომ თქვენ მზად ხართ გაზეთში ჩვენ წინაშე არსებული პრობლემების განხილვას სისტემატურად დაუთმობთ რამდენიმე გვერდი. ოღონდ ქვეყნის ეკონომიკას რაღაც ეშველოსო.

5. ბატონო თამაზ, ალბათ გეხსომებათ, რამდენიმე ხნის წინ თქვენთან რომ მოვედი აღელვებული და ზომაზე მეტად ნერვებაშლილი. ოდნავ დამშვიდების შემდეგ გითხარით: თუ თქვენ, თამაზ წივწივაძე, ქართველ მწერალთა თავკაცი სასწრაფო ზომებს არ მიიღებთ, მაშინ ტელეკომპანია „რუსთავი-2“ ამაღამ, პროგრამა „ფსიქოში“ დედა-შვილის სქესობრივი ურთიერთობის თაობაზე აპირებს მსჯელობას, და ფილმის ჩვენებას-თქო. თქვენ ღამიერად, რომ ყველა ღონეს იხმარდით, რათა ეს ამაზრზენი თემა საქართველოში განხილვის საგანიც კი არ გამხდარიყო, მაგრამ ეტყობა, სათანადო რეაგირება ვერ მოასწარით და გვიან ღამით იმ ავადსახსენებელი ფილმის ჩვენება თურმე შემდგარა. ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე და ეგრეთწოდებული რეფორმატორი მხარს რომ არ დაუჭერდა თქვენს ზნეობრივ პოზიციას, ამას ადვილად უნდა მიმხვდარიყავით. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამ შემთხვევაში სხვა უფრო რადიკალური და ქმედითი ზომების მიღება იყო საჭირო, მით უმეტეს, რომ ნებისმიერი ჭკუათმყოფელი, ნებისმიერ თქვენს ინიციატივას დაუფიქრებლად და უყოყმანოდ დაუჭერდა მხარს და ეძახათ მერე რამდენიც ენებათ, რომ საქართველოში ჟურნალისტის უფლებები ირღვევაო.

*გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,  
9-15 თებერვალი, 2001 წ.*

დია წერილი  
ქვეყნის საკანონმდებლო და  
ადმინისტრაციულ ხელისუფლებას

## უბას-უნოდ ღაცოვებ-ქლი კითხვებო

ცხოვრების უკუღმართი წესისა და მასზე მარჯვედ მორგებული ჩვენი მენტალიტეტის გამო ყირამალა დავაყენეთ საზოგადოების განვითარების კანონები. შედეგად სავსებით ლოგიკურად და სრულად აღზევდა ცხოვრების ის უკუღმართი წესი, როცა კონკურენციას სოცშეჯიბრი და გარდამავალი დროშები დაუპირისპირეს. როცა ქართველი ფულს უხარისხო პროდუქციის გამოშვებით შოულობდა და უცოდინრობაში ხარჯავდა.

ამ პრობლემის ახსნა და უამრავი კონკრეტული მაგალითის დასახელება ჩემს თაობას არ სჭირდება, რადგან გარკვეული ფორმით და მეტ-ნაკლებად თითოეული ჩვენგანი მონაწილეობდა დადგმულ სპექტაკლში, რომელმაც შექმნა იმის წინაპირობა, რომ უცხოეთის „უანგარო დახმარებებით“ დღევანდელი საქართველო მთელი მსოფლიოს მათხოვარ სახელმწიფოთა ავანგარდში ჩამდგარიყო.

დიახ, ჩვენმა „კეთილისმსურველმა“ გადამთიელებმა, საფუძვლიანად გააანალიზეს ჩვენი მენტალიტეტი, მთავრობაში მყოფი ზოგიერთი ჩინოვნიკის დახმარებით პოზიერი ნიდაგი აღმოაჩინეს თავიანთი ზრახვების განსახორციელებლად და მათივე ხელშეწყობით დაიწყეს „დახმარების“ სხვადასხვა ფორმის გამოყენება ყოველგვარი ქართულის დასასამარებლად.

ვინც ჩათვლის, რომ ეს ძალიან ხმაძალდა ნათქვამია, მაშინ დაბეჯითებით ვთხოვ, მიჩინონ ისეთი ფორმა, რომ მავანს და მავანს როგორმე ახლა მაინც მივაწვდინოთ ჩვენი ხმა.

ვიდრე ამ საქმეში სათანადო რჩევებს მივიღებთ, გვანტერესებს კვალიფიციური პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- ვინ, როდის და რა საშუალებით უნდა გადაიხადოს კრედიტების სახით აღებული უზარმაზარი ვალები, რომელთა გამო შორეულ პერსპექტივაშიც კი მსოფლიო რუკაზე საქართველო არასაიმედო პარტნიორ ქვეყნად დარჩება?

- ვინ და რატომ აიღო ეს ვალები და რას მოხმარდა ისინი? პეტრეს მიერ აღებული და შინ წაღებული ვალი პავლეს შთამომავლობამ რატომ უნდა გადაიხადოს?

- რას ვუპირებთ ენას, მამულს, სარწმუნოებას? რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას ქართული ენის აგრერიგად დაკნინებისთვის? მამულის დიდი ნაწილის უცხო ტომებისათვის უბრძოლველად ჩაბარებისთვის? არათანაბარ უშეღავათო ბრძოლაში ქართული ეკლესიის ბედისანაბრად მიტოვებისთვის?

- რატომ ჭიანჭურდება ეროვნული ცნობიერების ინსტიტუტის ჩამოყალიბება?

- როდის შეიქმნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, ანუ როდის გვეცოდინება რის აშენებას ვაპირებთ და საით და რა გზით მივდივართ?

- ვის ან რას ემსახურება ჩასახვის საწინააღმდეგო ამდენი საკმაოდ ძვირადღირებული რეკლამა უფასო სამედიცინო კონსულტაციებისა და პრეპარატების თაობაზე? არ დაგვავიწყდეს, რომ უფასოს მცნება და საბაზრო ეკონომიკა ურთიერთშეუთავსებელნი არიან!

- რას ისახავს მიზნად ზღვარგადასული ეროტიკული ფილმებისა და სხვა უამრავ უზნეობათა ამდენი აგიტაცია-პროპაგანდა? არატრადიციული სქესობრივი ორიენტაციის ტიპების ასეთი ღონით პოპულარიზაცია? ამდენი, უგემოვნო ამაზრზენი რეკლამა?

ყველა ამ და უამრავ სხვა კითხვაზე ქვეყანამ პასუხი დროზე თუ არ მიიღო, ლოგიკურად გაკეთდება დაახლოებით ასეთი დასკვნა: შინ და გარეთ მავანთ და მავანთ ხელს აძლევს, რომ საქართველოს ეკონომიკა ფეხზე აღარასოდეს დადგეს; მაქსიმალურად გადააგვაროს საქართველოს გენოფონდი; დაიმონოს და მუხლებზე დააჩოქოს ქართველი ერი.

სამწუხაროდ, მეეჭვება, რომ ჩვენს დასმულ კითხვებს დროულად გაეცემა ამომწურავი პასუხი, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ 1997 წელს თვით ცხონებული გურამ ფანჯიკიძის მიერ დასმულ ძალიან მარტივ კითხვებსაც კი ამომწურავი პასუხი ჯერჯერობით ისევ არ გასცემია.

აი, ზოგიერთი მათგანი:

- „ვინ არიან ის პიროვნებანი, რომელთა ხელში თავს იყრის მთელი ქართული ეროვნული სიმდიდრე? იქნებ დაგვისახელოთ ის პიროვნებანი, რომლებიც გარკვეულ დარგებში იბრძვიან მონოპოლიისათვის? ვის ეკუთვნის ის სასახლეები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თბილისში და მის გარეუბნებში რომ შენდება ამკარად, მოურიდეבלად და უტიფრად? ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც არად აგდებენ ხალხის საყოველთაო გაჭირვებას?“

დასმულ კითხვებზე პასუხის ნაცვლად ვინმეს დავისა და კამათის სურვილი თუ გაუჩნდება, სიამოვნებით მივიღებ ნებისმიერ გამოწვევას, თუ იგი პირადიდან კი არა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

*გაზეთი „სარკმელი საქართველოსი“,  
სექტემბერი, 2001 წ.*

და წერილი  
საქართველოს პარლამენტის განათლებისა და  
მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს  
ბატონ თამაზ კვაჭანჭიროძეს

## ვაითუ ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება განდეს...

ბატონო თამაზ,

მოგმართავთ დიდი პატივისცემითა და მოწიწებით, როგორც ქართული ენის ღირსეულ მეციხოვნეს. იქნებ ამ წერილზე მაინც გააკეთოთ სათანადო რეაგირება. ალბათ წაკითხული გექნებათ „ლიტერატურულ საქართველოში“ (28.09.07) გამოქვეყნებული ჩემი სტატია „ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ“ და „საერთო გაზეთის“ მეშვეობით თქვენდამი ჩემს მიერ გამოგზავნილი ღია წერილი „გადავარჩინოთ ქართული ენა“ (28.04.09). დარწმუნებული ვარ, „საქართველოს რესპუბლიკაში“ გასულ წელს გამოქვეყნებულ სტატიასაც „ყველას სათქმელს ამბობ, ანზორ, მაგრამ „Ноль внимания“ გაეცნობოდით. მაშინაც გთხოვდით და ახლაც ვიმეორებ:

გამოიყენეთ თქვენი ავტორიტეტი, გამოცდილება და თანამდებობრივი მდგომარეობა და სასწრაფოდ შეკრიბეთ ქართული ენის გულანთებული ქომავების მუშა ჯგუფი და მათი მონაწილეობით, რაც შეიძლება ოპერატიულად შეადგინეთ ქართული ენის გადარჩენის სახელმწიფო პროგრამა (თუ საჭიროდ ჩათვლით, მეც მიგულებთ თქვენს გვერდით). პრობლემის გადადება აღარ შეიძლება! წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი წინაპრების



მრავალსაუკუნოვანი თავგანწირვა და დღევანდლამდე მოტანილი ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდება!

პრობლემის გადაწყვეტა დახანებას რომ არ ექვემდებარება, ამაზე ხაზგასმით ბრძანებს თავის საშობაო ეპისტოლეში უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
14 იანვარი, 2010 წ.

და წერდით  
საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს  
ქნ ზუსუდან კრვალაშვილს

თქვენგან ამას არ ველოდი!

ქალბატონო რუსუდან!

2009 წლის 21 დეკემბრის გაზეთმა „თანადგომამ“ გამოვიგზავნათ წერილი, რომელშიც აღნიშნულია:

„რამდენიმე წელია, ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის თაოსნობით და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გამოვცემთ გაზეთ „თანადგომას“. მისი თითოეული ნომერი, პერსონალურად ეძღვნება ერის ღირსეული შვილების სახელის უკვდავყოფას. ნიმუშად გაახლებთ გაზეთის რამდენიმე ნომერს და წიგნს „გზა ვარდისფერი“, რომელიც სრულ წარმოდგენას შეგიქმნით ჩვენი გაზეთის დანიშნულებაზე.

საპატრიარქოსთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ, გაზეთის თითოეული ნომერი მივუძღვნათ 2008 წლის აგვისტოს ცნობილი

მოვლენების დროს გმირულად დაღუპული ბიჭების ხსოვნას, რაც მოემსახურება მათი სახელების უკვდავყოფას და ჩვენი მომავალი თაობის ღირსეულ ქართველებად აღზრდის საქმეს... გთხოვთ, გამონახოთ საშუალება და მიმიღოთ 5-10 წუთით, თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს, რათა ერთობლივად ჩამოვყალიბდეთ ამ საშვილიშვილო საქმის ორგანიზაციასთან დაკავშირებით.“

თქვენგან ვერავითარი პასუხი რომ ვერ მივიღეთ, იძულებული გავხდით 2010 წლის 3 თებერვალს შეხსენების წერილი გამოგვეგზავნა (№2345), რომელშიც თეთრზე შავით წერია:

„ჩვენი 2009 წლის 21 დეკემბრის წერილით მოგმართეთ საინტერესო და აქტუალური წინადადებით. გულახდილად გეტყვით, ვერ წარმოვიდგენდი, რომ იგი თქვენს დაინტერესებას არ დაიმსახურებდა. ტელეფონით მრავალჯერ დაკავშირების მიუხედავად, თქვენი აპარატის თანამშრომლებისაგან (ლიკა ქვარცხავა, ზურაბ მჭედლიშვილი და სხვ.) გარკვეული და გასაგები პასუხი ვერ მივიღე. გთხოვთ დადგენილი წესის შესაბამისად, მომავლოდ ოფიციალური წერილობითი პასუხი“.

ამ ბარათის გამოგზავნიდან, თვენახევრის განმავლობაში, თქვენი აპარატის შესაბამისი თანამშრომლების მრავალი დაპირება, რომ რაღაც პასუხს ნამდვილად მომწერდით, ფუჭი გამოდგა. მ/წლის 15 მარტს, ტელეფონზე ბატონმა ზურაბ მჭედლიშვილმა მიპასუხა და გადმომცა, რომ თითქოს თქვენ, ქნმა რუსუდან კერვალიშვილმა გაზეთისათვის პასუხის გამოგზავნა საჭიროდ არ ჩათვალეთ და გიბრძანებიათ, რომ წერილი საქმეში გაუშვიტო. თან დაამატა – გთხოვთ, ამ წერილთან დაკავშირებით მეტი აღარ ღარეკოთო! უფრო მეტიც, ჩემგან თქვენდამი სათანადო ავტოგრაფით საჩუქრად გამოგზავნილ წიგნზე გითქ-

ვამთ, უკან დაუბრუნეთ ავტორსო. ეს უკვე ძნელად დასაჯერებელია!

ქალბატონო რუსუდან, თქვენთან რამდენიმეწუთიანი შეხვედრა ყველა გაუგებრობას გამორიცხავდა და რადგან თქვენ ეს ვერ ან არ ისურვეთ, გთხოვთ, ამავე გაზეთის მეშვეობით საზოგადოებას გააგებინოთ, რატომ არ ისურვეთ ჩემთან შეხვედრა თუნდაც 2-3 წუთით. ნუთუ ამაღ არ გიღირდათ აგვისტოს მოვლენების დროს გმირულად დაღუპული ბიჭების სახელების უკვდავყოფის მიზნით, ჩვენს მიერ მომზადებული წინადადებების გაცნობა?

*„საერთო გაზეთი“, 24 მარტი, 2010 წ.*

დია წერლიო  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის  
ბაჟონ ბაჩო ანალოიას

დაღუპული გმირების სახელების  
უკვდავყოფაზე ზრუნვა ყველას  
უბირველესი საქმეა!

წუთისოფლიდან სამუდამო სასუფეველში წასული ერის ღირსეული შვილების სახელების უკვდავყოფის მიზნით, დაახლოებით 10 წლის წინ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის

ლოცვა-კურთხევით დაარსდა გაზეთი “თანადგომა“. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გაზეთის პერსონალური ნომრები მიუძღვენით ისეთ ლეგენდებს, როგორებიც იყვნენ: ზურაბ ანჯაფარიძე, ვანო სარაჯიშვილი, მედეა ჯაფარიძე, აკაკი ხორავა, გივი კარტოზია, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ირაკლი აბაშიძე, დავით სარაჯაშვილი, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ირაკლი უჩანეიშვილი, ინოლა გურგულია და სხვ.

საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ, გაზეთ „თანადგომის“ თითოეული ნომერი პერსონალურად მიუძღვნათ 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს გმირულად დაღუპული ბიჭების ხსოვნას და მათი სახელების უკვდავყოფას. არანაკლებ მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ იგი მოემსახურება ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის ქართულ საქმეს.

ამ მიზნით, ჯერ კიდევ 2009 წლის 20 მაისს, ოფიციალური წერილით მივმართეთ საქართველოს თავდაცვის მაშინდელ მინისტრს ბატონ დავით სინარულიძეს. ჩვენმა წინადადებამ გარკვეული შედეგი გამოიღო და მაშინდელი თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ბატონ ვლადიმერ ჩაჩიბაიას დონეზე ჩამოვყალიბდით ჩვენი მომავალი ურთიერთთანამშრომლობის მთავარ საკითხებზე. ამის შემდეგ, სამინისტროს ხელმძღვანელობის შეცვლასთან დაკავშირებით, ჩვენი პროექტის განხორციელება შეჩერდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას (მინისტრის მოადგილე ბატონი ნ. ძიმცეიშვილი), ამავე პრობლემასთან დაკავშირებით, 2009 წლის 22 ოქტომბერს კვლავ გაუუზღავნეთ ანალოგიური შინაარსის წერილი, რომელშიც აღნიშნულია:

„გასაცნობად გაახლებთ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერს. გვაქვს წინადადება, ანალოგიური გაზეთი პერსონალურად მი-

ვუძღვნათ შიდა ქართლში ერთი წლის წინ გმირულად დაღუპული ბიჭების სახელის უკვდავყოფას. აღნიშნული წინადადების განხორციელების უდიდეს მნიშვნელობაზე, რა თქმა უნდა, თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებთ.

გთხოვთ, გამონახოთ დროის საშუალება, რათა პირადად გეახლოთ და გაგაცნოთ ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია და ჩვენი ურთიერთობის ზოგიერთი დეტალი“.

წერილის გაგზავნიდან 5 თვეზე მეტის გასვლისა და ჩვენგან ყოველმხრივი მცდელობის მიუხედავად, თქვენი სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლების ღონეზე, ვერაფრის გარკვევა ვერ მოვახერხეთ. უფრო მეტიც, მრავალი დაპირების მიუხედავად, ოფიციალური პასუხის მიღებასაც ვერ მივაღწიეთ.

სამწუხაროდ, ბევრმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნო, რომ დაღუპული გმირების სახელების უკვდავყოფაზე ზრუნვა ყველას უპირველესი საქმეა!

დარწმუნებული გახლავართ, თქვენამდე ჩვენს წინადადებას რომ მოელწია, პრობლემა მკვდარი წერტილიდან უეჭველად დაიდრებოდა. ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებულად გამორჩეულ გმირთა სახელებს მაინც დავადგენდით.

წინასწარ გიხდით მადლობას გამოსმაურებისათვის.

*„საერთო გაზეთი“, 31 მარტი, 2010 წ.*

## ზოგიერთი ამონარიდი თქვენი წარსული საქმიანობის შეფასების საბრალდებულო დასკვნიდან

ბატონო ზურაბ!

გულახდილად გეტყვით, არც კი ვიცი რა ენაზე და რა ტერმინებით გესაუბროთ, რადგან პროფესიით ფიზიკოსს, რომელმაც ამ საქმისათვის ვერ მოიცალეთ, მე, ეკონომისტი კაცი, თქვენთან ფიზიკოსის სასაუბრო ენაზე საუბარს ვერ შევძლებ. ჩემი ცოდნისა და გამოცდილების კაცი, ვერც როგორც ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსის შემფასებლად გამოვდგები, რადგან დათასი არ იყოს, „არ არის ეს ჩემი საქმე“. რაც შეეხება თქვენთან ეკონომიკური ტერმინებითა და დეფინიციებით საუბარს, ძალიან გამიჭირდება, რადგან სამწუხაროდ თქვენ ამ დარგში, დღესაც არ გაგაჩნიათ სათანადო განათლება და ცოდნა. როცა ვამბობ „დღესაც“-ო მახსენდება ჩვენი პირველი პირისპირი შეხვედრა თქვენს კაბინეტში, როცა ქვეყნის უმთავრეს ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრუქტურაში, საქართველოს პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი გეკავათ. საქართველოს ეკონომიკურ პრობლემებზე საუბრის შინაარსი ნაწილობრივ მაინც რომ გაგეგოთ, რაღაც-რაღაც ახალ ტერმინებს ვიგონებდი. ჩვენი საუბარი უშედეგოდ რომ დამთავრდა, ეს გასაკვირი სულაც არ იყო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით გადავწყვიტე, ამ წერილით პოპულარულ ანუ თქვენთვის გასაგებ ენაზე გაგაცნოთ მხოლოდ ზოგიერთი ამონარიდი თქვენი წარ-

სული საქმიანობის შეფასების ჩვენი ვრცელი საბრალდებო დასკვნიდან.

– ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვაცხადებ, რომ თქვენ პირადად ბრძანდებით ქვეყანაში მცირე მეწარმეობის მტერი. გახსოვთ ალბათ, სატელევიზიო კომპანია „იმელის“ არხზე, პირდაპირი გადაცემა რომ მოეწყო მცირე მეწარმეობის პრობლემებზე, ბატონი ჯანრი კაშიას საავტორო პროგრამაში. ჩვენ, მცირე მეწარმეობის ხელშემწყობმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ვისარგებლეთ რა თქვენი იქ ყოფნით, მთელი ძალებით შევეუტიეთ ხელისუფლებას იმ დანაშაულებრივი ქმედებების გამო, რაც მთავრობას ჰქონდა ჩადენილი მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ. ამ გადაცემის შემდეგ, მოკლე ხანში, ეს პროგრამა დაიხურა და ჩვენც დაგვიწყეთ დევნა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ერთმანეთის მიყოლებით ჯერ კანონი გააუქმეთ მცირე მეწარმეობის შესახებ. შემდეგ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი დახურეთ. სამინისტროს დებულებიდან და საგადასახადო კოდექსიდან ლეფინიცია „მცირე მეწარმეობა“ ააორთქლეთ. ბოლოს კი მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობის ცენტრის ლიკვიდაცია მოახდინეთ.

შედეგად ის მივიღეთ, რომ ღლეხ ქვეყნის მცირე მეწარმეობის საკანონმდებლო ბაზაში სრული განუკითხაობაა. სახელმწიფო მართვის არც ერთ რგოლში ერთი საშტატო ერთეულიც კი აღარ არსებობს, რომელსაც ოფიციალურად ევალუბოდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის პრობლემებზე ფიქრი და ზრუნვა. მაშინ, როცა მსოფლიოში ვერ ნახავთ ქვეყანას, სადაც ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სექტორის საქმიანობას არ ხელმძღვანელობდეს სპეციალური სამინისტრო, კომიტეტი ან დეპარტამენტი მაინც;

– პრობლემისადმი ამგვარი დამოკიდებულების შედეგად, საქართველოში ყოველ ათას მოსახლეზე 7 მცირე საწარმო მოდის, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში – 40; მცირე საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან პროდუქციაში საქართველოში 10%-ს არ აღემატება, ევროკავშირის ქვეყნებში კი მისი ღონე 55%-ს აჭარბებს. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, განვითარებულ ქვეყნებში 13 ათასი დოლარია, ხოლო საქართველოში 200-300 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ისმება კითხვა. ასეთ პირობებში რაიმე წარმატებებზე საუბარი უხერხული ხომ არ არის?

– საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტების ერთ-ერთ გაფართოებულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ, თქვენ, მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა, ხმამაღლა, კატეგორიული ტონით განაცხადეთ: „ბატონო ანზორ, ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ, რომ სანამ მე ფინანსთა მინისტრი ვარ, ამ შენი ფიქსირებული გადასახადის შემოღებას ვერ ეღივებთო“. დღეს კი რა ხდება? ოპოზიციაში თქვენი გადასვლის შემდეგ „ეს ჩემი ფიქსირებული გადასახადი“ პიარისთვის დაგჭირდათ თუ ბოლოს და ბოლოს დარწმუნდით ჩემი პროექტის რეალობაში?

– თქვენ ამტკიცებთ, რომ საკვანძო პოსტებზე თქვენი ყოფნის პერიოდში ქვეყანამ არნახულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ფაქტები სულ სხვას დალადებენ. სინამდვილეში, სამწუხაროდ, ბევრი მაჩვენებლით საქართველო ისეთი ქვეყნების ჩამონათვალს ლიდერობს, როგორებიც არიან ზიმბაბვე, სუდანი, კონგო, ავღანეთი, სომალი და სხვ. ქვეყანაში უმუშევრობა და სიღატაკე თვიდან თვემდე იზრდება, მატულობს ადრე მოქმედი და ამჟამად დახურული ობიექტების რაოდენობა, მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი დაუშუშავებელია, ხოლო სოფლები დაცარიელებული. აღნიშნულის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ სახელისუფ-



ლებო ორგანოების უმაღლესი რანგის თანამდებობაზე ხანგრძლივად ყოფნის პერიოდში თქვენ ვერ ან არ შეიმუშავებთ ქვეყნის გადარჩენის ეკონომიკური პროგრამა.

– კატასტროფული მდგომარეობა ჩამოყალიბდა უშუალოდ თქვენი მოქმედებისა და გავლენის ყველა სფეროში. სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გრანტით აღებული საგარეო ვალი 2003 წლის 1775 მლნ აშშ დოლარიდან, 2009 წლისთვის 2925 მლნ აშშ დოლარამდე ანუ 64,8%-ით გაიზარდა და რაც მთავარია, აქედან ერთი ლარიც არ მოხმარდა ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეტოდეების დაუფლებას, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების დონეზე კადრების მომზადებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ხალხის სტაბილურ დასაქმებას.

– სახელმწიფო სტრუქტურებში თქვენი მოღვაწეობის ბოლო, ანუ 2007 წელს, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 5665 მლნ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით თითქმის ორი მილიარდი დოლარით გაიზარდა.

– საქართველოს პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის, მოსახლეობის ერთ სულზე საგარეო ვალის მოცულობით, პირველი ადგილი უკავია.

– უკიდურესად არასახარბიელო მდგომარეობა ჩამოყალიბდა მთლიანი შიდა პროდუქტისა (როგორც უცვლელ, ისე საბაზისო ფასებში) და საგარეო ვალის ზრდის ტემპების შეფარდების თვალსაზრისით. კერძოდ, 2003 წელს, საგარეო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან 44,5% შეადგინა, ხოლო 2007 წელს – 75,1%.

– თქვენი საქმიანობის პერიოდში უგულებელყოფილ იქნა პრივატიზების პროცესის ჩვენეული ხედვა, მსოფლიო გამოცდილება და საქართველოში ყველაფერი ხელაღებით გაიყიდა.

ჩვენი გათვლებით პრივატიზების პროცესიდან ქვეყნის თითო-  
ეულ მოქალაქეს უნდა შეხვედროდა 12000 აშშ დოლარის  
ღირებულების ქონება, ნაცვლად მიღებული ერთი ვაუჩერისა,  
რომლის ღირებულება არ აღემატებოდა 30 აშშ დოლარს. ამით  
ხელისუფლებამ, მოსახლეობას შეგნებულად ჩამოართვა უფლე-  
ბა თავისი კუთვნილი ადგილი დაეკავებინა ეროვნული კაპი-  
ტალბრუნვის სივრცეში, რაც საზოგადოების ყველა წევრის  
კეთილდღეობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტი  
იქნებოდა.

– თქვენი არასწორი და გაუმართლებელი ეკონომიკური პო-  
ლიტიკის შედეგად სახელმწიფოს არ დაუტოვეთ საქმიანობის  
პრიორიტეტული სფეროები და ჩამოართვით უფლება არეგული-  
როს და მართოს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები.

– მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციების არასწორი, გაუმარ-  
თლებელი პოლიტიკისადმი თქვენი არაადეკვატური დამოკიდე-  
ბულების გამო, სერიოზული ზიანი მიაღვა ჩვენი ქვეყნის ეკო-  
ნომიკას. კერძოდ, თქვენ მხარს უჭერდით მათ რეკომენდაციებს,  
რომ: თუ ქვეყანას ამა თუ იმ საქონლის წარმოება იმაზე ძვირი  
უჯდება, ვიდრე იგი მსოფლიო ბაზარზე ღირს, ასეთი საქონე-  
ლი მან არ უნდა აწარმოოსო. ე. ი. გამართლებულად მიგაჩნ-  
დათ საქართველოში მარცვლეული კულტურებისა და ქართული  
ძვევნახეობის უნიკალური ჯიშების ამოძირკვა. საქართველოს  
ეკონომიკას მწარმოებელი ანუ დოვლათის შემქმნელის ნაცვ-  
ლად, პრიორიტეტი უნდა აეღო მომხმარებელი საზოგადოების  
ჩამოყალიბებაზე და ა. შ.

– სპეციალური განხილვის საგანია განმაურებული თურ-  
ქული კრედიტის თემა. კერძოდ, უხეშად იყო დარღვეული მი-  
სი განაწილების წესი; იგი არ მოხმარდა მცირე და საშუალო  
ბიზნესის განვითარებას; არ დამყარდა კონტროლი კრედიტის

დაბრუნების მექანიზმის შემუშავებაზე; პრობლემის შესასწავლად შექმნილი სპეციალური საპარლამენტო კომისიის ვრცელი დასკვნა და რეკომენდაციები განხილვის გარეშე აღმოჩნდა პარლამენტის არქივში!

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დღევანდელი თქვენი ამბიციები ჩემთვის გაუგებარია. უფრო მეტიც, ორჯერ ფინანსთა მინისტრად და საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მთავრობის თავმჯდომარედ ყოფნისას, სათანადო ცოდნა, გამოცდილება და თვისებები რომ გქონოდათ, ქვეყანა დღევანდელ მდგომარეობამდე არ მივიდოდა.

და ბოლოს, ერთი შეკითხვაც. მიგაჩნიათ თუ არა კატასტროფად ის, რაც ამ დღეებში ქვეყნის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა, პროფესორმა დავით იაკობიძემ რომ განაცხადა: “საქართველოს საგარეო ვალი ერთ სულ მოსახლეზე უკვე 20000 აშშ დოლარს აღწევს, ანუ თითოეულ ოჯახს საშუალოდ უკვე 60-80 ათასი აშშ დოლარი ვალი აქვს და თუ აცნობიერებთ ამაში თქვენს პასუხისმგებლობას?”

P.S. ტრადიციას არ დავარღვევ და ამ წერილსაც ჩემებურად დავასრულებ. თუ რომელიმე საკითხში არ მეთანხმებით ან სხვა მოსაზრება გაგაჩნიათ, თანახმა ვარ შეგხვდეთ თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს და პირისპირ, თუნდაც ჟურნალისტების თანდასწრებით გავარკვიოთ სიმართლე.

*გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
24 აპრილი, 2010 წ.*

## „ოდონდ ქართულად ვილაპარაკოთ“

შენ, ჩვენი სუნთქვის დილო ალამო,  
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მაღამო,  
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,  
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

ირაკლი აბაშიძე

„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ პრინციპიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, ზოგიერთი მოსაზრება გაგიზიაროთ, ერთ ძალზე საჭირო და აუცილებელ წიგნთან დაკავშირებით, რომელსაც „ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ ჰქვია (თბილისი, 2005). ამ უპრეცედენტო გამოცემის (10 000-მდე ტერმინი, 822 გვერდი) დადებით მხარეებზე და ნაკლოვანებებზე მსჯელობა სრული მოცულობით, საგაზეთო სტატიაში არ გამოგვივა. მათ შესახებ უფრო საინტერესო და შედეგიანი საუბარი მექნება ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ სპეციალისტებთან. აქედან გამომდინარე, ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამომაქვს მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა და მოსაზრება, რომელთა გათვალისწინება ჩვენი აზრით უფრო მომგებიანს გახდის წიგნის შემდგომ გამოცემას.

ვიდრე უშუალოდ საქმეზე გადავალ, თავს უფლებას ვაძლევ, გაგაცნოთ ამონარიდი ჩემი ერთ-ერთი სტატიიდან „საყოველთაოდ, ხმამაღლა სათქმელი“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, ივლისი, 2001 წ).

„კაკაბეთის ზარების“ შემოკვრის დრო დადგა სრულიად საქართველოში სახელმწიფო ენის – უნიკალური და განუმეორებელი

ჩვენი დედაენის მეორეხარისხოვან ენად გადაქცევის საშიშროების გამო. დღეს, თუ ვინმეს თავის წარმოჩინება უნდა განსწავლულობით, საუბარში უცხო სიტყვების ორომტრიალით იწონებს თავს. სხვა დარგებში რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია კატასტროფულად ჩამორჩა მოთხოვნებს: თუ ქვეყანამ ამა თუ იმ მეცნიერებაში თავისი ეროვნული ტერმინოლოგია მაქსიმალურად არ დაამკვიდრა, მაშინ ამ ქვეყნის ენაზე სამეცნიერო ნაშრომების შექმნა თანდათან დაკარგავს აქტუალობას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული მეცნიერების მამებმა, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღეებიდანვე მეცნიერების ყველა დარგში ქართული ტერმინოლოგიის შემოღებას და დამკვიდრებას მიანიჭეს სწორედ უპირველესი მნიშვნელობა. პირადად გახლავართ მოწმე იმ დისპუტებისა, რომლებზეც ქართული ეკონომიკური აზრის აღიარებული ლიდერები წლების განმავლობაში როგორი პრინციპულობით ბჭობდნენ და დაობდნენ თითოეული ეკონომიკური ტერმინის დამკვიდრების აკარგებლობასა და მნიშვნელობაზე. თუ ეს მექანიზმები სასწრაფოდ არ ამუშავდა, მაშინ ქართული სამეცნიერო ენა დაკარგავს ფუნქციას და ის მხოლოდ სასაუბრო, საყველპურო ენა გახდება. ამას შედეგად ის მოჰვება, რომ მშობლიურ ენაზე ლექსიც აღარ დაიწერება, ბავშვებისათვის მშობლიურ ენაზე საშუალო განათლების მიღება აზრს დაკარგავს და ის დაგვემართება, რაც უკვე დაემართა ჩვენზე ათჯერ და ასჯერ უფრო დიდ ქვეყნებს. ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ შემორჩენილ თითო-ოროლა მშობლიურენოვან სკოლებში ბავშვების შეყვანა არაპრესტიჟულად და ჩამორჩენილობის დონის განმსაზღვრელ კრიტერიუმად ითვლება.

თუ საგანგებო ღონისძიებები არ გატარდა, ჩვენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი თავგანწირვა და დღევანდლამდე მოტანილი „ჩვენი ენა ქართული“ ისტორიის კუთვნილება გახდება“.

პრობლემისადმი ამ განწყობას და დამოკიდებულებას დღესაც ვინარჩუნებ და ამიტომ განსახილველი წიგნის ფონზე გავბედავ და გამოვთქვამ რამდენიმე მოსაზრებას, რომლებიც გაამართლებენ სტატიის სათაურს.

1. ლექსიკოგრაფიაში ღრმად ჩახედულის არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია (თუმცა, თუნდაც ოჯახური მდგომარეობის გამო, გაცილებით მეტი მომეთხოვება), მაგრამ წიგნში მოტანილი ძალზე ბევრი ტერმინი (თითქმის ყველა გვერდზე), ქართულად ასე რომ არ უნდა იწერებოდეს, ამას მტკიცება ან განმარტება არ სჭირდება. აი, ზოგიერთი მათგანიც:

„ავიზო გზაენილების შემოსავლის შესახებ“,

„ანგარიში ბანკისა ბლოკირებული“.

„ანგარიში ბროკერის ფინანსურ და ოპერატიულ საქმიანობაზე ერთიანი“.

„აპარატი სახელმწიფო“.

„აღრიცხვა ვაჭრობაში საქონლის რეალიზაციისაგან ამონაგებისა“.

„ბაზარი ტარიფებისა ერთიანი“.

„ბაზარი არასრულყოფილი არასრულყოფილი კონკურენციისა“.

„ბაზარი სასესხო კაპიტალისა პარალელური“.

„ბაზარი შემდგომი ფასიანი ქაღალდებისა“.

„ბალანსი საგადასახადო მიმდინარე ოპერაციებზე“.

„ბირჟა საერთაშორისო ფინანსურ-ფიუჩერსული ლონდონისა“.

„გადამხდელები გადასახადებისა მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე“.

„გამოკვლევა შერჩევითი მოსახლეობის შემოსავლებისა“.

„განაკვეთი ცენტრალური ბანკის განაღდებისა“.

„გარემო ბაზრისა დინამიკური“.

„გეგმა ფასიანი ქაღალდების პორტფელის მუდმივი ღირებულებისა“.

„ორგანიზაცია შრომისა მეცნიერული“.

„ორგანიზაცია არაკომერციული ოჯახური მეურნეობის მომსახურე“.

„სახლური შრომისა დამატებითი“ და ა.შ. და ა.შ.

სიტყვათა ასეთ წყობას არავითარი გამართლება რომ არ აქვს ეს ერთია, ხოლო მეორე და მთავარი ის არის, რომ ასეთ ლაბორინტებში საჭირო ეკონომიკური ტერმინის განმარტებას, რა თქმა უნდა, ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ვერ მიაგნებ. სანიმუშო მაგალითად გამოდგება საყოველთაოდ ცნობილი და მიღებული გამოთქმა (ტერმინი) „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია“. სამწუხაროდ ამ ტერმინის განმარტება წიგნში მოცემული არ არის. სამაგიეროდ განმარტებულია ცალკეულ სიტყვათა ისეთი კრებული, როგორცაა „ორგანიზაცია შრომისა მეცნიერული“, ან კიდევ ქართულად გამოთქმული რომელი ტერმინის განმარტებად გამოდგება სიტყვათა ნაკრები: „გეგმა ფასიანი ქაღალდების პორტფელის მუდმივი ღირებულებისა“ და სხვა და სხვა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ცალკეულ, იშვიათ შემთხვევებში, ესა თუ ის ტერმინი ან საყოველთაოდ აღიარებული ორგანიზაციის დასახელება, წიგნში სწორადაა მითითებული. მაგალითად „ამერიკის საფონდო ბირჟასთან არსებული ანგარიშსწორების პალატა“. კიდევ კარგი, რომ ასეთი გამონაკლისებიც არსებობს, თორემ სხვა შემთხვევაში ამ ორგანიზაციის დასახელება, ალბათ, ასეთი სახით იქნებოდა წარმოდგენილი, „პალატა ანგარიშსწორებისა საფონდო ბირჟასთან არსებული ამერიკაში“.

2. წიგნის მისასალმებელ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მასში „პირველად შეტანილია ქართველ სწავლულ ეკონომისტთა – ეკონომიკის მეცნიერების დოქტორების ძირითადი ბიოგრაფიული ცნობები“. ასეთ პირობებში არავითარი გამართლება

არ აქვს და დანაშაულის ტოლფასი ქმედებაცაა იმ პიროვნების ბიოგრაფიული ცნობების შეტანა ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში, რომელიც ზემოთ აღნიშნულ პარამეტრს არ აკმაყოფილებს. მით უმეტეს, როცა ესა თუ ის პიროვნება ამავე წიგნში გამოქვეყნებული ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორთა სიაშიც არ არის შეყვანილი.

3. როგორც ზემოთ დაგპირდით, სტატიის სათაურიდან გამომდინარე, გავბედავ და ვიტყვი, რომ ქართული ენის გადარჩენის პრობლემა, სხვებთან ერთად თავის თავზე უნდა აიღოს ქართულმა რადიომ და ტელეარხებმა. როგორ? აი, ასეთი თანმიმდევრობით:

- დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს და შეიქმნას ისეთი პროგრამები, როგორებიც იყო მაგალითად ლევან ღვინჯილიას პოპულარული პროგრამა ან I არხის გადაცემებს შორის ხშირი მოკლე-მოკლე ჩართვები, რომლებიც ლაკონურად განმარტავდნენ ამა თუ იმ სიტყვის ან გამოთქმის სწორ და არასწორ ფორმებს.

- სამწუხაროდ დღეს ქვეყანაში ყველაზე პოპულარული პიროვნებები არიან მინისტრები, პარლამენტარები და სხვა სახელმწიფო ჩინოვნიკები. ამიტომ რადიო-ტელევიზიებმა კვირის განმავლობაში უნდა მოაგროვონ მათი საჯარო გამოსვლებიდან მახინჯი ფრაგმენტები და კვირის რომელიმე წინასწარ დათქმულ დღეს და დროს მოსახლეობას წარუდგინონ მათი შედეგების კოლაჟი სათანადო კომენტარით. ასეთ გადაცემებში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს აგრეთვე ქართულ ენაში მახვილის სწორად დასმის პრობლემასაც. მოგეხსენებათ, ზოგიერთ უცხო ენაში მახვილი კეთდება სიტყვის ბოლო ხმოვანზე, ხოლო ქართულში – სიტყვის პირველ ხმოვანზე, დარწმუნებული ვარ, ზოგიერთს ჰგონია, რომ მახვილის უცხო ენის პრინციპით დასმა მათ განსწავლულობაზე მიუთითებს. მე კი პირიქით ვფიქ-



რობ. მაგალითად, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს უცხო ენების ცოდნაში ბევრი ვერ გაეჯიბრება, მაგრამ მან ინტენსიური მუშაობის შედეგად იმდენად დახვეწა ქართული საუბარი, რომ ანალოგიურ შეცდომებს პრაქტიკულად აღარ უშვებს.

სამწუხაროდ, განსაკუთრებით ეს პრობლემა პირველ რიგში მოსაგვარებელი აქვს უმრავლესი ტელეარხის პროგრამების წამყვანებს.

- თავს უფლებას ვაძლევ ვურჩიო ტელე-რადიო ჟურნალისტებს, რომ ჩვეულებრივი მსმენელისათვის აღსაქმელად უფრო ადვილია ნორმალური ტონალობითა და სიჩქარით მიწოდებული ინფორმაცია, ვიდრე „გაქცეული“ და მოვალეობის მოსახდელი რაღაც სიტყვების კორიანტელი.

- სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპით უნდა შეიქმნას ქართული ენის დაცვის პოლიცია (ეს ტერმინი, რა თქმა უნდა, პირობითია), რომელსაც უფლება ექნება უმაღლესი დონის ფულადი საჯარიმო სანქციები გამოიყენოს მათი მისამართით, ვინც აბუჩად იგდებს მშობლიურ ენას და სარეკლამო დაფებს, რეკლამის სხვა ფორმებს გაუგებარს ხდის. ქართული ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის. არსებობს შესაბამისი კანონი და ვაიძულოთ, ვისაც ეს ეხება, დაიცვას კანონის მოთხოვნები.

*გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,  
28 სექტემბერი, 2007 წ.*

ღია წერილი „მწერალ“ ლაშა ბულაძეს!

## ეკლაფერს აქვს საზღვარი, თვით თვალსაზრისსაკ კი!

ბატონო ლაშა,

გერქვას მწერალი და პრეტენზიაც გქონდეს, ხშირად ქართ-ველ მწერალთა ნაწარმოებების აკარგიანობის დამდგენი პრე-მიების მიმნიჭებელი ჟიურის ან კომისიის თავმჯდომარეობას იბრალედე, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა (ქართულ რადი-ოში თქვენი მოღვაწეობა საუბრის სხვა თემაა). ჩვენ, ქვემოთე ხელმომწერნი, მწერლები არ განლავართ და ამდენად თავს უფლებას ვერ მივცემთ და შეიძლება კომპეტენციაც არ გვეყოს, შეგაფასოთ როგორც „მწერალი“. სამაგიეროდ, იმის თქმის უფ-ლება და, რაც მთავარია, ვალდებულება გაგვანია, რომ რამ-დენიმე სიტყვით საზოგადოებას ნაწილობრივ მაინც გავაცნოთ თქვენი, ანუ „მწერალ“ ლაშა ბულაძის პიროვნება და მოქალა-ქეობრივი მრწამსი.

ეს გადაწყვეტილება მიგვალბინა ჟურნალ „ლიბერალის“ 2010 წლის აგვისტოს ნომერში რუბრიკით – „თვალსაზრი-სი“ გამოქვეყნებულმა თქვენმა მორიგმა „შედეგმა“, რომლის სათაურია „მიყვარს – არ მიყვარს“. ადამიანი თავისუფალია სიყვარულის ან სიძულვილის არჩევანში. ამის უფლება, რა თქმა უნდა, თქვენც გაქვთ, მაგრამ ამ პრობლემასთან დაკავში-რებით, საკუთარი აზრის გამოთქმისას სერიოზული დაფიქრება გმართებთ. თქვენ ხაზგასმით დაადასტურეთ, რომ ბევრ სხვა რამესთან ერთად არ გიყვართ „ქართული ისტორიული რომა-

ნები“, „ჩოხოსნები“, „პანთეონები“, „ქართველების მიერ შესრულებული რუსული რომანსები“ და სხვა. სამაგიეროდ ძალიან გიყვართ „ექიმებთან მისვლა“, „სხვისი პირადი წერილების კითხვა“, „ადეკვატური მიტინგები“ და ა.შ. თურმე, „სვეტების წერა“ (გაუგებარია რაზეა ლაპარაკი), კიდეც გიყვართ და კიდეც არ გიყვართ.

ჩვენ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრები, ჩვენი ქვეყნის წინაშე დამნაშავეებად ვგრძნობთ თავს, რათა დროულად არ გაგებინეთ პასუხი იმისთვის, რომ ქორწინების დამეს „ლოგინში შეუძვერით“ თამარ მეფეს... საგანგებოდ უნდა გამოვხმაურებოდით თქვენს „პოპულარულ“ ნაწარმოებში – „ოქროს ხანა“ მიმოფანტულ ბილწსიტყვაობისა და უნიკალური ქართული ენის დამახინჯების ფაქტებს.

კიდეც ბევრ რამეზე დავხუჭეთ თვალი იმის იმედით, რომ ახალგაზრდა კაცია და იქნებ დაღვინდესო. საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ მწარედ შევცდით!

დავუბრუნდეთ თემას თქვენი სიყვარულისა და სიძულვილის თაობაზე. თქვენ შეიძლება გიყვარდეთ ან არ გიყვარდეთ რომელიმე ერთი ან რამდენიც გნებავთ ჩოხოსანი, მაგრამ ზოგადად ჩოხოსნების ინსტიტუტის არსიყვარულის ასეთი ფორმით გამოხატვის უფლება არა გაქვთ. ნუთუ არ განსოვთ, რომ თავის დროზე ქართველ ჩოხოსანთა მოძრაობის სათავეებთან იღვწენ კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალექსანდრე აბაშელი, პავლე ინგოროყვა და ერის სხვა ღირსეული შვილები. დარწმუნებული ვართ, თქვენ ისიც არ იცით, რომ ქართველ ჩოხოსანთა საპატიო წევრები ბრძანდებიან ჩვენი ცოცხალი კლასიკოსები ჭაბუა ამირეჯიბი და რეზო ჩხეიძე. გვიანტერესებს, რომელიმე მათგანზე აცილება ხომ არა გაქვთ?

რა თქმა უნდა, თქვენ წაკითხული არა გაქვთ ჩოხოსანთა ფიცი, სადაც თეთრზე შავად წერია:

**„მწამს ღმერთი და ვალიარებ ათ მცნებას.**

**ვარ საქართველოს შვილი, ვიცავ სამშობლოს და ვემსახურები ღვთის საქმეს.**

**პატივის მივაგებ ჩვენს დიდ წინაპრებს და ვლოცულობ მათთვის.**

**ვალიარებ, რომ მტკიცე და მრავალშვილიანი ოჯახი არის ერის და ქვეყნის სიძლიერის საფუძველი.**

**აღვზრდი ჩემს შვილებს სულიერი, ეროვნული და ზნეობრივი ღირებულებების დამცველად.**

**ვიშრომებ და ვიღვაწებ ერთიანი, ძლიერი ქართული სახელმწიფოსთვის.**

**ღვთის მაღლით, მჯერა ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს მომავლისა“.**

დარწმუნებული ვართ, ალბათ, ერთხელაც არ ჩაგვარდნიათ ხელში ჩვენი ყოველკვარტალური ჟურნალის „რაინდის“ რომელიმე ნომერი, რომ თვალი მაინც გადაგველოთ ჩოხოსანთა დასის მიერ ამა თუ იმ დროის მონაკვეთში ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალისთვის, რაც ქრონიკის სახით დართული აქვს ჟურნალის ნებისმიერ ნომერს. ობიექტური და ნეიტრალური პიროვნებებისგან ბევრჯერ გვსმენია, ანალოგიური ღონისძიებების ჩატარებას სამინისტროც კი ვერ მოახერხებდაო.

ჩოხოსნებს საამაყოდ ისიც გვეყოფა, რომ ჩვენს მოძრაობას ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის სახელწოდება **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II** დაარქვა.

სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არც ამ ახირებას ჩაგითვლით ორიგინალობაში, როცა ამბობთ: „ეკიმებთან სია-

რული მიყვარსო“, საკითხის ბოლომდე გარკვევისთვის იქნებ გვითხრათ, სექსოპათოლოგის გარდა, კიდევ რომელი პროფილის ექიმთან სიარული „გისწორდებათ“? ჩვენში დარჩეს, ლაშა, და მაინცდამაინც კაცური მოქმედება არც „სხვისი პირადი წერილების კითხვის სიყვარულია“.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ვერ გავიგეთ, გიყვართ თუ არ გიყვართ „სვეტების წერა“.

ერთი სიტყვით, ლაშა ბატონო, თუ თქვენს თავს მწერალს უწოდებთ, კეთილი და პატიოსანი. ეს თქვენი საქმეა.

*ქართველ ჩოხოსანთა სახელით:*  
**ვაჟა ავალიშვილი, ანზორ გაბუხაძია,  
თენგიზ გაჩეჩილაძე, გადრი გვილაჟა,  
ჯუმბერ ლეჟავა, შმაგი საყვარელიძე,  
ზაალ სინარულიძე, გივი შავგულიძე.**

*გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
28 აგვისტო, 2010წ.*

# ენა გადავირჩინოთ, ქართველებო!

2010 წლის 16 ოქტომბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში დაფუძნების შემდეგ პირველად შევიკრიბეთ „დედა-ენის საზოგადოების“ კომისიის წევრები, ფრიად ავტორიტეტული და მშობლიური ენის ჭეშმარიტად გულშემატკივარი ადამიანები – ზაზა გაჩეჩილაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, ვია (გიორგი) ნიჟარაძე, მანანა გიგინეიშვილი, ლევან ჩიქვანაია, ლევან ღვინჯილია, ვახტანგ როდონაია, რისმაგ გორდეზიანი, სოსო ცისკარიშვილი, შუქია აფრიდონიძე, ავთანდილ არაბული, მარიკა ოძელი, თინათინ მარგალიტაძე, გუჯა მაკარიძე, თამაზ ებანოიძე, თქვენი მონამორჩილი ანზორ ბაბუხაღია და სხვები... იყო დიდი სჯა-ბაასი იმაზე, თუ როგორ ვუშველოთ ყველამ ერთად, როგორ გადავარჩინოთ გლობალიზაციის აგრესიულ მოძალებებს ჟამს ჩვენი ენა – ქართული, რამეთუ ასეთ პირობებში, სწორედ მცირე ერები ზარალდებიან ყველაზე მეტად.

კომისიის წევრებმა ერთხმად მივიღეთ „დედა-ენის დაცვის მანიფესტი“, რომელშიც ვკითხულობთ:

„გლობალიზაციის ხანაში ქართული ენა დადგა დამახინჯების, გადაგვარების, დაკნინებისა და განადგურების საფრთხის წინაშე. იგი წალეკა ბარბარიზმებმა, კალკამ, მიბაძვამ და ასევე სინტაქსურმა სიმახინჯეებმაც. ენა ერის ბურჯია და იგი შველას საჭიროებს.

დადგა დრო, რომ ამოქმედდეს ზეპარტიული, პოლიტიკურად მიუკერძოებელი, ზოგადეროვნული დაწესებულება, რომელიც იზრუნებს ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად, მის გადასარჩენად და გასაძლიერებლად.

მან უნდა მოიზიდოს ქართული ენის სპეციალისტები (ენათმეცნიერები, ფილოლოგები), რომლებიც შეიმუშავენ ქართული ენის გადარჩენისა და შემდგომი განვითარების კონცეფციას; შექმნიან და მუშაობაში ხელს შეუწყობენ სხვადასხვა მიმართულებით სათანადო ლექსიკისა თუ ტერმინოლოგიის დარგობრივ

კვლევით ცენტრებს, გააღრმავებენ ქართული ენისა და სწორი მეტყველების საჯარო პროპაგანდას ტელევიზიის, რადიოსა თუ პრესის მეშვეობით, სათანადო დარგობრივი ლექსიკონების, სახელმძღვანელოების, სამახსოვრო ბუკლეტებისა და სხვა თვალსაჩინო მასალის გამოქვეყნება-გავრცელების გზით.

მან ხელი უნდა შეუწყოს საგანგებოდ დაფინანსებული პროგრამების ხორცშესხმას ქართული ენის მასწავლებლების მომზადება-გადამზადების მიზნით.

სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ხანგრძლივადიანი კომპლექსური გეგმა სახელმწიფო დონეზე, რათა დროულად გამოეფხიზლდეთ და დაეიცვათ ქართული, როგორც სახელმწიფო ენა.

**გადავარჩინოთ ენა და ენა გადავვარჩინოთ ჩვენ.“**

— ყველაფერი, თითქოს, კარგად არის ნათქვამი მანიფესტში, თუმცა, ჩემი აზრით, პირველ რიგში აუცილებელია შეიქმნას სათანადო დოკუმენტი, რომელიც დააკანონებს, რომ „დედა-ენის საზოგადოება“ არის ზეპარტიული, პოლიტიკურად მიუკერძოებელი, ზოგადეროვნული დაწესებულება და მისი რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები სახელმძღვანელო და დაუყოვნებლივ შესასრულებელია ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი შტოსათვის, აგრეთვე არასამთავრობო და კერძო იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩასატარებელი უზარმაზარი სამუშაო ფუჭი გახდება, ანუ ვერანაირ შედეგს ვერ მივაღწევთ.

ამასთან, აუცილებელია, რომ ხელისუფლება ჩაერთოს ამ საშვილიშვილო საქმეში. იმ „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს, ასეთ საქვეყნო საკითხებს, როგორც წესი, მთავრობის თავმჯდომარე ედგა სათავეში. პრობლემას აქტუალობა არ დაუკარგავს და ახლაც დედაენა გვყავს მისახელი, რომლის გადარჩენამაც მთლიანად ჩვენი ერი უნდა გადაარჩინოს!

*გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა”  
19 ოქტომბერი 2010 წ.*

# რომელი ებოქა უფრო ჩვენის ეურნალისტებს?

მქონდა პატივი დავსწრებოდი ცნობილი ჟურნალისტის თეიმურაზ ქორიძის ახლახან გამოსული წიგნის „საუბრები ჟურნალისტთაზე“ პრეზენტაციას, რომელიც წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა 19 დეკემბერს. ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბატონი თეიმურაზის ჟურნალისტური საქმიანობის სამართლიან, დამსახურებულ ქებაში. რა თქმა უნდა, იყო წიგნის მისამართით გამოთქმული გარკვეული მეგობრული შენიშვნებიც. სხვაგვარად, შეხვედრა აზრს დაკარგავდა, რადგან მხოლოდ ქება-დიდებათ ვინ ვერ წავალთ.

წიგნის პრეზენტაციაზე ჩემი მოსაზრება არ გამომითქვამს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წაკითხული არ მქონდა. ახლა კი, თავს უფლებას ვაძლევ მოგახსენოთ რამდენიმე მოსაზრება, რომელიც დარწმუნებული ვარ, მომავალში სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ძველგაზრდებს და ახალგაზრდებს.

ის, რომ ბატონი თეიმურაზი თავისი საქმის ოსტატია, აქვს აქტუალურ მოვლენათა ობიექტური შეფასების უნარი, არის ქართული ენის ნორმების ხმალამოღებული დამცველი და ა. შ და ა. შ., ამაზე ამჟამად მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებ. გადავალ პირდაპირ საქმეზე და „მოყვარეს პირში უძრახეს“ პოზიციიდან, გაახლებთ ჩემს რამდენიმე მოსაზრებას.

ბოლო დროს, მოდაში შემოვიდა სიტყვა „პირველის“ წამდაუწუმ უადგილო და უაზრო გამოყენება ყველა ასპექტში – (ჩვენ „პირველები“ გეტყვით, „პირველად“ საქართველოს ისტორიაში და ა. შ.), ხშირად ისეთ შთაბეჭდილება რჩება, თითქოს



საქართველო, ახლა, XXI საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. ისინი, ვინც ამ გამოთქმებით ხშირად მანიპულირებენ, ცდილობენ ხაზი გადაუსვან წარსულს, თუნდაც უახლოესს, რომელიც ბევრ ჩვენგანს, გვინდა თუ არ გვინდა, კარგად ახსოვს.

ეს ზოგადად.

ასეთი შესავლის შემდეგ, ნიმუშად, უკომენტაროდ გთავაზობთ მხოლოდ რამდენიმე, ფრიად საკამათო ამონარიდს ბატონ თეიმურაზ ქორიძის ხსენებული წიგნიდან.

– კომუნისტური რეჟიმის პირობებში, „ჟურნალისტის პოპულარობა დამოკიდებული იყო არა პიროვნების ნიჭზე, უნარზე, ცოდნაზე ან თუნდაც, სიმამაცეზე, არამედ... ყოვლისმცოდნე პარტიაზე – პოპულარული იყო ის, ვისაც პარტია დაავალებდა ყოფილიყო პოპულარული“ (გვ. 11).

– „საქართველოში არც მაშინ და არც დიდი ხნის შემდეგ არ არსებობდა... სრულფასოვანი ჟურნალისტური სკოლა, სადაც მსმენელებს დამოუკიდებელ აზროვნებას, ნააზრევის ქალღმერთს სწარტად და გასაგებად გადატანის კულტურას ასწავლიდნენ (გვ. 17).

– „მმართველობის საბჭოთა პარტიულმა სისტემამ გარყვნა ჟურნალისტებიც, მწერლობაც, ზნეობაც და ასე შევეგებეთ თავისუფალ საქართველოს (გვ. 24).

– „თითქოს უცნაურია, მაგრამ XXI საუკუნის დასაწყისშიც კი, საქართველოში არ არსებობდა არც ერთი, ვიმეორებ, არც ერთი გაზეთი, რომელიც ენობრივი თვალსაზრისით არ სცოდავდა. სცოდავდა კი არა, ქართული სალიტერატურო ენისადმი პრესის დამოკიდებულება, უბრალოდ, მკრეხელურიც კი იყო. გულახდილად რომ ვთქვა, პრესაში გამოქვეყნებული ამგვარი ტექსტებისთვის სახელის დარქმევა ძალიან მიჭირს. ეს იყო რაღაც უფრო მეტი, ვიდრე, ზოგადად, უვიცობა, უპასუხისმგებ-

ლობა, ან საქმისადმი უსინდისო დამოკიდებულება“ (გვ. 70).

თავს უფლებას ვაძლევ გაგაცნოთ კიდეც ერთი ამონარიდი ბატონი თეიმურაზის ისტორიული ინტერვიუდან, ყველა ნორმალური ადამიანისათვის პატივსაცემ პიროვნებასთან, ქალბატონ ნინო გეგეჭკორთან (ლ. ბერიას მეუღლე), რომელიც გვირჩევს, რომ „შეიძლება, რა თქმა უნდა, არ გიყვარდეს კაცი (საუბარია ი. სტალინზე, ა. ბ.) მაგრამ მასზე ასეთი ტონით წერა არ შეიძლება, თუნდაც ყველაფერი ის, რასაც ამბობენ, მართალი იყოს, ქართველს მაინც არ შეეფერება სტალინის ასე ლანძღვა – ასეა თუ ისე, იგი მაინც ქართველი იყო. თუ გასაღანძღია, გაღანძღოს სხვამ, ჩვენ ნუ გამოვიჩინთ ინიციატივას...“ (გვ. 104).

ვფიქრობ საგულისხმო და გასათვალისწინებელი არგუმენტია, ბატონო თეიმურაზ, რადგანაც ქართულ ჟურნალისტიკაზე ასეთი ტონით წერა არ შეიძლება!

*გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.*

*29 დეკემბერი, 2010 წ.*

# შეკვრებანებს შავი ჩონა მოგვიხლება!..

თბილისში, ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე რა ნაირ-ნაირ მაღაზიებს არ შეხვდებით, მაგრამ, ამ ცოტა ხნის წინათ გახსნილი „სამოსელი პირველი“ აშკარად გამოირჩევა თავისი მნიშვნელობით.

მაინც, რაშია საქმე?!

ამ მაღაზიაში იყიდება ქართული ეროვნული სამოსი თავისი ყველანაირი აქსესუარით. მაგალითად, აქ შეიძლება შეიძინოთ (გნებავთ, შეუკვეთოთ კიდეც) ჩოხები, ახალუხები, ქართული ნაციონალური კაბები, თავსამკაულები, ქამარ-ხანჯლები, ხმლები და ასე შემდეგ...

ბევრი თბილისელი, მეტადრე უფროსი თაობა, ცხადია, ალაფ-რთოვანა ასეთმა მაღაზიამ. მაგალითად, ჩვენი შესანიშნავი კოლეგა და ცნობილი ეკონომისტი, ჩოხოსანი ანზორ ბაბუხაძია რედაქციაში გვეწვია, გვიამბო ამ, ასე ვთქვათ, „ეროვნული მაღაზიის“ შესახებ და შემდეგ დაუმატა:

– ამ მაღაზიაზე რომ ვსაუბრობთ, მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით, საყოველთაო განხილვისთვის მკითხველს შევთავაზო ერთი კონკრეტული წინადადება, რომელიც ზოგადად შეეხება ქართული ნაციონალური სამოსის ტარების შემდგომი პოპულარიზაციისა და ცხოვრების წესის გარკვეულ და აუცილებელ ნორმად დამკვიდრებას:

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ანუ 26 მაისს, ვინც კი ქართულ ეროვნულ ტანსაცმელს იცვამთ კონცერტებზე, რიტუალურ სიტუაციებში, ცალკეულ საზეიმო დღეებში ან ღონისძიებებზე და, რა თქმა უნდა, ყველა ჩოხოსანი, ასაკის

მიუხედავად, ამ სამოსში გამოწყობილნი, წინასწარ დათქმულ დროს, შევიკრიბოთ გარკვეულ ადგილას და ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილებმა მასობრივი მსვლელობით პატივი მივაგოთ ჩვენს წმინდა ადგილებს. ღონისძიებას განსაკუთრებით ფასს მიანიჭებს მსვლელობაში ბავშვებისა და ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართვა.

დედაქალაქში, ალბათ, გამართლებული იქნება მასობრივი მსვლელობა (რა თქმა უნდა, ფეხით) დავიწყოთ დილიდანვე, მთაწმინდის პანთეონის მიმართულებით. ჩვენი აზრით, ამ ღონისძიებას უნდა ამშვენებდეს მხოლოდ და მხოლოდ ქართული სიმღერები და საგალობლები.

საბედნიეროდ, ღირსშესანიშნავი ადგილები საქართველოს ყველა ქალაქში და რაიონულ ცენტრშია და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, საზოგადოებასთან შეთანხმებით, თავად გადაწყვეტენ შეკრების დროს, ადგილს და საზეიმო მსვლელობის მარშრუტს. მაგალითად, ქუთაისში ასეთი თავშეყრის ადგილი, ალბათ, უნდა იყოს ბაგრატიის ტაძრის ტერიტორია, ზუგდიდში – დადიანების სასახლე, თელავში – იყალთოს მეცნიერებათა აკადემია და ა. შ. ბუნებრივია ამ დღეს „თამაშგარე“ მდგომარეობაში არ უნდა აღმოჩნდეს სვეტიცხოვლის ტაძარი, მარაბდის ბრძოლის მემორიალი, გელათის კომპლექსი, მერაბ ბერძენიშვილის უკვდავი ძეგლები: „კიდევაც დაიზრდებიან“, „დიდგორი“ და ა. შ.

ვფიქრობთ, რომ ასეთი სახალხო მსვლელობისა და თავშეყრის ადგილებში გამორიცხული უნდა იყოს ე. წ. სამართალდამცველთა რაიმე ფორმით გამოყენების აუცილებლობა. ამ ადგილებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა თავად ჩოხოსნებმა უნდა გავაკონტროლოთ.

ამ ღონისძიების ჩატარება თანდათან უნდა გადაიქცეს ქართველთა ურთიერთპატივისცემის, მოკრძალებისა და სიყვარულის

გამოხატვის საშუალებად, რაც ერის უდიდესი დღესასწაულის – დამოუკიდებლობის დღის – ტრადიციული დამაგვირგვინებელი ღონისძიება გახდება.

დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ საშვილიშვილო საქმეში ქართული ეკლესია თავის სიტყვას იტყვის ჩვეული მხარდაჭერითა და თანადგომით.

– სხვათა შორის, ბატონო ანზორ, არ იქნება ცუდი, რომ ქორწილებში ნეფე-დედოფალს ქართული სამოსი ეცვას... იმ ღირსშესანიშნავი დღისთვის თუ ვერ იყიდიან, იქირაონ მაინც ერთი დღით...

– აგაშენათ ღმერთმა!.. საერთოდ, ვფიქრობ, დადგა დრო, რომ თეატრებში, ქორწილებში, საიუბილეო საღამოებზე, ვისაც კი ამის ელემენტარული საშუალება აქვს, ვიაროთ ეროვნული სამოსით.

– ისე, რაც ერთმანეთს ვიცნობთ, ვხედავ, რომ ხშირად დადინხართ ჩოხით...

– კი ბატონო... და სიამაყით ვატარებ... ისე, რომ იცოდეთ, მეცვა სკოლის ასაკშიც და სტუდენტობის წლებშიც.

– ეს კარგია... თუმცა, ხმები დადის, ამ, თითქოს, „ძალიან ეროვნულებში“ – ჩოხოსნებშიც არის განხეთქილებაო, თურმე, ცალ-ცალკე იქაჩებით... ქართველებისგან რა არის მოულოდნელი...

– კი, სამწუხაროდ, ეს ხმები დადის... თქვენ, ალბათ, იცით, რომ საქართველოში ოფიციალურად დარეგისტრირებულია ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასი, რომელსაც ეს სახელი მიანიჭა მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია II-მ. როგორც დასის ერთ-ერთი რიგითი წევრი, ვამაყობ, რომ ჩვენს შემადგენლობაში არიან და აქტიურად თანამშრომლობენ საზოგადოების ისეთი წევრები, როგორებიც

ბრძანდებიან ბატონები რეზო ჩხეიძე, თენგიზ არჩვაძე, გოგი დოლიძე, ზურაბ ლეჟავა, მიხეილ ჯიბუტი, ილო პატაშური, მურმან გელენიძე, შმაგი საყვარელიძე, არნოლდ გეგეჭკორი, ივანე ჯაფარიძე, გივი შავგულიძე, ზაალ სინარულიძე, ჯემალ ადამაშვილი, კოტე მიქაძე, ჯემალ კვანტალიანი, კოტე გოგოლაძე, ბადრი გვილავა, ვაჟა ავალიშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე, ჯუმბერ ლეჟავა, ჰენრი კუპრაშვილი, ომარ მხეიძე, თენგიზ უთმელიძე და სხვ. დასი გამოსცემს ყოველკვირეულ ჟურნალ „რანდს“, ატარებს უამრავ საინტერესო ღონისძიებას, რომლებიც დეტალურად შექდება ჩვენს ჟურნალში. რაც შეეხება რაღაც დაპირისპირებას, ამას ვერ დაგიდასტურებთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართველ ჩოხოსნებს მიზნები და ამოცანები, რა თქმა უნდა, ერთი გვაქვს. და თუ მათი განხორციელების გზა ზოგიერთს თავისებურად ესმის, ან თუ ჩვენს მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში სხვადასხვა მიზეზის გამო, ყველა თანაბარი ინტენსივობით ვერ მონაწილეობს, ეს არ ნიშნავს არც განხეთქილებას და არც დაპირისპირებას.

*ესაუბრა ვილინ მარდალეიშვილი  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.  
10 თებერვალი, 2011 წ.*

## ჩვენი ღამაქსევარი საბჭოთა სისტემა...

ანზორ ბაბუხაღია – ცნობილი ეკონომისტი, გაზეთ „თანადგომის“ გამომცემელი და, რაც მთავარია, ჩვენი გაზეთის გულშემატკივარი, ის კაცია, რომელსაც ერის წყლული აწინა წყლულად, საქვეყნო ჭირ-ვარამი აწუხებს და ყოველთვის ცდილობს მართალი სიტყვით შეეხმიანოს ამ ჭირ-ვარამს პრესაში. შემოვიდა იმ დღეს ბატონი ანზორი ჩვენს რედაქციაში, აღმფოთებული ვარ გაზეთ „ქუთაისელში“ წაკითხულით და მინდა ამაზე ორიოდ სიტყვით ჩემი პოზიცია გამოვხატო...

და აი, რა გვიამბო ბატონმა ანზორ ბაბუხაღიამ:

– სტატიას ჰქვია „სისტემა, რომელიც ერის გადაგვარებას ემსახურება“ და მისი ავტორია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი ივერი ბასილაძე.

პუბლიკაციაში, ცალკეულ საგულისხმო დასკვნებთან ერთად, აღნიშნულია: „სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც კრემლმა 1921 წლის თებერვალში დაამხო პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩვენი სამშობლოს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მთლიანად ჩაუკეტეს უცხოეთისაკენ მიმავალი გზები და ჩამოაყალიბეს განათლების ისეთი სისტემა, რომელიც ადამიანებს მანქურთებად აქცევდა“.

ვფიქრობ, სტატიის ავტორი, საბჭოთა პერიოდის განათლების სისტემის თაობა ბრძანდება და თუ ის იმ ეპოქამ მანქურთად ჩამოაყალიბა, ეს პირადად მისი პრობლემაა, ხოლო ჩვენი სახელოვანი უფროსი, ან უშუალოდ ჩემი და შემდგომი თაობებისათვის ასეთი იარლიყის მიწერის უფლება ბატონი ივერისთვის არავის არ მიუნიჭებია.

სამწუხაროდ, მსგავს შეფასებებში იგი გამონაკლისი არ ბრძანდება და თანამოაზრეც საკმაოდ ბევრი ჰყავს. ძალიან მოკლედ რომ ვთქვა, წარსულის შემფასებელთა ეს კატეგორია ამას იმი-

ტომ აკეთებს, რომ რაღაც ორიგინალური თქვას, თავისი თავი დაიძვინდროს და საზოგადოებისთვის „ცნობადი სახე“ გახდეს...

გამონაკლისი არ ბრძანდება-მეთქი, ზემოთ რომ მოგახსენეთ, ამის დასტურად თქვენს გაზეთში ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული ჩემი ორი სტატიის სათაურს შეგახსენებთ: „ყველაფერს აქვს საზღვარი, თვით თვალსაზრისსაც კი!“ და „რომელი ეპოქა უფრო რყვნის ჟურნალისტებს?“

ვინც ამ სტატიებს გაეცნო, ალბათ დამეთანხმება, რომ ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, პასუხი გავეცი ანალოგიურ დაუფიქრებელ, არაფრისმთქმელ გამონხლომებს. კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ მსგავს სიტუაციებში მარტო არა ვარ და ბევრ ჩემს კოლეგას წარსულის ობიექტურად შეფასების დროს სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია აქვს.

მოგეხსენებათ, ყველა ისტორიულ ფორმაციას, ეპოქას თუ პერიოდს, ახლავს თავისი დადებითი თუ უარყოფითი მომენტები, ჰყავს უარყოფითი და დადებითი პიროვნებები და ა. შ. აქედან გამომდინარე, რომ იტყვიან, ერთი ხელის მოსმით ყველას ერთნაირად რატომ ვაქიაქებთ? თუნდაც საბჭოთა სისტემას და კომუნისტებსაც კი? მახსოვს, თუ ვინმე ღირსეული და პატიოსანი კაცი იყო – ნაღდი კომუნისტიყო, იტყოდნენ ხოლმე. რა თქმა უნდა, უღირსებიც ბლომად ჰყავდათ, ასეთი კატაკლიზმები საზოგადოების განვითარების ყველა პერიოდს ახასიათებს და, გვინდა თუ არ გვინდა, ამისგან არც მომავალში ვართ დაზღვეულნი.

როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ, კონკრეტულად საქართველოში, საბჭოთა ეპოქაში მოხდა მეცნიერების, კულტურის, მწერლობის, სპორტისა და სხვა დარგების მსოფლიო სტანდარტების დონეზე აყვანა. გავიხსენოთ იმ „ავადსახსენებელ“ პერიოდში, საქართველოში რამდენი მსოფლიო დონის ქართული სამეცნიერო სკოლა არსებობდა, რამდენ სახელოვანს და კულტურის დარგის მოღვაწეს უკრავდა მსოფლიო ტაშს;



სპეციალური და ამოუწურავი მსჯელობის საგანია იმდროინდელი ქართული კინოსა და თეატრის ფენომენი; მსოფლიო ლიდერები ვიყავით ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში ქართველ სპორტსმენტა მიერ მოპოვებული მედლების რაოდენობით. სასიამოვნო და საამაყოა, რომ ტრადიცია გრძელდება და საბედნიეროდ, იმ ეპოქაში აღზრდილი ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, რომ იტყვიან, მსოფლიო მეცნიერების ცალკეულ დარგებს, დღესაც „აზანზარებს“. რაც შეეხება ახალგაზრდებისათვის „უცხოეთისაკენ მიმავალი გზების ჩაკეტვას“, სრულად ვერც ამ გამოთქმაში დავეთანხმები სტატიის ავტორს, რადგან, კარგა ხნის წინათ, პირადად მე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტს, რექტორმა თავად შემომთავაზა, რომ სახელმწიფო ხარჯებით, სწავლა გამეგრძელებინა გერმანიაში, იენის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რაზედაც, სერიოზული ოჯახური პრობლემების გამო, უარი განვაცხადე.

ძალზე ხმამაღლა და უადგილოდ ნათქვამად თუ არ ჩამეთვლება, ორიოდ სიტყვით მაინც ვიტყვი, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საბჭოთა პერიოდში ცალკეულ ქართველ მოღვაწეთა თავდადებად, ქართული ენა ხომ მაინც გადავირჩინა! დღეს კი, სამწუხაროდ, საპირისპირო რეალობასთან გვაქვს საქმე.

ამასთანავე, როგორც ერთ რიგით ქართველს და ცოტათი საქმეში ჩახედულ ეკონომისტს, საბჭოთა სისტემის დასასამარებლად იმდენი სამხილი მაქვს, რომ „ქვას ქვაზე არ დავტოვებ“ და არც ახლა ვტოვებ, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა და მზად ვარ ჯანსაღი პოლემიკის ნებისმიერი ფორმისთვის.

**ესაუბრა ვილენ მარდალეიშვილი**  
**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.**  
**8 მარტი, 2011 წ.**

# ახალგაზრდობა – იქელი ხელოს...

*„მოდგმა გადაგვირჩინე  
ღვთისმშობელო მარიამ“*

2011 წლის დასაწყისიდან, არამართო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, ძალზე სერიოზული და რთული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები ამოტივტივდა. არის მსხვერპლიც. რასაც ტელევიზიით აჩვენებენ, ყველა სიტუაციაში, ძირითად დამრტყმელ ძალად, ახალგაზრდობა გვევლინება. საქართველოში კი, კარგა ხანია ახალგაზრდობა მიმდინარე პროცესებისადმი რაღაცნაირ – ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენს. როგორც ახალგაზრდულ პრობლემებში გარკვეულად ჩახედილი, ძალიან მოკლედ ხომ ვერ გვეტყვით თქვენს პოზიციას ამ პრობლემესთან დაკავშირებით?

- მერგო პატივი და როგორც უნივერსიტეტელმა (ეს ტიტული ჩემთვის ყველაზე ძვირფასია) 2011 წლის 8 თებერვალს მონაწილეობა მივიღე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 93-ე წლისთავთან დაკავშირებულ ერთ საინტერესო ღონისძიებაში, რომელიც სასტუმრო “ვარაზის” საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა, პროფესორ მარიამ ცაცანაშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით და მიეძღვნა აკადემიკოს გივი სანაძისათვის სპეციალური საიუბილეო ჯილდოს გადაცემას.

იმ დღით საქართველოს რადიოს პირველი არხის მიერ გამოცემულმა ერთმა გამოავნებელმა პატარა სიუჟეტმა, რომელთან დაკავშირებითაც ქვემოთ მოგახსენებთ, ჩემს მეხსიერებაში ღვდა უნივერსიტეტთან დაკავშირებული ბევრი სასიამოვნო და წარმოდგინეთ, რამდენიმე უსიამოვნო მოგონებაც ამოატივტივა.

სასიამოვნო-მეთქი რომ მოგახსენეთ, მხედველობაში მქონდა თეთრ ტადარში პირველად ჩემი ფეხის შედემა; პირველ მისაღებ

გამოცდაზე მიღებული ხუთიანის გამო განცდილი სიხარული; ჯერ კიდევ მეზუთე კურსელი სტუდენტის კათედრის შტატთან თანამშრომლად გაფორმება და ცხოვრებაში პირველი უნივერსიტეტული ხელფასის მიღება; 1961 წლიდან დაწყებული დღემდე, უნივერსიტეტის ყველა საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ ღონისძიებაში და ქართული ენის გადარჩენის ცნობილ მანიფესტაციაში მონაწილეობა; რამდენიმე წლის მანძილზე მშობლიური უნივერსიტეტის ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდი; მრავალი თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის სახელის უკვდავყოფისადმი მიძღვნილი, ჩემს მიერ დაარსებული გაზეთ „თანადგომა“-ს პერსონალური ნომრების გამოშვებით განცდილი კმაყოფილების გრძნობა და სხვა.

ყველაზე მძიმედ კი მახსენდება რამდენიმე წლის წინ, ერთი შემთხვევითი რექტორის დროს, უნივერსიტეტის გადარჩენისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილე ქართველ მეცნიერთა პოლიციის გაძლიერებული შემადგენლობის გამოყენებით პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში დამწყვდევის ფაქტი, რომელთა შორისაც, როგორც ერთ-ერთი რიგითი უნივერსიტეტელი და მისი გულშემატკივარი, მეც აღმოვჩნდი.

მეორე უსიამოვნო და უცნაური შემთხვევა უკავშირდება სახელმწიფო უნივერსიტეტში ქვეყნის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრას ამომრჩევლებთან. რამდენიმე წლის წინ, დათქმულ დროზე, ამ სერიოზულ მოვლენასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მეორე კორპუსის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში, ხალხის ტევა არ იყო. ერთი საათით დაგვიანებით მობრძანებული პრეზიდენტობის კანდიდატი დარბაზში როგორც კი შემოვარდა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მიიხედ-მოიხედა და არც კი დაფიქრებულა, აიწია და შეხტა სამეცნიერო საბჭოს წევრების გრძელ, მწვანე მაუდგადაფარებულ სათათბირო მაგიდაზე და იქიდან დაიწყო თავისი ჯერ არნახული და ჯერ არგაგონილი საპროგრამო სიტყვის წარმოთქმა. დამსწრეთაგან, სიტყვაში გამოსვლა პირველმა მე მოვითხოვე და ძალიან მოკლედ ვუთხარი, რომ

თქვენს ე.წ. პროგრამაში ახალი ან საინტერესო არაფერი არ არის-მეთქი. ამის შემდეგ გადავედი პრეზიდენტობის კანდიდატის ქცევის ნორმების საჯარო განხილვაზე და ძალიან მოკლედ, ყველას გასაგონად, მოვახსენე, რომ უნივერსიტეტის წმინდა ტაძარში შემოსვლის, ან თუნდაც მისი გვერდით ჩავლის დროს, ჩვენი სულმნათი მეცნიერები ქუდს აუცილებლად იხდიდნენ-მეთქი. თქვენ კი ეს უძვირფასესი მაგიდა თქვენი ბოლთის საცემ მოედნად გაიხადეთ, რაც ქცევის არავითარ ნორმაში არ ჯდება-მეთქი. დარბაზი უცნაურმა ჩოჩქოლმა და განწყობამ მოიცვა და ამიტომ შეხვედრა დროზე ადრე დასრულდა., თუმცა გარკვეული უსიამოვნო საუბარი ქუჩაში გავაგრძელებთ. გამოიცანით ვინ ბრძანდებოდა ეს ვაჟბატონი? მისი სახელი შედგება სამი, ხოლო გვარი ათი ასოსაგან. დმერთმა დაიფაროს ჩვენი ქვეყანა მომავალში ანალოგიური უმსგავსოებისაგან!

გავიდა დრო და სულ ახლახან 2011 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენებისა და უნივერსიტეტის 93-ე წლისთავის დღეს, საქართველოს რადიოს პირველი არხის ჟურნალისტს დილით ადრე ინტერვიუ ჰქონდა უნივერსიტეტის 10-მდე სტუდენტთან. დასმულ კითხვაზე – ვინ არიან დაკრძალულნი და ვისი ძეგლები დგას უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ მდებარე სკვერში? ჩემდა გასაოცრად, ყველა სტუდენტის პასუხი თითქმის ერთნაირი იყო: ალბათ, ერთი ივანე ჯავახიშვილის იქნება, სხვა არ ვიცითო. სწორედ ასეთ შემთხვევაზე აქვს ნათქვამი ჩვენს ცოცხალ კლასიკოსს – **საით მიდინარ საცოდავო საქართველო.**

რაც შეეხება შეკითხვის მთავარ პათოსს ახალგაზრდობის ინდიფერენტულობის თაობაზე, პირდაპირ გეტყვი, რომ ახალგაზრდობის მობილიზაციის და თავდადების გარეშე ქვეყანაში მთელი მისი ისტორიის მანძილზე არც ერთი სერიოზული პრობლემა არ გადაწყვეტილა და აქედან გამომდინარე, არც მომავალში გადაწყდება.

*ესაუბრა ანა ვადაჭკორია*

*„საერთო გაზეთი“, 23 თებერვალი – 1 მარტი 2011 წ.*

და წერილი საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარეს ბატონ ლავით ბაქრაძეს

## ქართული ენის გადარჩენა ხელისუფლების სერიოზული საფიქრალი უნდა იყოს!

საქართველოს პარლამენტმა სისტემატური და კანონიერი რეაგირება უნდა მოახდინოს ქართული ენის გადარჩენისადმი მიძღვნილ, მასშტაბში, განსაკუთრებით პრესაში გამოქვეყნებულ სერიოზულ პუბლიკაციებსა და აქტუალურ პრობლემებზე. ხმამაღლა ნათქვამად თუ არ ჩამეთვლება, ასეთებად ვთვლი ჩემს მიერ გამოქვეყნებულ არაერთ სტატიას. შეგახსენებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანის სათაურს: „ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 28.09.07), „გადავარჩინოთ ქართული ენა“ („საერთო გაზეთი“, 08.04.09), „ვაითუ ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდეს“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 14.01.10), „ენა გადავარჩინოთ, ქართველებო!“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19.10.10), „გადავარჩინოთ ქართული ენა!“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 01.02.11). აღნიშნული პუბლიკაციები, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია იმ წერილებთან შედარებით, რომლებსაც სისტემატურად და მაღალ პროფესიულ დონეზე აქვეყნებენ ქართული ენის თვალსაჩინო, თავგადაკლული სპეციალისტები. ვინმე რომ არ გამოგვრჩეს, შეგნებულად არავის გვარს არ ვასახელებ.

მათთან ერთად, წლების განმავლობაში ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ, რომ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ევალება:

გაადარჩინოს ქართული ენა დამახინჯების, გადაგვარების, დაკნინებისა და განადგურების საფრთხისგან;

დაიცვას ქართული ენა ბარბარიზმის, კალკის, მიბაძვისა და სხვა სიმახინჯეებისგან;

ამოქმედოს და ააღორძინოს ზეპარტიული, პოლიტიკურად მიუკერძოებელი, ზოგადეროვნული, თუნდაც საქართველოს პარლამენტის მფარველობაში მყოფი ორგანიზაცია „ენის სახელმწიფო პალატა“, რომელიც იზრუნებს ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად, მის გადასარჩენად და გასაძლიერებლად;

**გააქტიუროს და ხელი შეუწყოს სათანადო ლექსიკისა და დარგობრივი კვლევითი ცენტრების საქმიანობას, სწორი მეტყველების საჯარო პროპაგანდას ტელევიზიის, რადიოსა თუ პრესის დახმარებით, სათანადო სახელმძღვანელოების შექმნას, ქართული ენის მასწავლებლების მომზადება-გადამზადებას, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის განმტკიცებას და სხვ.**

ყველაფერი ეს კიდევ უფრო დამაჯერებლადაა ჩამოყალიბებული 2010 წლის 16 ოქტომბერს, „დედაენის საზოგადოების“ მიერ მიღებულ „დედაენის დაცვის მანიფესტში“. ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, საზოგადოებამ თავისი საქმიანობა გარკვეული დროით შეაჩერა! ყოველ შემთხვევაში, მანიფესტის მიღებიდან 5 თვეზე მეტი დროის გასვლის მიუხედავად, „დედაენის საზოგადოებას“, ქართული ენის გადარჩენის მიმართულებით და „დედაენის დაცვის მანიფესტის“ რეალიზაციის თვალსაზრისით თითო-თითზე აღარ დაუკარებია. მეტიც, **მისი წევრები ამ მისიით ერთხელაც აღარ შეგკრებილვართ.**

ხელისუფლების მხრიდან, ამ საშვილიშვილო პრობლემაზე სათანადო რეაგირების მიზნით, 2011 წლის 4 თებერვალს, თქვენ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პირადად გაახლეთ წერილი (№1077, რომელშიც შავით თეთრზე წერია: „პრობლემა კომპლექსურია და ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით ყველაფერი არ მოგვარდება. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ, პრობლემის მკვდარი წერტილიდან დაძვრის პირველი ეტაპის კონკრეტულ წინადადებას: საქართველოს პარლამენტმა მიიღოს

კანონი ან სათანადო ჩასწორება კანონში „რეკლამის შესახებ“, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად, გარკვევით ჩაიწერება, რომ ვაჭრობისა და მომსახურების ნებისმიერ ობიექტს, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებს, საკუთრების ფორმების მიუხედავად, სარეკლამო აბრები, წარწერები, სახელწოდებები და მათი დანიშნულების გამომხატველი ნებისმიერი მინიშნება, როგორც წესი, გაუკეთდეს ქართულ ენაზე და მხოლოდ ამის შემდეგ, შედარებით მცირე ზომებით, რომელიმე უცხო ენაზე.

სასურველია, პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების, აგრეთვე დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებმა, შესაბამის სტრუქტურებთან ერთად, მოამზადონ სათანადო კანონპროექტი და არსებული რეკლამენტის შესაბამისად, მისცენ მას მსვლელობა.

ბატონო დავით, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი აქტიური მხარდაჭერის გარეშე პრობლემა მკვდარი წერტილიდან არ დაიძვრება“.

საგულისხმოა, რომ ჯერჯერობით ამ წერილზე სათანადო და ოპერატიული რეაგირება არ მომხდარა.

საყოველთაოდ მიღებული წესია, რომ კანონს, ბრძანებას, განკარგულებას ვინც გამოსცემს, ჯეროვანი კონტროლიც უნდა დააწესოს მის შესრულებაზე. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, არასათანადო ყურადღების გამო, პრაქტიკულად არ სრულდება. თავს უფლებას ვაძლევ და შეგახსენებთ ამ კანონის ზოგიერთ პუნქტს, რომელთა შესრულებაზე სათანადო კონტროლის არარსებობის გამო, რთულად გამოსასწორებელი პრობლემები შეექმნა მშობლიურ ენას. აი ზოგიერთი მათგანიც:

– კანონში, გამოყენებული ტერმინების განმსაზღვრელ პუნქტში (მუხლი 3, პ. 1), ხაზგასმით არის ჩაწერილი, რომ „რეკლამა...გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის“. აქსიომია, რომ მხოლოდ უცხო ენაზე შესრულებული რეკლამა არ არის და არც შეიძლება იყოს გამიზნული პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ანუ ყველა ქართველისათვის;

– „რეკლამა... გასაგები უნდა იყოს სპეციალური ცოდნისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებლად“ (მუხლი 4, პ. 1);

– „რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე“ (მუხლი 4, პ. 2);

– „უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში)... არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას“ (მუხლი 4, პ. 3);

– „ორენოვანი მანათობელი წარწერების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა „ქართულიც და უცხოურიც“ იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი (მუხლი 4, პ. 4).

დამეთანხმებით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პუნქტი საქართველოში, ძალიან ხშირად უხეშადაა დარღვეული;

კანონის მე-4 თავი (პუნქტი 17), რომელიც ეძღვნება სახელმწიფო კონტროლს რეკლამის სფეროში, ნათლადაა ჩაწერილი, რომ: „ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ახორციელებს... რეკლამის კანონმდებლობის შესრულების სახელმწიფო კონტროლს; იღებს გადაწყვეტილებას არასათანდო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შესრულებასა და კონტრერეკლამის განხორციელებაზე; უფლება აქვს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევს, კანონით დადგენილი წესით დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი; უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე; რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიკური აგენტების მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნებით“.

განხილული კანონის მე-6 მუხლით, რომელიც გარე რეკლამის რეგულირებას ეხება, მკაფიოდაა ჩაწერილი, რომ „ამ მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები“. არ



მესმის, რა უნდა ჩაეწერა კანონპროექტის ავტორს კიდეც, რომ ზემოაღნიშნული კანონის ეს პუნქტები მკვდარშობილნი არ ყოფილიყვნენ?!

პრობლემისადმი კანონის ამგვარი დამოკიდებულების პირობებში, სერიოზული მცდელობის მიუხედავად, ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის არც ერთი ორგანოს წლიურ ანგარიშში არ აღმოჩნდა არც ერთი ფაქტი, რომ ისინი სათანადოდ აკონტროლებენ და იცავენ ზემოაღნიშნული კანონის ძირითად მოთხოვნებს.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს კანონის მე-ნ მუხლის მე-8, აბსურდული პუნქტი, რომელშიც ვკითხულობთ: „ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) ოფისზე ნებისმიერი ფორმით (აბრა, სტენდი და ა.შ.) განთავსებული ნებისმიერი ზომის წარწერა, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ ოფისში არის განთავსებული ესა თუ ის ობიექტი, სავაჭრო ფირმა, რესტორანი და ა.შ. არ შეიძლება ჩაითვალოს რეკლამად, თუ ის არ არის დაშორებული ამ კონკრეტული ობიექტიდან 1,5 მეტრით მაინც.“ დამეთანხმებით, რომ ამ პუნქტს ხელოვნურად შემოაქვს გაუგებრობა კანონში, რათა „წყალწაღებული ხავსს მოეკიდოს“.

ვთხოვ ყველას, ვისაც ხელეწიფება და ვინც იზიარებს ჩემს პოზიციას, იურიდიული შეფასება მისცეს ამ წერილში ჩამოთვლილი საქართველოს კანონის დამრღვევთა მოქმედებებს და არსებული წესის ფარგლებში დააყენოს მათი პასუხისმგებლობის საკითხი.

დაინტერესებულ პირთათვის დამატებითი, კონკრეტული ფაქტების მიწოდებაზე ვალდებულებას ჩვენს თავზე ვიღებთ.

*გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“  
14 აპრილი, 2011 წ.*

# ქვეყნის ერთი მოკრძალებული თხოვნა პარტიის!

ქვეყანაში უმწვავესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისია. საზოგადოების ნდობა პოლიტიკური პარტიების საქმიანობისადმი აშკარად უარყოფითია. პოზიცია თუ ოპოზიცია თავიანთი უნიათობით, ხშირ შემთხვევაში აშკარა გამყიდველობითაც კი, თანაბრად უშლიან ნერვებს საზოგადოების მოაზროვნე ღირსეულ ნაწილს.

საზოგადოებრივი არხის შესწავლის მიზნით გთავაზობთ ორ შეკითხვას:

1. თქვენი დამოკიდებულება ზოგადად ე.წ. პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიებისადმი?

2. დღეს რომ არჩევნები ტარდებოდეს, პრეზიდენტის პოსტზე ვის კანდიდატურას დაუჭერდით მხარს?

რუბრიკის – „ხალხის აზრით“ – პირველი სტუმარია საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი, ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე, იაკობ გოგებაშვილის მედლის და „ღირსების ორდენის“ კავალერი, ჩვენი გაზეთის აქტიური ავტორი – **ანზორ ბაბუნაძია**.

- პირველ რიგში, გავეცნოთ ცნობილი ჟურნალისტის თემურ ქორიძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ: „პოლიტიკოსები, ძირითადად უპროფესიო ან ხელმოცარული ადამიანები ბრძანდებიან. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც... პოლიტიკოსები, ქვეშეცნეულად საშუალო ან უფრო დაბალი გონებრივი შესაძლებლობების ადამიანები არიან (თუმცა ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებიან!). სამაგიეროდ, მათ ხელშია ძალაუფლება, რითაც საკუთარი ნაკლის გადაფარვას, უფრო ხშირად

კი ამ ნაკლის ღირსებად წარმოჩენას ცდილობენ – მოჩვენებითი სიღარბაისლით, აგრესიულობით, შეუფერებელი ლაყბობით, ან სულაც „ბრძნული მღუმარებით“. ყველასათვის ნაცნობ ე.წ. პოლიტიკოსებს, რომლებმაც თავი მოგვაბეზრეს, აღარაფერი ეშველებათ ე.ი. მათი საქმე წასულია, მაგრამ რას ვერჩით ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თაობას, რომლებიც იმიტომ მეცოდებიან, რომ ნებსით თუ უნებლიეთ ირქმევენ – „ახალგაზრდა ნაციონალებს“, „ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატებს“ და ა.შ. სამაგიეროდ სულ სხვა საქმეა ახალგაზრდების პროფესიული დაოსტატების ურთულესი გზით სიარული ანუ ახალგაზრდა იურისტების, ეკონომისტების, ფინანსისტების ფიზიკოსების და ა.შ. მანტიის მოსხმა და ამ საქმეში დროის ხარჯვა, რაც ჩვენს ქვეყანას დადებითად წაადგება. სხვისი არ ვიცი და პირადად მე, ყბადაღებული ტერმინი „პოლიტიკოსი“ ძალიან მაღიზიანებს. ერთი საათის განამელობაში დაარევისტირებ ნებისმიერ პარტიას, ოღონდ სიტყვა დემოკრატია გაურიე თავში, შუაში ან ბოლოში და იმახე მერე რამდენიც გინდა, პოლიტიკოსი ვარო.

არ შეიძლება კი არა, დანაშაულია ენდო ისეთ ე.წ. პოლიტიკოსს, რომელმაც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად პარტიულ სიაში გამსვლელი ადგილის მოპოვებისათვის ქრთამი გადაიხადა. დიახ, დიახ, ქრთამი გადაიხადა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამავე სიბრტყეში განვიხილავ ყველა გრანტიჭამია ე.წ. პოლიტიკურ პარტიას. ხმამაღლა უნდა განვაცხადო, რომ შენი ქვეყნის სასიკეთოდ ან ლამაზი თვალებისათვის არავინ არანაირ გრანტს არ არიგებს.

საზოგადოების უდიდესი ნაწილის მხრიდან ე.წ. პოლიტიკური პარტიებისადმი ასეთი დამოკიდებულების პირობებში, ალბათ დღის წესრიგში უნდა დადგეს ქვეყნის კონსტიტუციაში და შესაბამის კანონმდებლობაში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობა იმ ვარაუდით, რომ მომავალ საპარლამენტო

არჩევნებში მათ, ანუ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც სრულიად დაკარგეს მოსახლეობის ნდობა და არარაობად იქცნენ, ჩამოერთვათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება და ამით უარი ეთქვათ საერთოდ, ე.წ. პროპორციულ არჩევნებზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ წინადადების რეალიზაცია იმას მაინც მოგვცემს, რომ ახალგაზრდობას ჩამოვაცილებთ დროის ფუჭად კარგვისა და საკუთარი იაფფასიანი კარიერის იოლად შექმნის ცდუნებისაგან.

2. სხვადასხვა ცნობილ გარემოებათა გამო დღეისათვის ქვეყანაში მართლაც არ არის გამოკვეთილი ლიდერი, რომელსაც ხალხი მომავალ არჩევნებში სიამოვნებით დაუჭერდა მხარს ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე. არ არისო, რომ ვამბობთ, იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ ასეთი პიროვნებები მართლაც არ არსებობენ. ხმამაღლა ვამბობ, არსებობს არა ერთი და არა ორი, მაგრამ მათი გამოვლენა, წინა პლანზე წამოწევა, განვლილი გზისა და სამომავლო ამოცანების, გეგმებისა და ხედვების გაანალიზებაა საჭირო. უხერხულია ახლა ამის თქმა, მაგრამ უპირველესად, აუცილებელია ქვეყნის ხელმძღვანელის თაობაზე არსებობდეს ობიექტური სამედიცინო ცნობა მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, როცა ქვეყნის მომავალი პრეზიდენტის არჩევნების დრო მოვა, ამ ეტაპზე, როგორც გამონაკლისი, პირველი სიტყვის თქმის უფლება, ანუ ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატის დასახელება ქვეყანამ უნდა მიანდოს ერის სულიერ მამას, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას ილია II-ს და მის მიერ შემოთავაზებული კანდიდატებიდან ქვეყნის მომავალ პრეზიდენტს საყოველთაო არჩევნების შედეგად დაასახელებს სრულიად საქართველოს მოსახლეობა.


დარწმუნებული ვახლავართ, რომ ამ ინიციატივას მოწინააღმდეგეებიც ეყოლება და მომხრეებიც. ნაწილი ჩათვლის, რომ უწმინდესის ჩართვა ამ ბინძურ საქმეში არ იქნება გამართლებუ-

ლი. ნაწილი კი პირიქით. მიუხედავად ამისა, თუ ჯიუტობაში არ ჩამეთვლება, მე მაინც ჩემს მოსაზრებაზე ვრჩები და აი რატომ. ისტორიულად ასე იყო და ახლაც ასეა, რომ, როცა ნორმალურ ადამიანს ცხოვრებაში რაიმე ურთულესი პრობლემა დაუდგება წინ, რჩევას მამას, ზოგიც ხევისბერს, ზოგიც თავის მოძღვარს ან თუნდაც ახლო მეგობარს ჰკითხავს.

თითოეულ ჩვენგანს და სრულიად საქართველოს გაგვიმართლა, რომ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის სახით, გეყავს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, რომელიც ჩვენი სულიერი მამაც არის, მოძღვარიც და ხევისბერიც. და, რადგან ფაქტი სახეზეა, ქვეყნის ურთულესი ჩიხიდან გამოყვანის საქმეში, მას რჩევა არ ვკითხვით? უფრო კონკრეტულად, ამ იდეის რეალიზაციის მექანიზმი შემდეგნაირად წარმომიდგენია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, ერის ღირსეულ შვილთაგან, ირჩევს პოლიტიკურ და სამთავრობო ურთიერთობებში გაუსვრელ, ჭეშმარიტად ქართული საქმეების მკეთებელი საზოგადოებრივი აღიარების მქონე რამდენიმე პიროვნებისაგან შემდგარ ე.წ. მრჩეველთა საბჭოს და თითოეულ მათგანს სთხოვს ქვეყნის მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელებას. მათ მიერ წარმოდგენილი კანდიდატებიდან ხმათა უმრავლესობით აირჩევა პრეზიდენტობის სამი-ოთხი კანდიდატი, რომლებსაც პატრიარქი წარუდგენს საზოგადოებას და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. დამტკიცებული პროცედურის აბსოლუტურად თანაბარ პირობებში გასასვლელად.

**რედაქციისაგან – ველოდებით მკითხველთა მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით, რომლებსაც აუცილებლად გამოვაქვეყნებთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომრებში.**

*„საერთო გაზეთი“, 19-25 იანვარი, 2011 წ.*



ბაბუა – ანთიმოზ ბაბუხაღია



ქუთაისი. 1949 წ. რუსლანი, მანანა, ანზორი მშობლებთან – ლევან ბაბუხაღიასა და ნინო შავდიასთან ერთად.



ქუთაისი. 1945 წ. რუსლანი და ანზორი ბებეასთან – ეფროსინე ჩილაჩავასთან ერთად.



23 თებერვალი, 1974 წ. თინათინ კანკავა და ანზორ ბაბუხაძია ქორწინების დღეს.



1975 წ. ბედნიერი დედა.



1982 წ. მიშიკო და ირაკლი  
ბაბუხადიები.



24 ნოემბერი, 1979 წ.  
მიშიკოსთან ერთად.



24 ნოემბერი, 1979 წ. ლევანიკო, მიშიკო, რუსლანი და ანზორ ბაბუხადიები.





3 მარტი, 1996 წ. ანზორი, ირაკლი, რუსლან ბაბუხაძეები  
წმინდა სამების გაძრის საძიარკველის ჩასახმისას.



1993 წ. ანზორი და თინიკო.




ქენევა. 1994 წ. ანზორი და მიშიკო.



შვეიცარია, ბაზელი. 1992 წ. სტუმრად მიმა მარდის ოჯახში.



ჯემალ კვანტალიანის შარჟი.



1962 წ.



29 აპრილი, 2006 წ. მთაწმინდის პანთეონი გოგლა ლეონიძის საფლავთან.  
თინა კანკავა, ანზორ ბაბუხაძია, სოსო ჩხაიძე, ჯემალ ლაღანიძე.



თბილისი. 1981 წ. მალხაზ გელეიშვილი, ვალერიან გრძელიშვილი, ანზორ ბაბუხაძია.



1964 წ.



ლოზანა. 1992 წ. მამიდაშვილ ათული ვასიუგინთან ერთად.



ლიკანი. 1988 წ.  
ალექსანდრე კუპრეიშვილსა და  
ნოღარ გურეშიძესთან ერთად.



1981 წ. ზურაბ ქაჯაიასა და  
ლოიდ ჯიქურიძესთან ერთად.



ბომბეი. 1973 წ.



1983 წ. მერაბ ქაჯაიასა და შოთა ჭანუყვაძესთან ერთად.



1982 წ. მელვა ჯაფარიძესა და  
ჯუნშერ ჩიჩუასთან ერთად.



1970 წ.



1977 წ.  
სერგო  
რიგვაგასა  
და ვიქტორია  
სირაძესთან  
ერთად.

1983 წ.  
ანზორ ბაბუხაძია,  
ვაჟა სულაბერიძე,  
ნათელა ლალიძე,  
ირაკლი ანდრიაძე,  
მერაბ ქაჯაია,  
შოთა შარაშენიძე,  
ბორის ნაზლაძე,  
არჩილ ჩხეგია.



სვერდლოვსკი.  
1986 წ.  
მურმან ლანჩავეა,  
თამაზ გორდემიანი,  
ზაქარია  
თინიკაშვილი,  
ვალერიან  
გრძელიშვილი,  
ლუიზა  
ნარიშვანიშვილი,  
მასპინძელი,  
ალექსანდრე  
შოვსესიანი,  
ანზორ ბაბუხაძია.





1986 წ. თბილისის სპორტის სასახლე. ღავეთ ყიფიანი, ირაკლი ბაბუხაძია, თენგიზ ლომიძე, ზაზა ალექსიძე; დგანან: ლევან თედიაშვილი, ეთერ კაკულია, მელორ ტყეშელაშვილი, დონარა კინწურაშვილი, გურამ საღარაძე, შოთა ლომიძე, ანზორ ბაბუხაძია.



2011 წ. 4 ივნისი. ლევან თედიაშვილი, გივი ბადაშვილი, ანზორ ბაბუხაძია და რომან რურუა.





2002 წ.  
ანზორ ბაბუხაძია,  
ვასტანგ სართანია,  
ნოდარ ჭითანავა,  
გედეონ ხელაია.

2009 წ.  
9 თებერვალი.  
ზურაბ აბაშიძესა და  
ვაჟა  
ლორთქიფანიძესთან  
ერთად.




1997 წ.  
გუჩა  
დათუნაიშვილთან  
ერთად.





2004 წ. ნოემბერი. ჯემალ ზამბახიძე, ანზორ ბაბუხაძია, კიტა შავიშვილი, ემზარ ზენაიშვილი.



2010 წ. 23 მაისი, ანზორი და „გოლიათი“ – კახა შენგელია.



1982. წ

რეზო ჩხეიძის 80 წლის საიუბილეო საღამო  
(2006 წლის დეკემბერი)



იუბილარ რეზო ჩხეიძესთან ერთად.



ვასტანგ გოგუაძესთან ერთად.



დიდ კინორეჟისორს ულოცავენ გოგი დოლიძე და ანზორ ბაბუხაძია.



ზურაბ ლეჟავასა და დოდო ჭიჭინაძესთან ერთად.



გიგა ლორთქიფანიძე, გენო კალანდია, ანზორ ბაბუხაძია, ქეთინო კიკნაძე.



არნოლდ გეგეჭკორი, ჯუმბერ ლეყავა, ჰენრი კუპრაშვილი, რეზო ჩხეიძე, კოტე მიქაძე, შმაგი საყვარელიძე, ანზორ ბაბუხაძია.



2002 წ.



2010 წ. 1 ივლისი. მარაბდის მემორიალთან. ჩოხოსან რაინდთა დასის წევრ 2 წლის ლუკა მანაგაძესთან.



2009 წ. 3 ოქტომბერი. ზესტაფონი. სოფ. ცხრაწყართ. „ვარინკობა“,  
 ნუნუ ღულაშვილი, მარიკა კვალიაშვილი, ანზორ ბაბუხაძია,  
 თამრიკო ჭოსონელიძე, მერაბ ღონაძე.



2009 წ. 3 ოქტომბერი. ზესტაფონი.  
 ანზორ ბაბუხაძია უფროს და უმცროს  
 ნინო ჩხეიძეებთან ერთად.




2010 წ. 16 ივლისი. გერგეტობა.  
 ირაკლი გულუშთან ერთად.



2002 წ. 30 დეკემბერი. „ღირსების ორდენის“ მიღებისას.



2010 წ. 1 ოქტომბერი.  
აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძესთან  
ერთად.



2010 წ. 1 ოქტომბერი. წმიდა სამების  
ცაძრის მთავარ არქიტექტორთან,  
არჩილ მინდიაშვილთან ერთად.



2008 წ. 12 იელისი. მონტე-კარლო. უინსტონ ჩერჩილის ბიუსტთან.



1995 წ. ნოემბერი. ირანი. ისპაჰანი, მელორ გყეშელაშვილთან ერთად.





2007 წ. 8 ივნისი. მთაწმინდის პანთეონი. ანზორ ბაბუხაღია, მარიკა ლორთქიფანიძე, მურმან გელენიძე, ნუგზარ ნაღარაია სიმონ ჯანაშიას საფლავთან.



2010 წ. 29 აპრილი. მთაწმინდის პანთეონი. აკაკი ხორავას დაბადების დღე. მურმან გელენიძე, თენგიზ გაჩეჩილაძე, არქიმანდრიტი იოანე, ანზორ ბაბუხაღია, ზაალ სისხარულიძე, რევაზ ბალანჩივაძე.




**2009 წ. 15 მაისი. ანზორ ბაბუხაღია, ჯანსუღ ჩარკვიანი,  
კუკური როგავა, ჯიმი მიქელაძე, გივი გაღელია.**



**2010 წ. 1 ოქტომბერი. ოთარ ჭილაძის გახსენების საღამომზე:  
ანზორ ბაბუხაღია, შოთა ბოიძე, თამაზ ჭილაძე, გიგა ლორთქიფანიძე,  
გურამ გოგიაშვილი, ქეთინო კიკნაძე.**



2010 წ. 23 იანვარი.  
მარიამ როინიშვილისა და გიორგი  
მასხარაძის ქორწილში.



2010 წ. 16 ივლისი. გერგეტობა.  
იუზა აბესაძესთან ერთად.



2010 წ. 23 იანვარი. ანზორი და თინიკო ლევან ვასაძესთან ერთად.



2004 წ. 4 სექტემბერი. ჩარგალი.



2009 წ. 18 იანვარი. ჩოხოსნების შუხვედრა ნინო სალუქვაძესთან.




2010 წ. 24 მაისი. გურამ კალანდაძესა და ნანი ბრეგვაძესთან ერთად.



2010 წ. 24 მაისი. გიგი უგულავა, ანზორ ბაბუხაძე, ნანა ყიფიანი.



2010 წ. 24 მაისი. მარიკა კვალიაშვილის სახელობის ვარსკვლავის გახსნისას: ანზორ ბაბუხაია, თემურ ჩალაბაშვილი, ნატალია კილურაძე.



2010 წ. 14 მაისი. გეიღარ ფალავანდიშვილთან ერთად.



პატარა ჩოხოსნებთან ერთად.



2007 წ. 7 ივლისი. ანზორ ბაბუხაღია, თამაზ გარდაფხაძე, სოკრატ სალუქვაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, ვლადიმერ და მიხეილ შაფათავეები.



2009 წ. თებერვალი. ვოვა კანკავასა და ჯემალ ჯალიაშვილთან ერთად.



2010 წ. 10 თებერვალი. ავთანდილ საყვარელიძე, თამაზ შილაკაძე, მერაბ ბერაძე, ანზორ ბაბუხაღია, თენგიზ არჩვაძე.



2007 წ. 29 აპრილი. მთაწმინდის პანთეონი. ეკა ყურუა, შმაგი საყვარელიძე, ანზორ ბაბუხაღია, ანზორ კიკელიძე, იოსებ კობზონი, ნიკოლოზ სვეტნიცი, რეზო ჩხეიძე, ბიჭიკო ასკურავა.




2010 წ. 1 ივლისი. მარაბდის მემორიალთან. ეახა ცერცვაძე, ბაღრი გვილაგვა, გუბაშ მეგრელიძე, რეზო მიშველაძე, რეზო სუხუა, ანზორ ბაბუხაღია, ბაღრი ქუთათელაძე.





2010 წ. 14 მაისი. თენგიზ უთმელიძე, მამუკა ქაცარავა,  
ანზორ ბაბუხაღია, ავთო მიქაძე.



2008 წ. მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრი. ანზორ ბაბუხაღია,  
ივიკო ყურუბა, ღიმა ჯაიანი, ეკა ყურუბა.



2010 წ. 5 მაისი. დემიკო ლოლაძე, მალხაზ ბებურიშვილი, თენგიზ არჩვაძე, ალექსანდრე ჩხეიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ანზორ ბაბუხაძია.



2009 წ. 23 თებერვალი. კოჯორი. იუნკერთა მემორიალთან. ანზორ ბაბუხაძია, ვანო ჯაფარიძე, ჯემალ კვანცალიანი, შმაგი საყვარელიძე.



2010 წ. 3 აგვისტო. ვახტანგ როლონაია, ანზორ ერქომაიშვილი, ანზორ ბაბუხაღია, ვახტანგ ცხადაძე თბილისის ნარდის საერთაშორისო ტურნირზე.



ზაალ სულაკაურის შარკი.




2008 წ. 6 აგვისტო. კიკეთი.



2010 წ. 23 მარტი. რევამ არველაძე, თამაზ ლეკიშვილი, გივი აბდუშელიშვილი, გურა დათუნაიშვილი, ანზორ ბაბუხაძია.



2010 წ. 23 მარტი. თამაზ მაჭავარიანსა და გივი აბდუშელიშვილთან ერთად.



2010 წ. 1 ოქტომბერი. საქართველოს კულტურის ფონდში: ანზორ ბაბუხაძია, მერაბ ბერძენიშვილი, თამაზ გამყრელიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი.



2009 წ. 15 მაისი. ოთარ ფაცაციას 80 წლის საიუბილეო საღამო. ანზორ ბაბუხაძია, იოსებ ხარატიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ფაცაცია.



2010 წ. 23 მარტი. ანზორ ბაბუხაძე, დემიკო ლოლაძე, ირაკლი მენაღარიშვილი, ლევან ჯაფარიძე.



2010 წ. 16 ივლისი. გერგეტობა. დეკანოზ მელქისედეგთან ერთად.



2000 წ. 12 აპრილი. ზურაბ ანჯაფარიძის საფლავთან.  
ანზორ ბაბუხაღია, ნიკო და მერი ხაგიაშვილები, თინათინ კანკავა.



2010 წ. 15 სექტემბერი. სამების საკათედრო ტაძარი.  
დიდი ზურაბ ანჯაფარიძის გახსენების საღამომზე. ანზორ ბაბუხაღია,  
თინიკო კანკავა, ზურიკო ანჯაფარიძე, მარინა მაჭავარიანი.



2009 წ. 16 თებერვალი. ლადო მესხიშვილის სსოვნის დღე, დიდუბის პანთეონი.  
ანზორ ბაბუხაძია, გუბაშ სანიკიძე, ღიმიგრი კიკვაძე.



2007 წ. 7 ივლისი. გია სვანიძე, ანზორ ბაბუხაძია,  
ავთანდილ ბერძენიშვილი, თაზო ხუციშვილი, სერგო ორჯონიკიძე.





2008 წ. ივლისი. საფრანგეთი. კანი.



2009წ. 26 ოქტომბერი. საფრანგეთი. ქართველ მოღვაწეთა ლევილის  
მემორიალურ საფლავზე. ომარ დვალი, კასაბერ ნაჭყებია,  
ირაკლი საბულუა, ანზორ ბაბუსაღია.

2009 წ.  
29 ოქტომბერი.  
პარიზი.  
ენგიენი.  
ანზორ ბაბუსაღია  
და ომარ დვალი  
ნარდის მსოფლიო  
ასოციაციის  
პრეზიდენტთან  
ჩივა გაფაზოლთან  
ერთად.





**2010 წ. 16 ივნისი. მალხაზ ბებურიშვილი, ვალერიან გრძელიშვილი, თენგიზ არჩვაძე, ანზორ ბაბუხაძია, მურმან შათირიშვილი; ღვანასა: ჯემალ ჯალიაშვილი, ირაკლი ბოკუჩავა, მერაბ ბერაძე, ვილენ მარდალეიშვილი, ომარ დვალი, გურა დათუნაიშვილი, გია ჩიქოვანი, ტარიელ მირზაშვილი.**



**2010 წ. 16 ოქტომბერი. „დედაენის საზოგადოების“ კომისიის წევრების პირველი შეკრებისას. რისმარგ გორდემიანი, ვახტანგ როლონია, თამაზ კვაჭანტირაძე, ზაზა გაჩეჩილაძე, გია ნიჟარაძე, მანანა დუმბაძე, ლევან ჩიქვანია, თამაზ ებანოიძე, ანზორ ბაბუხაძია.**



2003 წ. 2 აგვისტო ანზორ ბაბუხაძე, ნიკუშა ვასიუგინი, მალვინა ბაბუხაძე, ათული ვასიუგინი, სტუმარი შვეიცარიიდან, ვასტანგ ქაჯაია, ციცინო ბაბუხაძე სტუმრად მოწამეთის ტაძრის წინამძღვართან, არქიმანდრიტ გაგა მოსემელოთან.



2010 წ. 22 აგვისტო.  
ვლადიმერ ბარქაიასთან ერთად.



1992 წ. ჟენევა. ათული ვასიუგინი და ანზორ ბაბუხაძე ჩარლი ჩაპლინის საფლავთან.



2010 წ. 4 მარტი.  
დავით ბერძენიშვილთან ერთად.



2010 წ. 22 აგვისტო. სოფ. სწროფავი.  
ვაჟა ლორია, ანზორ ბაბუხაძია, ჯარჯი  
ფხოველი, ირაკლი ბოკუჩავა.



2010 წ. 14 სექტემბერი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში:  
ვილენ მარდალავიშვილი, ალექო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, გურამ  
გოგიაშვილი, დგანან: გია პლაგონიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, ოთარ  
ტურაბელიძე, ანზორ ბაბუხაძია, სპარტაკ ქობულია, ვალერიან სიმონიშვილი.

2011 წ. 18 მაისი.  
 გია ბალაშვილი  
 მეუღლითურთ,  
 რევამ ბალანჩივაძე,  
 ანზორ ბაბუსაძია  
 ბატონი რევამის  
 წიგნების  
 პრეზენტაციაზე.



2010 წ.  
 4 მარტი. ანზორ  
 საკანდელიძესა და  
 ნიკა ივანიშვილთან  
 ერთად.




2008 წ.



ჯემალ კვანტალიანის შარკი.



2010 წ. 2 ოქტომბერი. ოთარ წეროძე, გურამ საღარაძე,  
შედანი ნანიკაშვილი, ანზორ ბაბუსაღია.



2010 წ. 2 ოქტომბერი. ვლადიმერ ისელიძე, ანზორ ბაბუსაღია,  
კობა ნარჩემაშვილი.



2010 წ. 4 ოქტომბერი. ვლადიმერ გუსაევიან ერთად.



2004 წ. კიკეთი. ირაკლი და ანზორ ბაბუხაძეები.




2010 წ. 4 ოქტომბერი. სოფ. ტანძია. სულხან-საბა ორბელიანის ძეგლთან. ანზორ ბაბუხაძია, იაპონიის ელჩი საქართველოში ბატონი მასაიოში კამოჰარა მეუღლითურთ და გოგი დოლიძე.




2010 წ. 24 აგვისტო. თბილისი. ჰენრი კუპრაშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული კულტურის დიდი მოამბაგე, ჩოხოსანი ვიქტორ სირელსონი, გოგი დოლიძე, ანზორ ბაბუხაძია.





2011 წ. ნონა გაფრინდაშვილი, ელიზბარ ჯაფელიძე და ანზორ ბაბუსაძია.  
თბილისი მრგვალი ბაღი.



2010 წ. 2 ნოემბერი. ოთარ მეღვინეთუხუცესი, კახა საკანდელიძე და ანზორ ბაბუსაძია.



2011 წ. 8 მაისი. ანზორ ბაბუხაღია, გიორგი სიჭინავა და ჯემალ ლაღანიძე.



2011 წ. 25 იანვარი. ოთარ მეღვინეთუხუცესი, ანზორ ბაბუხაღია, თენგიზ არჩვაძე და თენგიზ უთმელიძე, თენგიზ არჩვაძის ვარსკვლავის გახსნისას, კ. მარჯანიშვილის თეატრის წინ.



2010 წ. 15 სექტემბერი. თინიკო და ანზორი ინესა მერაბიშვილთან ერთად, წმიდა სამების საკათედრო ტაძარში.



2011 წ. აპრილი. ბაბუა ნ თვის ანდრისთან ერთად.



2010 წლის 16 ივლისი. ყაზბეგის რაიონი, სოფელი სნო.

# ზამქნიძე განმაურებული სტატიის ჩამონათვალი

- საბაზრო ეკონომიკა „ბაზარს“ როდი ნიშნავს. 1992 წ.
- პრეზიდენტს მისი გუნდის ბევრი წევრი ღალატობს. 2000 წ.
- „პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები – პოლიტიკურ საქმიანობას“. 2001 წ.
- მოკლეს თბილისი, ჩვენი თბილისი, მთლად გააბახეს დედაქალაქი. 2002 წ.
- „სამჯერ წავიტეხეთ ფეხი, სამჯერ ვერ ავირჩიეთ რიგიანი პარლამენტი“. 2003 წ.
- პრევატიზაცია – შეცდომა თუ დანაშაული?! 2004 წ.
- საზოგადოებრივი ტელევიზია საკუთარ საზოგადოებას დასცინის. 2006 წ.
- შეცდომები, რამაც ქვეყნის ეკონომიკა დაანგრია და დღესაც ანგრევს. 2007 წ.
- ქართულ სახელმწიფოს მიზანმიმართულად ანადგურებენ. 2007წ.
- საქართველოში კანონის შეუსრულებლობის უზენაესობა მეფობს. 2008 წ.
- თუ რუსეთთან ეკონომიკური კავშირი გავწყვიტეთ, წარმოუდგენელი კატასტროფა გველის. 2008 წ.
- რასაც ეს მთავრობა აკეთებს, ეს არის ქვეყნის და ხალხის ღალატი. 2009 წ.
- ქვეყნის განადგურების გეგმას მთელი ერი წინ უნდა აღუდგეს! 2009 წ.
- ხშირად ხელისუფლება მცირე საშუალო ბიზნესის მტრად გვევლინება. 2009 წ.
- შინაური მტერი – მტერზე უფრო მტერი. 2010 წ.

# სარჩევი

შემდგენლისაგან -----	3
<b>თავი I. ზოგიერთი შტრიხი ავტობორტრეგისათვის -----</b>	<b>7</b>
<b>თავი II. ანზორ ბაბუნაძიას შესახებ</b>	
ანდრია აფაქიძე -----	30
მარატ ღვალაძე -----	30
მალხაზ ბებურიშვილი -----	31
ნოდარ გურეშიძე -----	32
ირმა გურიელი -----	33
ავთანდილ კორძაძე -----	34
ნოდარ მგალობლიშვილი -----	34
კარლო მეგრელიშვილი -----	35
ოთარ მეღვინეთუხუცესი -----	35
რევაზ მიშველაძე -----	36
გიზო ნიშნიანიძე -----	37
გურამ საღარაძე -----	37
თამაზ წივწივაძე -----	37
ნიკო ხატიაშვილი -----	38
გურამ ბუაძე -----	38
ზაირა ლუღუშაური და სხვ. -----	39
თენგიზ ტეტუნაშვილი -----	40
ალექსანდრე შენგელია -----	41
გურამ გომართელი -----	42
მანანა ქურციკიძე -----	43
მერაბ ბერაძე -----	46
თინათინ ჯიშიაშვილი -----	47
ანზორ საკანდელიძე -----	49
ლევან სვანაძე -----	50
ნათელა ვასაძე, ლევან ჩიქვანაია -----	51
ლევო ჩიქავა -----	51
ცოტნე მირცხულავა -----	53
ნოდარ ჭითანავა -----	54

### **თავი III. „თანდგომის“ შესახებ**

გურამ გოგიაშვილი -----	57,63
ნანა ჩიგოვიძე -----	61
ნანა ქავთარაძე -----	67
ალექო გაბელაია -----	68
თამაზ წივწივაძე -----	69
ელეარდ შევარდნაძე -----	70
მელეა ამირანაშვილი და სხვ. -----	70
პეტრე ნოღია -----	71
გივი გეწაძე -----	72
გაზეთი „სახალხო განათლება“ -----	73
სპარტაკ ქობულაია -----	74
ვილენ მარდალეიშვილი -----	76

### **თავი IV. „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს შესახებ**

ვაჟა ბერიძე -----	78
რევაზ გოგონია -----	80
დავით იაკობიძე -----	82
რევაზ კაკულაია -----	83
იაშა მესხია -----	84
ჯემალ პაჭკორია -----	85
გურამ ყუფუნია -----	86
ოთარ ხუციშვილი -----	88
ამირან ჯიბუტი -----	89
მიხეილ ჯიბუტი -----	91
ვანტანგ ხარჩილავა -----	93

### **თავი V. ზოგიერთი პუბლიცისტური წერილი**

ზურაბ ანჯაფარიძე -----	96
ირაკლი უჩანეიშვილი -----	98
დავით ჩხიკვიშვილი -----	99
მამია მეგრელიშვილი -----	101
ნუგ ზარ საჯაია -----	103
შალვა გიორგაძე -----	104
ირაკლი მიქელაძე -----	105

ინოლა გურგულია -----	106
გიორგი ჯიბლაძე -----	107
ოთარ ჩერქეზია -----	108
ნინა ჟვანია -----	110
მედეა მეზვრიშვილი -----	112
ჯანსუღ კახიძე -----	114
მიხეილ მესხი -----	115
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიას -----	116
გურამ სალარაძე -----	118
ირაკლი ანდრიაძე -----	119
ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს	
ბატონ ელუარდ შევარდნაძეს -----	123
ღია წერილი ქართველ მწერლებს -----	125
ღია წერილი ბატონ თამაზ წივწივაძეს -----	129
ღია წერილი ქვეყნის საკანონმდებლო და	
აღმასრულებელ ხელისუფლებას -----	132
ღია წერილი ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს -----	135
ღია წერილი ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილს -----	136
ღია წერილი ბატონ ბაჩო ახალაიას -----	138
ღია წერილი ბატონ ზურაბ ნოლაიდელს -----	141
ღია წერილი ხელისუფლებას –	
„ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ“ -----	147
ღია წერილი „მწერალ“ ლაშა ბუღაძეს -----	153
ენა გადავრჩინოთ, ქართველებო! -----	157
რომელი ეპოქა უფრო რყვნის ჟურნალისტებს? -----	159
შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიხდება!.. -----	162
ჩვენი დამაქცევარი საბჭოთა სისტემა... -----	166
ახალგაზრდობა – იმედი ხვალის... -----	169
ღია წერილი საქართველოს პარლამენტის	
თავმჯდომარეს ბატონ დავით ბაქრაძეს -----	172
კიდევ ერთი მოკრძალებული თხოვნა პატრიარქს! -----	177
რამდენიმე გახმაურებული სტატიის ჩამონათვალი -----	228



გამოყენებულია  
დემიკო ლოლაძის გადაღებული და  
ანზორ ბაბუნაძის საოჯახო ალბომიდან ფოტოსურათები

